

78
989



0132-5981

საქართველო საპატენტო



1989

9

პასუხისმგებელი მდივანი
გელა ბერძენიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალექსიძე
ანზი არსენაშვილი
(მეცნიერ-რედაქტორი)
ანზორ გაბიანი
შოთა ვორგოძე
აბაჰი კარანაძე
დურმიუხან ლორია
ვანტანო რაჭვაცხელი
გრიგოლ რთიშვილი
თამაზ შავჭავჭავაძე
ვიქტორ შარაშენიძე
იკალე ჩიქოვანი
სერგო ჯორჯანიძე

Ответственный секретарь
Бердзенишвили Г. Д.

Редакционная коллегия:

Алексидзе Л. А.
Арсенашвили А. Г.
(научный редактор)
Габiani А. А.
Горгодзе Ш. В.
Джорбенадзе С. М.
Каранадзе А. Г.
Лория Д. А.
Размадзе В. А.
Ртишвили Г. В.
Чиковани И. П.
Шавгулидзе Т. Г.
Шарашенидзе В. А.

საქართველოს სამართალი

№ 9

ნომერი

1980 წელი

შურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს იურისტთა კავშირის ყოველთვიური
მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

შ ი ნ ა ბ რ ს ი

სსრ კავშირის კანონი

კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტების) გადაჭრის წესის შესახებ 3

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის სრულყოფისა და იურიდიული სამსახურის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ 8

10 ნომერი საბჭოთა მილიციის დღეა

ვ. შადური — ხალხის ინტერესების სადარაჯოვო 13

გ. ერეშვილი — სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფო 15

ეკოლოგია და სამართალი

ლ. ქანტარია — საქალაქო აგლომერაციების სამართლებრივი რეგულირება 27

საქართველო პრესის ფურცლებზე

იურიდიული კადრების მომზადება სახალხო მეურნეობისათვის 35

კანონის კომენტარი

ა. ფალიაშვილი — სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება ზედამხედველობის წესით 42

პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

ქ. მჭედლიშვილი — დედის მიერ ახალშობილის მკვლელობის საქონმდებლო რეგულირების საკითხისათვის 50

თეორიის საკითხები

ა. კვაშილავა — რეკომენდაციები ზოგიერთი სისხლისსამართლებრივი ნორმის ჩამოყალიბების შესახებ 58

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ი. გამყრელიძე — სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები 64

ვ. თორდია — ახალი დამხმარე სახელმძღვანელო საბჭოთა აღმშენებლობაში 72

გამომცემლის ჩანაწერებიდან

ბ. დავითაია — მკვლელობა ფარდის მიღმა 73

Закон Союза ССР

О порядке разрешения коллективных трудовых споров (конфликтов) . . . 3

Постановление Совета Министров Грузинской ССР

О мерах по совершенствованию правовой работы и укреплению юридической службы в народном хозяйстве Грузинской ССР 8

10 ноября — день советской милиции

В. Шадури — На страже интересов народа 13

Г. Еремов — Социалистическое правовое государство 18

Экология и право

Л. Чантурия — Правовое регулирование городских агломераций 27

На страницах союзной прессы

Подготовка юридических кадров для народного хозяйства 35

Комментарий к закону

А. Палиашвили — Производство уголовных дел в порядке надзора 42

Первые шаги в науке

К. Мчедlishvili — К вопросу законодательного регулирования убийства материю новорожденного 50

Вопросы теории

А. Квашилава — Рекомендации о формировании некоторых уголовно-правовых норм 58

Критика и библиография

О. Гамкrelidze — Обстоятельства исключающие уголовную ответственность 64

В. Тордия — Новое учебное пособие по советскому строительству 72

Записки следователя

Б. Давитана — Убийство за занавесом 73



© „საბჭოთა საქართველო“, 1989 წ.

გეგმვის მისამართი. 380110, თბილისი, ღვინძის ალექსანდრის კვ. 108,
ტ. 95-88-49, 95-58-87

გადაცემა წარმოებას I. 11. 89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 12. 89 წ.

ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.

შეკვ. № 2403

ტირაჟი 4000

უც 09530

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა.

თბილისი, ლენინის ქ. № 14.

კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტების)

ბაღატის წესის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი
საბჭო ადგენს:

მუხლი 1. ეს კანონი არეგულირებს შრომის შესახებ მოქმედი კანონის გამოყენების საკითხებზე კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტების) გადაჭრის, შრომითს კოლექტივებს (კოლექტიურ ქვეგანაყოფებს) და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან მმართველობის დარგობრივ (დარგთშორის) ორგანოებს შორის შრომისა და ყოფა-ცხოვრების ახალი ან არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების შეცვლის ნაწილში კოლექტიური ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პირობების დადებისა და შესრულების წესს.

მუხლი 2. ამ კანონის 1-ელ მუხლში აღნიშნულ საკითხებზე შრომითი კოლექტივების მოთხოვნები ყალიბდება და მტკიცდება საერთო კრებაზე (კონფერენციაზე) მოცემული კოლექტივის წევრთა ხმის უმრავლესობით. კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება კოლექტივის (კონფერენციის დელეგატების) წევრთა სულ ცოტა 3/4.

მოთხოვნები ეგზავნება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას არა უგვიანეს 3 დღისა მათი დამტკიცების დღიდან. მოთხოვნები ყალიბდება წერილობითი ფორმით.

შრომითი კოლექტივის ინტერესებს წარმოადგენს მის მიერ რწმუნებული ორგანო (პროფკავშირული კომიტეტი, შრომითი კოლექტივის საბჭო და სხვები).

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მოვალეა განიხილოს ისინი 3 დღის ვადაში მიღების დღიდან და დაუყოვნებლივ აცნობოს თავისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, თუ შრომითი კოლექტივის მოთხოვნათა გადაწყვეტა სცილდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის კომპეტენციის ფარგლებს, იგი მოვალეა გაუგზავნოს ისინი განსახილველად იმავე ვადებში შესაბამის ორგანოს. მიღებული გადაწყვეტილებანი ჩამოყალიბებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და ეცნობოს მთელ შრომითს კოლექტივს.

კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტის) ყოველი შემთხვევა ადმინისტრაციამ და პროფკავშირულმა კომიტეტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებსა და ზემდგომ სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოებს.

მუხლი 3. შრომითი კოლექტივის მოთხოვნებს, რომლებიც უარყვეს ან ნაწილობრივ დააკმაყოფილეს ორგანოებმა, რომლებსაც ისინი გაეგზავნათ, განიხილავენ:

- ა) შემრიგებელი კომისიები;
- ბ) შრომითი არბიტრაჟები.

მუხლი 4. შემრიგებელი კომისიები იქმნება მხარეების წარმომადგენელ-

დაქ. სსრ კ. მ. ბ. მ. მ.

თა თანაბარი რიცხვისაგან. კოლექტიური შრომითი დავა (კონფლიქტი) განიხილება 5 დღის ვადაში. კომისიები აწყობენ კონსულტაციებს შრომითს კოლექტივებთან, ადმინისტრაციასთან, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებთან, ზემდგომ სამეურნეო, პროფკავშირულ ან სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან და მოვალენი არიან გამოიყენონ მათს განკარგულებაში არსებული ყველა შესაძლებლობა წარმ შობილი კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტის) მოწესრიგებისათვის.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება მხარეთა შორის შეთანხმებით მოლაპარაკების საფუძველზე, ფორმდება ოქმით და სავალდებულო ძალა აქვს მხარეებისათვის.

თუ მიღწეული არ იქნება შეთანხმება შემრიგებელ კომისიაში ან არ შესრულდება მისი გადაწყვეტილებანი, მხარეებს, უფლება აქვთ მიმართონ შრომითს არაბიტრაჟს.

მუხლი 5. შრომითს არბიტრაჟს ქმნიან კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტის) მხარეები.

შრომითს არბიტრაჟში შედიან სახალხო დეპუტატები, ზემდგომი პროფკავშირული ორგანოს, შრომის და სოციალურ საკითხთა ორგანოს წარმომადგენლები.

შრომითი არბიტრაჟის რაოდენობრივი და პერსონალური შემადგენლობა თითოეული კოლექტივისათვის წესდება მხარეების შეთანხმებით.

შრომითი არბიტრაჟის თავმჯდომარე მტკიცდება მოცემული შრომითი არბიტრაჟის წევრთა რიცხვიდან მხარეების შეთანხმებით.

კოლექტიურ შრომითს დავას (კონფლიქტს) განიხილავს შრომითი არბიტრაჟი მხარეების წარმომადგენლების, საჭიროების შემთხვევაში, ზემდგომი ორგანოების წარმომადგენლების სავალდებულო მონაწილეობით.

შრომითმა არბიტრაჟმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება 7 დღის ვადაში განცხადების მიღების დღიდან.

შრომითი არბიტრაჟის გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად. შრომითს არბიტრაჟს უფლება აქვს გამოიტანოს ზემდგომი სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოების მისამართით წარდგინება თანამდებობის პირთა მიმართ, რომელთა მიზეზით წარმოიშვა კოლექტიური შრომითი დავა (კონფლიქტი). ასეთი წარდგინების განხილვის შედეგებს ზემდგომი სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოები აცნობებენ შრომითს კოლექტივს.

მუხლი 6. მხარეები და შემრიგებელი ორგანოები მოვალენი არიან გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა იმ მიზეზებისა და გარემოებების თავიდან ასაცილებლად, რომლებსაც მოჰყვა კოლექტიური შრომითი დავა (კონფლიქტი).

თუ შემრიგებელმა კომისიამ და შრომითმა არბიტრაჟმა ვერ მოაწესრიგეს მხარეების უთანხმოებანი, ამის მიზეზები წერილობით უნდა ეცნობოს შრომითს კოლექტივს. ამ შემთხვევაში შრომითს კოლექტივს უფლება აქვს თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა სხვა საშუალება, ამასთან, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან ქვეგანაყოფის მუშაობის სრული ან ნაწილობრივი შეჩერება (გაფიცვა).

მუხლი 7. გაფიცვა კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტის) გადაწყვეტის უკიდურესი ზომაა. გაფიცვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ შრო-

მითი კოლექტივის ან ქვეგანაყოფის კოლექტივის კრებაზე (კონფერენციაზე) ფარული კენჭისყრით, და მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა მოცემული კოლექტივის წევრთა (კონფერენციის დელეგატთა) სულ ცოტა 2/3-მა. გაფიცვის სათავეში უდგას პროფკავშირული კომიტეტი, შრომითი კოლექტივის საბჭო. საგაფიცვო კომიტეტი ან შრომითი კოლექტივის მიერ უფლებამოსილი სხვა ორგანო.

ადმინისტრაცია სულ ცოტა 5 დღით ადრე გაფრთხილებული უნდა იყოს წერილობით გაფიცვის დაწყების და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ.

მომავალი გაფიცვის შესაძლებლობის შესახებ ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ აფრთხილებს მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს, სატრანსპორტო ორგანიზაციებს. აგრეთვე სხვა დაინტერესებულ საწარმოებს, დაწესებულებებს. ორგანიზაციებს.

არავინ არ უნდა აიძულონ მონაწილეობა მიიღოს ან უარი თქვას გაფიცვაში მონაწილეობაზე.

მუხლი 8. ორგანო, რომელიც სათავეში უდგას გაფიცვას, მოქმედებს კანონმდებლობით და ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების ფარგლებში. წარმოადგენს შრომითი კოლექტივის ინტერესებს გაფიცვის მსვლელობაში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით ინფორმაციას აწვდის მოსახლეობას წარმოშობილი კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტის) გადაჭრის მიმდინარეობის შესახებ. ეს უფლებამოსილებანი წყდება, თუ მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას წარმოშობილი კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტის) მოწესრიგების შესახებ, აგრეთვე გაფიცვის უკანონოდ ცნობის შემთხვევაში.

თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ორგანოს, რომელიც სათავეში უდგას გაფიცვას, უფლება არა აქვს მიიღოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც განეკუთვნება საწარმოს ადმინისტრაციის, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების კომპეტენციას.


კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტის) გადაჭრის მსვლელობაში შემუშავებული შეთანხმების პირობების შესრულებისადმი კონტროლს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ პროფკავშირული ორგანოები, შრომითი კოლექტივისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანოები, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომი ორგანოები.

შეთანხმების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ორგანოს, რომელიც სათავეში უდგას გაფიცვას, უბრუნდება თავისი უფლებამოსილებანი.

მუხლი 9. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს შეუძლია გადადოს გაფიცვა ან შეაჩეროს იგი ორ თვემდე ვადით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში აღნიშნული ვადით გაფიცვის გადადების ან შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ამასთან პრეზიდიუმის სხდომაზე აუცილებლად უნდა მიიწვიონ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები შესაბამისი ტერიტორიებისაგან.

მუხლი 10. საწარმოს ადმინისტრაცია, სახალხო დეპუტატთა ადგილობ-



რივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. გაფიცვის მონაწილე შრომითი კოლექტივი და ორგანო, რომელიც სათავეში უდგას გაფიცვას, მოვალენი არიან განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი საწარმოს ცხოველუნარიანობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისათვის სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის.

მუხლი 11. მუშაობის შეწყვეტა, როგორც კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტის) გადაწყვეტის საშუალება, არ დაიშვება, თუ ეს საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, აგრეთვე რკინიგზისა და საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტის (მათ შორის მეტროს), სამოქალაქო ავიაციის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, თავდაცვითი დარგების (თავდაცვითი მნიშვნელობის პროდუქციის წარმოებით უშუალოდ დასაქმებულ ქვეგანაყოფებში) საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რომლებსაც დაკისრებული აქვთ თავდაცვისუნარიანობის, მართლწესრიგისა და ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანა, უწყვეტად მოქმედ წარმოებებში, რომელთა შეჩერება დაკავშირებულია მძიმე და საშიშ შედეგებთან.

აღნიშნულ საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომითს კოლექტივებს ამ კანონით გათვალისწინებული შემარიგებელი პროცედურის დაცვის შემდეგ უფლება აქვთ თავიანთი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის მიმართონ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, საკავშირო დაქვემდებარების შემთხვევაში კი — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, რომლებმაც უნდა განიხილონ მათი მოთხოვნები და პასუხი გასცენ არაუგვიანეს ერთი თვის ვადისა.

მუხლი 12. მიჩნეულია უკანონოდ და არ დაიშვება გაფიცვები:

ა) საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადური დამხობისა და შეცვლის შესახებ მოთხოვნების, აგრეთვე იმ მოთხოვნების წამოყენებასთან დაკავშირებული მოტივებით, რომლებსაც მოსდევთ ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევა;

ამ კანონის მე-2, მე-3, მე-4 მუხლების დებულებათა დაცვის გარეშე გამოცხადებული, ამ კანონის მე-5, მე-7, მე-9, მე-11 მუხლების მოთხოვნების დარღვევით დაწყებული ან გაგრძელებული გაფიცვები.

გადაწყვეტილებას ამ მუხლში აღნიშნული საფუძვლების არსებობის დროს გაფიცვის უკანონოდ აღიარების შესახებ იღებენ მოკავშირე რესპუბლიკების (რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ), ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლოები, საწარმოს ადმინისტრაციის, ზემდგომი სამეურნეო ორგანოს, სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განცხადებით და იგი ეცნობა შრომითს კოლექტივებს გაფიცვის ხელმძღვანელი ორგანოსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით.

გადაწყვეტილება გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ შრომითს კოლექტივებს ავალდებულებს შეწყვიტონ იგი და შეუდგნენ მუშაობას არაუგვიანეს შემდგომი დღისა მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილების პირი გადაეცემა ორგანოს, რომელიც გაფიცვას მეთაურობს.

მუხლი 13. ამ კანონის შესაბამისად გაფიცვის მონაწილე მუშაკებს უნარჩუნდებათ საერთო და უწყვეტი შრომითი სტაჟი. სახელმწიფო სოციალური

დაზღვევის უზრუნველყოფის უფლება, ხოლო ამ კანონის მე-12 მუხლით და-
რწალავი გაფიცვების მონაწილე მუშაკებს უნარჩუნდებათ აგრეთვე სამუშაო
ადგილი (თანამდებობა).

გაფიცვის დროის მანძილზე მის მონაწილე მუშაკებს ხელფასი არ უნარ-
ჩუნდებათ.

იმ მიზნით, რომ მატერიალური დახმარება გაეწიოთ გაფიცულთ, შრო-
მითს კოლექტივის უფლება აქვს შექმნას ფონდი ნებაყოფლობითი შენატანე-
ბისა და შეწირულობათა ხარჯზე, აგრეთვე სპეციალური სადაზღვევო ფონდი
კოლექტიური ხელშეკრულების (შეთანხმების) შესაბამისად.

მუშაკებს, რომლებიც არ მონაწილეობენ გაფიცვაში, მაგრამ მასთან და-
კავშირებით არა აქვთ შესაძლებლობა შეასრულონ თავიანთი სამუშაო, საწარ-
მო, დაწესებულება, ორგანიზაცია მოვალენი არიან შეუნარჩუნონ ხელფასი
ოდენობით, რომელიც არ უნდა იყოს შრომის შესახებ სსრ კავშირისა და
მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების 43-ე მუხლით
დადგენილზე ნაკლები, როგორც არა მუშაკის მიზეზით მოცდენისათვის.

მუხლი 14. სასამართლოს მიერ უკანონოდ აღიარებული გაფიცვის, ან
მასში მონაწილეობის ორგანიზაცია ითვლება შრომის დისციპლინის დარღვე-
ვად და მას შეიძლება მოჰყვეს დისციპლინური სასჯელისა და მატერიალური
პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება, რომლებიც გათვალისწინებულია
შრომის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებ-
ლობის საფუძვლების 49-ე და 56-ე მუხლებით.

ხელმძღვანელები და სხვა თანამდებობის პირები, რომლებსაც ზარალი
მიუძღვით კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტების) წარმოქმნაში ან
შემრიგებელი კომისიის ანდა შრომითი არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა აღს-
რულების დაყოვნებაში ეკისრებათ დისციპლინური პასუხისმგებლობა, ამას-
თან შეიძლება განთავისუფლდნენ თანამდებობიდან, ხოლო თუ მათ მოქმე-
დებას მოჰყვა მატერიალური ზარალი, — მატერიალური პასუხისმგებლობაც
სამ თვემდე თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მუხლი 15. სხვა საწარმოებისათვის, დაწესებულებების, ორგანიზაციების
ან მოქალაქეებისათვის გაფიცვის შედეგად მიყენებული ზარალი ნაზღაურდე-
ბა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
თავმჯდომარე მ. ს. ბორბაჩოვი

მოსკოვი, პრემლი. 1989 წლის 9 ოქტომბერი



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
თავმჯდომარე მ. ს. ბორბაჩოვი
მოსკოვი, პრემლი. 1989 წლის 9 ოქტომბერი

საქართველოს
სსრ მინისტრთა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო მეთრენოზაზი სამართლებრივი
მუშაოზის სრულყოფისა და იურიდიული სამსახურის განმტკიცების
ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში არა-საკმარისი ღონისძიებანი ხორციელდება სახალხო მეთრენოზის სამართლებრივი მომსახურების უზრუნველსაყოფად სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

სამინისტროებსა და უწყებებში, შრომით კოლექტივებში ჯერ კიდევ არ იგრძნობა კანონებისადმი პატივისცემის, სამართლებრივი კულტურის ამდლებისადმი მისწრაფების ატმოსფერო. არის შემთხვევები, როდესაც სამეურნეო ხელმძღვანელები არ იცავენ საბჭოთა კანონებს, სამართლებრივ ნორმებს, უსაფუძვლო პრიორიტეტს ანიჭებენ ბრძანებებსა და განკარგულებებს, ხელოვნურად შეთხზულ საუწყებო ნორმებს, რის შედეგადაც ხშირად ირღვევა სამეურნეო, შრომის, ტექნიკის უსაფრთხოების, საფინანსო, ბუნების დაცვის, მიწის კანონმდებლობა, დიდია სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილ მუშაკთა წილი და მათ სასარგებლოდ გადახდილი იძულებითი განაცდურის თანხა.

კვლავინდებურად ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სამართლებრივი საშუალებების, იურიდიული სამსახურების გამოყენებას დარგის საქმიანობის სრულყოფისათვის. უფრო მეტიც, ზოგიერთმა სამინისტრომ და უწყებამ, „საქართველოს სსრ სახალხო მეთრენოზის მართვის გენერალური სქემის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 27 მაისის № 684 დადგენილების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ შეამცირა იურიდიული სამსახურების რაოდენობა, რამაც საუწყებო არბიტრაჟების არა მარტო შესუსტება, არამედ დეზორგანიზაციაც გამოიწვია.

რესპუბლიკის გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში, სახალხო მეთრენოზის მრავალი დარგის საშუალო და წვრილ საწარმოებში საერთოდ არ არის ორგანიზებული იურიდიული მომსახურება.

იურიდიული სამსახურები იგნორირებულია აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებში.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელები არ ითვალისწინებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 თებერვლის № 76 დადგენილების მოთხოვნებს და მდივნების, განყოფილებათა გამგეების თანამდებობებს (საერთო, საორგანიზაციო-საინსტრუქტორო, საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების, აგრეთვე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროს) ხშირად აკომპლექტებენ იურიდიული განათლების არმქონე პირებისაგან.

ასევე ჯეროვნად ვერ აფასებენ იურიდიული სამსახურების როლს მეთრენობრიობის ახალ პირობებში მუშაობისას სამეურნეო მექანიზმის სამართ-

ლებრივი რეგულირების უზრუნველსაყოფად, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად. სოციალისტური საკუთრების კანონიერების დასაცავად ახალშექმნილი შრომითი კოლექტივების საბჭოები, ხოლო მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, წარმოება-დაწესებულებათა იურიდიული სამსახურები სრულად ვერ იყენებენ იურიდიული განყოფილების, იურისკონსულტისათვის დებულებით მინიჭებულ უფლებებს, ჭეროვნად ვერ ეწევიან სამართლის პროპაგანდასა და თანამშრომელთა იურიდიულ მომსახურებას, თითქმის არ მონაწილეობენ საყოველთაო სამართლებრივი სწავლების ორგანიზაციაში.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ სახალხო მურნეობაში არ არის შექმნილი სამართლებრივი საქმიანობის ერთიანი სისტემა, იურიდიული სამსახურების ორგანიზაციული ხელმძღვანელობის რგოლი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შეზღუდული საკონსულტაციო-მეთოდური ხელმძღვანელობის ინსტიტუტის საქმიანობა კი ყოველთვის ვერ იძლევა სასურველ შედეგს.

რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ჭეროვნად ინტერესს არ იჩენენ იურიდიული სამსახურების საქმიანობის გაშუქებისადმი. ფაქტიურად არაფერი კეთდება სამეურნეო ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა სამართლებრივი კულტურის ასამაღლებლად, ცუდად არის ორგანიზებული საყოველთაო სამართლებრივი სწავლება უმაღლეს, საშუალო სპეციალურ და საშუალო სასწავლებლებში. სამართლებრივი სწავლების დონე ვერ პასუხობს სამართლებრივი რეფორმის მოთხოვნებს, კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტები და კურსები ვერ ავსებენ სამეურნეო ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა, აგრეთვე შრომითი კოლექტივების საბჭოების წევრთა სამართლებრივ აღზრდაში არსებულ ხარვეზებს. ძალზე მცირეა სამართლებრივი დისციპლინის სწავლებისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა (18 საათი), იშვიათად გამოდის იურიდიული ლიტერატურა სამეურნეო ხელმძღვანელთა დასახმარებლად ქართულ ენაზე. მათი ატესტაციისას უგულებელყოფილია სამართლებრივი საკითხების ცოდნა.


იურიდიული სამსახურების, იურისკონსულტების მორალური და მატერიალური სტიმულირების საკითხებისადმი, სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობებისადმი გულგრილი დამოკიდებულება არაპოპულარულს ხდის სახალხო მეურნეობის იურისტის თანამდებობას, რის გამოც კვალიფიციური იურისტები ნაკლებად ეტანებიან ამ სამუშაოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს;

1. არადაამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურების გამოყენების მდგომარეობა, ამ სამსახურებისა და იურისკონსულტთა საქმიანობა სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების, სამართლებრივი რეფორმის განხორციელებისათვის.

2. დაეკისროთ რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელებს პირადი პასუხისმგებლობა იურიდიული სამსახურების სრულყოფისა და გაძლიერებისათვის იურისკონსულტთა მორალური და მატერიალური წახალისების, მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

3. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა:



საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური დირექტორის მის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 27 მაისის № 684 დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად წლის დამლევამდე აღადგინონ კოავიანთი აპარატებისა და სისტემების წარმოება-დაწესებულებათა იურიდიული სამსახურების მუშაკთა შემცირებული და გაუქმებული შტატები, მიიღონ გადაჭრელი ზომები ამ სამსახურების განსამტკიცებლად და გასაძლიერებლად;

— იურიდიული სამსახურის, იურისკონსულტის შესახებ დებულების შესაბამისად უზრუნველყონ გაერთიანებული იურიდიული სამსახურების დამოუკიდებელ ერთეულებად გამოყოფა და ჩამოყალიბება.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს ერთი დარგის საშუალო და წვრილ საწარმოთა მომსახურებისათვის, მათ შორის შეთანხმების საფუძველზე იურიდიული ჯგუფის (ბიუროს, განყოფილების) ორგანიზაცია ერთ-ერთ მათგანში.

— ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა ჭეოვანი სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით სისტემატურად შეისწავლონ სამართლებრივი საქმიანობა საქვეუწყებო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, კოლექტივის სხდომებზე მოისმინონ სამეურნეო და იურიდიული სამსახურების ხელმძღვანელთა ანგარიშები, დასახონ ქმედითი ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

— 1990 წლის დამლევამდე დაასრულონ საუწყებო ნორმატიული აქტების გადასინჯვა, მოწესრიგება და სისტემატიზაცია, მიუსადაგონ ეკონომიკისა და სამართლის სადღესო მოთხოვნებს, მოამზადონ და გამოსცენ მოქმედი საუწყებო ნორმატიული აქტების კრებულები (ნუსხა);

— სამეურნეო ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა ატესტაციისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათი სამართლებრივი მომზადების დონეს;

— უმოკლეს ვადაში შეიმუშაონ და დანერგონ საყოველთაო სამართლებრივი და ეკონომიკური სწავლების ერთიანი და გეგმაზომიერი სისტემა;

— საგულდაგულოდ გააანალიზონ წარმოება-დაწესებულებათა ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა, სოციალისტური საკუთრებისა და კანონიერების დაცვის პირობები, დასახონ ღონისძიებანი სამართლებრივ საშუალებათა გამოსაყენებლად ახალი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის.

4. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ გამსახკომმა წლის დამლევამდე შექმნან საუწყებო არბიტრაჟები და დააკომპლექტონ კვალიფიციური იურისტებით.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— განამტკიცონ აღმასკომების იურიდიული სამსახურები კვალიფიციური სპეციალისტებით, სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა აპარატის მუშაკთათვის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში შემოიღონ იურისკონსულტის თანამდებობები ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 15 თებერვლის № 76 დადგენილების შესასრულებლად უმაღლესი იურიდიული განათლების

მქონე სპეციალისტებისათვის გათვალისწინებული ნომენკლატურული თანამდებობანი განთავისუფლებისას დააკომპლექტონ შესაფერისი პირებით;

— თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ჭეშრვნად გამოიყენონ სამართლებრივი საშუალებანი ეკონომიკური რეფორმის განსახორციელებლად, კოორდინაცია გაუწიონ იურიდიული სამსახურების საქმიანობას;

— აამაღლონ სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სახელმწიფო და სახელშეკრულებო დისციპლინის, შრომის, ბუნების დაცვის, საბინაო კანონმდებლობათა განუხრელი შესრულებისათვის, პრინციპული შეფასება მისცენ კანონიერების დარღვევის ყოველ ფაქტს.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს განიხილოს სახალხო დეპუტატთა იმ რაიონული საბჭოების აღმასკომებში იურისკონსულტის საშტატო ერთეულების შემოღების საკითხი, სადაც არ არის იურიდიული სამსახური.

7. რეკომენდაცია მიეცეთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს:

— დანერგონ იურიდიული სამსახურების მუშაკთა შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმები, აგრეთვე ცალკე დებულებით პრემირება ისეთი მაჩვენებლებისათვის, როგორც არის საწარმოს საქმიანობაში კანონიერების დაცვის მდგომარეობა, არამწარმოებლური ხარჯებისა და დებიტორული დავალიანებების შემცირება, საწარმოს ინტერესებისა და უფლებების სათანადო დაცვა და სხვა;

— იურიდიული სამსახურების ხელმძღვანელები და იურისკონსულტები თანამდებობებზე დანიშნონ და დაკავებული თანამდებობებიდან გაათავისუფლონ იუსტიციის სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ.

8. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყოს:

— სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის მეთოდური ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება და სრულყოფა;

— რესპუბლიკის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის იურიდიული სამსახურების საქმიანობის დადებითი გამოცდილების განზოგადება და დანერგვა;


— რესპუბლიკის იურისკონსულტთა საზოგადოებრივი საბჭოს საქმიანობისადმი ყოველმხრივი ხელის შეწყობა, ორგანიზაციული და მეთოდური დახმარების გაწევა, სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებზე იურისკონსულტების მომზადების დონის ამაღლება, ამ კურსებზე შრომითი კოლექტივების საბჭოს თავმჯდომარეებისა და წევრების სამართლებრივი სწავლება;

— სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურების საკადრო პოლიტიკის გაუმჯობესება და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება.

9. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ:

— მიმდინარე წლის დამლევამდე შეიმუშაოს და განახორციელოს აუცილებელი ღონისძიებანი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სტუდენტთა და მოსწავლეთა სამართლებრივი მომზადების გასაუმჯობესებლად;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური იურიდიული კადრების მომზადებას, გაზარდოს სამეურნეო სა-



მართლის სწავლებისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე;

— საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად 1989 წლის დამლევამდე უზრუნველყოს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან საბჭოთა სამართლისა და სამართლებრივი აღზრდის საუწყებათშორისო კათედრის ორგანიზაცია ქ. თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟმა გაააქტიუროს მუშაობა სამეურნეო ურთიერთობებში სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის, გააფართოოს კავშირი შრომით კოლექტივებთან, პერიოდულად განაწილოს წარმოება-დაწესებულებებში სახელშეკრულებო მუშაობის პრაქტიკა და წარმოადგინოს შესაბამისი წინადადებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურმა დარგათშორისმა ინსტიტუტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სამეურნეო ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა სამართლებრივ განსწავლულობას, ამ მიზნით შეიმუშაონ და განახორციელონ სამართლებრივი დისციპლინების სწავლების ვრცელი და ჭმედითი პროგრამა.

12. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და სახელმწიფო არბიტრაჟთან ერთად დაამუშაოს და ქართულ ენაზე გამოსცეს სამეურნეო ხელმძღვანელთა და იურისკონსულტთა დასახმარებლად იურიდიული, საცნობარო და სხვა სახის სამართლებრივი ლიტერატურა ახალი კანონმდებლობის შესახებ.

13. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმა სისტემატურად გააშუქონ სახალხო მეურნეობის იურიდიული სამსახურების საქმიანობა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის, ამ სფეროში არსებული პრობლემები და დადებითი გამოცდილება, იურისკონსულტთა შრომა.

14. აღნიშნული დადგენილების შესრულებისადმი კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ადმინისტრაციული ორგანოების საკითხთა ჩგუფს და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ზინთანაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ა. პაიჭაძე.

ხალხის ინტერესების საღარაჯოში

ვარლამ შალვრი,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესებთან დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, რა თქმა უნდა, ჩვენი პროფესიული დღესასწაულების ფორმასა და შინაარსშიც აირეკლება. საქმეს არაფერს არგებს ძველებური მყვირალა ფრაზები და ნაკლებდამაჯერებელი საზეიმო პატაკები.

აი, დღესაც, როცა საბჭოთა მილიციის დღე აღინიშნება, უპირველეს ყოვლისა გვინდა ყურადღება ყველაზე საჭირობოტო და მტკივნეულ საკითხებზე გავამახვილოთ.

ცნობილია, რომ ბოლო დროს ჩვენთან საგრძნობლად გართულდა ოპერატიული მდგომარეობა, რაც გამოიწვია ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზრდამ, საგრძნობლად დატულობს ქონებრივი დანაშაული: ძარცვა, ქურდობა, ავტომანქანების გატაცება და სხვა. დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა ერთგვარად შეასუსტა ნეგატიურმა მოვლენებმა აფხაზეთსა და ქვემო ქართლში. ჩვენ იძულებული ვიყავით უშუალო საქმიანობისაგან მოგვეწყვიტა და ამ რეგიონებში გადაგვეყვანა პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი. ამით, რა თქმა უნდა, მე სრულებითაც არ მინდა გავამართლო მილიციის ორგანოებში არსებული ნაკლოვანებანი და ყველაფერი მართო ექსტრემალურ სიტუაციებს გადავებრალო.

ბოლო დროს ოპერატიულმა საქმიანობამ უფრო მიზანსწრაფული ხასიათი მიიღო და, ვიმედოვნებთ, ახლად შექმნილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი კომიტეტის დახმარებით მდგომარეობა სტაბილური გახდება.

სამინისტროს ხელმძღვანელობამ, ვფიქრობთ, დროულად დააყენა საკითხი მილიციის ხელშემწყობი, მუდმივმოქმედი დამხმარე რაზმების შექმნის თაობაზე მსხვილ საწარმოებსა და ორგანიზაცია-დაწესებულებებში. დანაშაულების გამომწვევი მიზეზების პროფილაქტიკა ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულება უნდა გახდეს.

საფუძვლიან გარდაქმნასა და გადახალისებას მოითხოვს თვით შინაგან საქმეთა ორგანოებიც. მხედველობაში გვაქვს, უწინარეს ყოვლისა, პირადი შემადგენლობის მორალურ-ზნეობრივი გაჯანსაღება, მისი პროფესიული მომზადების გაუმჯობესება და ორგანოების სტრუქტურული დახვეწა. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა — შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩამოყალიბდა პროფილაქტიკის სამმართველო და ორგანიზებულ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებები. მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით, ალბათ, სწორი იქნება დიდ ქალაქებში შეიქმნას მილიციის ქვედანაყოფები, რათა ხალხს უფრო კმედიტად და ოპერატიულად მოვემსახუროთ.

თუ რაოდენ აღელვებს რესპუბლიკის საზოგადოებას მართლწესრიგის

დაცვისა და განმტკიცების საკითხები, ნათლად ჩანს პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდანაც.

ყველა ჩვენგანს კარგად ესმის, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა ღრმა სოციალური ხასიათისაა და კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, მითუმეტეს საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პირობებში.

ამ ცოტა ხნის წინათ ხომ იმის აღიარებასაც ვერ ვბედავდით, რომ დანაშაული ჩვენშიაც სოციალური მოვლენაა და მას „კაპიტალისტური გარემოცვის“, „წარსულის მანვნი გადმონაშთების“, „მანვნი ტრადიციების“ არსებობითა და გამოვლინებით ვხსნიდით.

ასეთი აზრი, სამწუხაროდ მთლად არც დღეს აღმოფხვრილა. შინაგან საქმეთა განყოფილების ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი დაახლოებით ამგვარად მსჯელობს: „თუ საფუძველი არ არსებობს, დანაშაული კი მაინც ხდება, გამოდის, რომ იგი ჩემი ცული მუშაობის შედეგია“, და იმის ნაცვლად, რომ ღრმად ჩასწვდეს სამართალდარღვევის ყოველ კონკრეტულ ფაქტს, განახორციელოს საჭირო პროფილაქტიკური ღონისძიებები, ამჯობინებს დამალოს დანაშაული და ხელოვნურად შექმნას მოჩვენებითი წესრიგის ატმოსფერო.

ვიდრე ეს მანვნი ტენდენცია საბოლოოდ არ აღმოიფხვრება ჩვენი მუშაობის პრაქტიკიდან, მანამდე დანაშაულობათა წინააღმდეგ სერიოზულ ბრძოლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

მალე მეორე ათეული წელი მიიღევა მას შემდეგ, რაც ჩვენ რესპუბლიკაში უკომპრომისო ბრძოლა გამოვუცხადეთ ნეგატიურ მოვლენებს. მხილებულია და პასუხისგებაშია მიცემული მრავალი მექრთამე, კომბინატორი და სახელმწიფო ქონების დამტაცებელი, მაგრამ გულახდილად ვალიართ, — ამ ბრძოლას საგრძნობი შედეგი არ მოჰყოლია. ერთი დამნაშავის ადგილს მეორე იკვრდა, იმიტომ, რომ ჩვენ შედეგს ვებრძოდით და არა მიზეზს. მიზეზი კი გახლდათ ის უარყოფითი პროცესები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ძალას იკრებდნენ, რასაც დღეს სოციალიზმის დეფორმაციას ვუწოდებთ.

პატიოსანი შრომის გაუფასურება ბევრს უბიძგებდა დანაშაულებრივი გზისაკენ. აღამიანთა მცირე ჯგუფის ხელში, ვინც უკეთ მოერგო გარემოპირობებს, დიდძალმა სიმდიდრემ მოიყარა თავი, მაშინ, როცა უმრავლესობას არსებობაც უჭირს. თავი იჩინა სოციალურმა უსამართლობამ, გაუფასურდა აღამიანური ღირებულებანი.

პარტიამ აღიარა დაშვებული შეცდომები და მთელი სიმწვავეთ დააყენა დღის წესრიგში გარდაქმნისა და მორალურ-ზნეობრივი განახლების საკითხი, რაც ძირშივე აღმოფხვრის დანაშაულის გამომწვევ სოციალურ მიზეზებს და ხელს შეუწყობს საზოგადოების გაჯანსაღებას.

გარდაქმნის წარმატებაზე დამოკიდებულია არა მარტო ჩვენი ქვეყნის ხალხების, არამედ ცივილიზებული მსოფლიოს ბედიც. ეს კარგად ესმის ჩვენს მტერ-მოყვარეს საზღვარგარეთ და მით უფრო უნდა გვესმოდეს ჩვენ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობენ ძალები, რომლებიც „სტაბილურობის შენარჩუნების“ მომიზეზებით ცდილობენ კვლავ ტოტალიტარიზმის გზაზე დააყენონ ქვეყანა, ხოლო ეს რას გვიქადის, უკვე ვიცით წარსულის მწარე გამოცდილებით და სულ ახლახან თბილისში დატრიალებული ტრაგედიითაც. აი რატომ ვამბობთ, რომ დიდი სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებს. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიართო დასახული მიზნისაკენ და არ ვეცადოთ წინ გავუს-

წრთ მოვლენებს, თორემ კვლავ რამე უბედურებას გადავეყრებით. ისე რაც წარმოუდგენლად მიგვაჩნდა გუშინ, დღეს უკვე რეალობად იქცა.

იმედსა და რწმენას გვინერგავს საქართველოს კომუნისტური პარტიის ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტი, რომლის საბოლოო მიზნადაც საქართველოს სრული სუვერენიტეტის მოპოვებაა აღიარებული.

ასეთ ვითარებაში შეუძლებელია გულისტკივილს არ იწვევდეს დანაშაულობათა ზრდა, რაც ეროვნულ სხეულს აძებუნებს და ფიტავს. განსაკუთრებულ შემოფოთებას იწვევს მკვლელობის, ნარკომანიისა და ავტოავარიების ზრდის შემთხვევები, რასაც ყოველწლიურად მრავალი ადამიანის სიცოცხლე ეწირება.

1986 წელს 132 მკვლელობაა ჩადენილი, 1987 წელს — 142, 1988 წელს — 155, ხოლო მიმდინარე წელს — 172. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყოველ მკვლელს ფაქტობრივად საკუთარი თავისთვისაც გამოაქვს მომაკვდინებელი განაჩენი, ეს ციფრები ლამის ორკეცდება. ჩვენს დემოგრაფიულ მდგომარეობას ვერ გამოვასწორებთ, თუ თითოეულ ადამიანს არ გავუფრთხილდით, მით უფრო, რომ დანაშაულს ძირითადად ახალგაზრდები სჩადიან, ისინი ვინც ერი უნდა ამრავლოს და აძლიეროს.

მკვლელობის ყველა ფაქტზე განგაშს უნდა ვტეხდეთ. ვინც თანამოძმეზე ხელს აღმართავს, ის მარტო დამნაშავე და ბოროტმოქმედი კი არა, ერის მოლაღატეც არის. ასევე პოტენციური მკვლეელი და ერის მოლაღატეა ყველა ახალგაზრდა, რომელიც ჯიბით ცეცხლმსროლელ და ცივ იარაღს ატარებს და კონფლიქტურ სიტუაციებს ქმნის ამხანაგებს შორის.

ეროვნულ ტრაგედიადა გვექცა ავტოავარიები. ყოველწლიურად ავტოავარიებს ასობით ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ეწირება. მარტო წელს, ათ თვეში, 2040 ავტოკატასტროფა მოხდა, რომელსაც 589 ადამიანი ემსხვერპლა, 2417 კაცი კი მძიმედ დასახიჩრდა. მდგომარეობა ყოველწლიურად უარესდება.

ცხადია, რესპუბლიკის გზები და ქალაქის ქუჩები ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს ავტომობილიზაციით წამოჭრილ მოთხოვნებს, სწორად არ მოქმედებენ ხშირად ავტონისპექციის მუშაკებიც, მაგრამ ზოგი რამ ხომ ჩვენს თავსაც უნდა დავაბრალოთ. ანალოზი ცხადყოფს, რომ რესპუბლიკაში მომხდარი ავარიების ძირითადი მიზეზი სიმთვრალე, სიჩქარის გადაჭარბება, უდისციპლინობა და მოძრაობის უსაფრთხოების ელემენტარული წესების უგულებელყოფაა.

რაშია საქმე, რამ მოგვიდუნა სიფრთხილისა და თვითშეგნების თანდაყოლილი ინსტიქტი? ეს არის დაუღვევრობა, ზერელობა და წესრიგისადმი უპატივცემლობა.

უდიდეს და საერო პრობლემად მიმაჩნია ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა. რომელიც ყოველდღიურად მიზანსწრაფული ხასიათისა უნდა იყოს და ამ ბრძოლაში ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი მხარში უნდა ედგეს მილიციის ორგანოებს.

ხშირად სვამენ კითხვას, — რა არის ნარკომანია. ავადმყოფობა თუ დანაშაული? — ვფიქრობთ, რომ ორივე ერთად, უწინარეს ყოვლისა კი დანაშაული, რომელიც უკურნებელ, ინფექციურ სენად იქცევა.

ნუ დავგავიწყებდა, რომ ნარკომანია დღევანდელი მსოფლიოს გლობალური სენია და ამიტომ მას უნდა დავუპირისპიროთ არა მარტო მილიციის

ოპერატიულ ღონისძიებათა კომპლექსი, არამედ მთელი საზოგადოების ბრძოლისუნარიანობა, მკურნალობა, აღმზრდელობითი მუშაობა, ავტაცია და პროპაგანდა. ანალიზი მოწმობს, რომ ნარკოტიკების გამსაღებელთა უმრავლესობა სხვა ერის წარმომადგენელია, ხოლო მომხმარებელი — უპირატესად ქართველები. აქედან გამომდინარე, სამინისტრო ყველაფერს ღონობს იმისათვის, რომ ჩვენი კოლეგების მოძმე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა ორგანოების დახმარებით დროულად გამოვავლინოთ ყველა არხი და საშუალება, რომელთა მიშვეობით საქართველოში ნარკოტიკული ნივთიერებანი შემოდის.

გავრცელებულია მცდარი აზრი, თითქოს უმთავრესად დევნიან ნარკომანს და არა ნარკოტიკების გამყიდველებს. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, თითქოს დაზღვეული ვიყოთ შეცდომებისა და ნაკლოვანებებისაგან, ვიცით, ამ დიდ ეროვნულ სატიკვარზე ზოგი ხელსაც ითბობს, მაგრამ ვერც იმ აზრს დავეთანხმებით, თითქოს განზრახ ვმფარველობდეთ ვინმეს. ჩვენ ყოველწლიურად ნარკოტიკების მრავალ გამავრცელებელს ვაძხვლთ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვაძლევთ, ასევე ვიღებთ და ვანადგურებთ დიდძალ ნარკოტიკულ ნივთიერებებს. ეს ღონისძიებები აუცილებელია, მაგრამ საქმარისი როდია ამ საშინელი სენის დასაძლევად.

უფროს თაობას თამამად შეუძლია თქვას, რომ ერის მომავალი საიმედო ახალგაზრდობის ხელშია, მაგრამ მაინც სამართლიან შეშფოთებას იწვევს არასრულწლოვანთა დანაშულის ზრდა. მიმდინარე წლის 9 თვეში არასრულწლოვანებმა 381 დანაშაული ჩაიდინეს. პასუხისგებაში მიცემულია 30 წლის ასაკამდე, ორი ათასზე მეტი ახალგაზრდა, დანაშაული ხშირად ჭგუფური ხასიათისაა, რაც მეტად დამაფიქრებელია.

ჩვენ მოველოდით, რომ რესპუბლიკაში ეროვნული თვითშეგნების ამაღლება და დამოუკიდებლობისათვის მოძრაობა კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა დანაშაულობათა სტატისტიკაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს არ შეინიშნება. გვჯერა, საბოლოოდ ალბათ ასედაც მოხდება, მაგრამ, ჩანს, საამისოდ გარკვეული დრო და მუშაობაა საჭირო. დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლია ამ საქმეში ყველა აღმზრდელობითს ინსტიტუტს, სახალხო ფრონტს, უმაღლეს და საშუალო სკოლას, მთელ საზოგადოებრიობას. ამ მოწინავე ძალების უმთავრეს ამოცანად ჩვენ გვესახება დამნაშავეთა სამყაროს ზეგავლენისაგან იხსნას ჩვენი ყმაწვილები, ჩაუნერგოს მათ პატრიოტიზმის გრძნობა, გულმოწყალება, სიკეთის, პატიოსნებისა და უნაგარო შრომის სიყვარული, რათა ახალგაზრდა საბრალდებო სკამამდე არ მივიდეს. ეჭვს არ იწვევს ის ჭეშმარიტება, რომ საპყრობილე არასოდეს ყოფილა, არ არის და არც იქნება ადამიანის გამოსწორების კარგი საშუალება.

უდიდეს ამოცანად გვესახება ახალგაზრდების შრომით პროცესებში ჩაბმა, რათა დამოუკიდებელ ცხოვრებას უფრო მომზადებულნი შეხვდნენ. როგორ არ გავიხსენოთ იქ, დასავლეთის ქვეყნებში საყოველთაოდ მიღებული და დამკვიდრებული წესი, როცა ფრიად შეძლებული ოჯახების შვილებიც კი მუშის პროფესიით იწყებენ შრომით საქმიანობას და მხოლოდ თავიანთი შემოსავლით ცხოვრობენ.

მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის ფუნქციას ამჟამად ჩვენში ახორციელებენ სამეთვალყურეო კომისიები, რომლებიც შექმნილია ყველა საქალაქო და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტთან, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან. მასში შედიან როგორც დეპუტატები, ასევე საზოგადოების წარ-

მომადგენლები, რომლებიც კონტროლს უწევენ აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ პატიმართა უფლებების დაცვის კომიტეტის შექმნის იდეისა, მაგრამ იქნებ სჯობდა უკვე შექმნილი კომისიების მუშაობაში მიეღოთ მონაწილეობა დაინტერესებულ ორგანიზაციებს და გაედღიერებინათ მისი ქმედუნარიანობა; მხედველობაში გვაქვს, რომ ეს კომისიები დაზღვეული არ იქნებიან ცალკეული შეცდომებისაგან.

რაც შეეხება მსჯავრდებულებთან საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრებს, ამის უფლება მათ აქვთ. ამ მხრივ საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობაც მიმდინარეობს. ხშირად ეწყობა შეხვედრები შრომითი კოლექტივებისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, იმართება საშეფო კონცერტები, მუშაობს თვითმოქმედი წრეები, რომლებსაც ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწენი ხელმძღვანელობენ. მსჯავრდებულებს სრული უფლება აქვთ ისარგებლონ ყოველგვარი ლიტერატურით, რაც ხელს შეუწყობს მათ ზნეობრივ ამაღლებას.


გამასწორებელ დაწესებულებათა სისტემაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვხვდება, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ აქაც შეიმჩნევა სასიკეთო ძვრები — წინა პლანზე გადმოდის ადამიანის ფაქტორი, მიმდინარეობს ჰუმანიზმის პროცესები. განსაკუთრებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ამ მხრივ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი.

ჩვენ მივესალმებით მოწოდებას ყველა ფორმალური და არაფორმალური გაერთიანებისადმი, რომ მხარში ამოუდგნენ მილიციას და ერთიანი ფრონტით ვებრძოლოთ ყოველგვარ დანაშაულს, განვამტკიცოთ წესრიგი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. დღეს განსაკუთრებით საჭიროა არა დაპირისპირება, არამედ კონსოლიდაცია, რაც საშუალებას მოგვცემს დავამყაროთ რესპუბლიკაში მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგი, აქტიურად ვებრძოლოთ დამნაშავეობას და მის გამომწვევ მიზეზებს.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის, ამხანაგ ვ. ბაკატინის საქართველოში ყოფნის დროს განვიხილეთ ბევრი საჭირობოროტო საკითხი და, კერძოდ, მილიციის ორგანოების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების, მისი პროფესიონალიზმის სრულყოფისა და ტექნიკით აღჭურვის პრობლემები. ამ მხრივ გასაკეთებელი ბევრია და იმედსაც არ ვკარგავთ, რომ დადებით ძვრებს ახლო მომავალში ვიხილავთ. ყველაფერი ეს კი ჩვენს მოსახლეობაში განამტკიცებს იმის რწმენას, რომ მილიცია მტკიცედ დაიცავს მის უფლებებს, სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სინდისსა და ნამუსს, დაიცავს შრომით მოპოვებულ დოვლათს.

დასასრულ, გვინდა მილიციის დღესასწაული მივულოცოთ რესპუბლიკის მშრომელებს, შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობას და ყველას, ვისაც გარკვეული წვლილი შეაქვს მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში.

საქართველოს
სსრკ-ის
ბიბლიოთეკა



სოციალისტური საბაქტობრივი სახელმწიფო

პრივილეგია

ალბათ სადაო არ უნდა იყოს, რომ ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ რუსეთში გაიმარჯვა არა მარქსისა და ენგელსის მოდელით, არამედ იმპერიალიზმის პერიოდის ლენინური გაანალიზების შედეგად: იმპერიალისტური ქვეყნების ჯაჭვში სუსტი რგოლის გაწყვეტით, აგრარულ სახელმწიფოში და ისიც ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში გამარჯვების მიღწევით.

ასეთმა გარემომებამ ზომავე მეტად გაამწვავა სამოქალაქო ომი, შინაგანი წინააღმდეგობა, ეროვნული ურთიერთობა, წვრილბუჩქუაზიულ პარტიათა მოქმედება და ა. შ.

რევოლუციის გამარჯვებას მოჰყვა ძველი სახელმწიფო აპარატის ნგრევა და საბჭოების სისტემის დამკვიდრება. ვ. ი. ლენინმა ხომ სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდში (1917 წ. აპრილში) აღმოაჩინა პროლეტარიატის დიქტატურის ახალი სახელმწიფოებრივი ფორმა — საბჭოთა რესპუბლიკა.

საბჭოთა რუსეთის პირველი კონსტიტუციის შემუშავებისას საკონსტიტუციო კომისიაში შემავალ ფრაქციათა შორის ბევრი პრინციპული მნიშვნელობის პრობლემა იყო დასაძლევი, მაგრამ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი პროლეტარიატის დიქტატურის კონსტიტუციური გზით დაკანონების საკითხი გახლდათ.

აგრარულ ქვეყანაში მემარცხენე ესერები გლეხთა დიქტატურის დაკანონებას მოითხოვდნენ. ისინი გამორიცხავდნენ სოფლის უღარიბესი ფენების, სოფლის პროლეტარიატის არსებობას, რომელთანაც ქალაქის პროლეტარიატი უკვე უმრავლესობას წარმოადგენდა. ამან განაპირობა ის, რომ რსფსრ 1918 წლის კონსტიტუციის მე-9 მუხლით აღიარებული იქნა რუსეთში არა „პროლეტარიატის დიქტატურა“, არამედ „ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის დიქტატურა“.

სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციით გამოთქმამ — „ქალაქისა და სოფლის“ — დაკარგა თავისი მნიშვნელობა. კონსტიტუციის პირველ კარში ჩაწერილია „მხოლოდ საბჭოთა ბანაკში, მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, იმ დიქტატურისა, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა მოსახლეობის უმრავლესობა, შესაძლებელი გახდა ეროვნული ჩაგვრის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა“.

პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ მითითებულია აგრეთვე სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციაშიც (მუხ. 2).

მართალია, 60-იანი წლებიდან კონსტიტუციაში ეს დებულება არ ჩასწორებულა, მაგრამ პარტიული დოკუმენტები პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს ნაცვლად უკვე სოციალისტურ საერთო-სახალხო სახელმწიფოს არსებობაზე მიუთითებენ (იხ. სკკპ პროგრამა).

ამის შედეგად, სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუცია იურიდიულად

აფორმებს „სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს“ არსებობას, „...რომელიც მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ნებასა და ინტერესებს გამოხატავს“ (მუხ. 1).

სკკპ XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე თავის მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: „ჩვენი სახელმწიფო იშვა როგორც მუშათა კლასის დიქტატურის იარაღი, ხოლო 60-იანი წლების მიჯნაზე გაკეთდა დასკვნა მის საერთო-სახალხო სახელმწიფოდ თანდათანობით გადაზრდის შესახებ. მაგრამ რაც უფრო ღრმად ვწვდებით პოლიტიკური პროცესის შინაარსს, მით უფრო ცხადი ხდება, რომ საჭიროა ჩვენი სახელმწიფოებრიობა ავიყვანოთ საერთო-სახალხოდ ამ ცნების სრული მოცულობით“¹.

სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის რეზოლუციაში ამ დებულებას შემდეგი დამატება: „ახლა ამოცანა ის არის, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრიობა სრულად შეესაბამებოდეს ამ ცნებას, რომ ყველა საქმეს ქვეყანაში წყვეტდნენ ხალხი და მისი სრულყოფილიანი წარმომადგენლები, ექვემდებარებოდნენ მის სრულ და ქმედით კონტროლს“².

ნათქვამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო ნამდვილად სახალხო უნდა გახდეს, განვითარდეს მისი დემოკრატიული პრინციპები, საჯაროობა. ამავე დროს, დემოკრატია კანონიერების დაცვის გარეშე შეუძლებელია და ამიტომ ჩვენი სახელმწიფო არა მარტო ნამდვილად საერთო-სახალხო უნდა გავხადოთ, არამედ იგი სამართლებრივ სახელმწიფოდაც უნდა ვაქციოთ.

სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის შესახებ პირველად სკკპ XIX საკავშირო კონფერენციაზე დაისვა საკითხი. მის თეზისებში, რომელიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა, ნათქვამია: „საბჭოთა საზოგადოების თანმიმდევრული დემოკრატიზაციის პროცესი უნდა დაასრულოს სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს „შექმნამ“ (თეზისი 8).

კონფერენციაზე დაბეჯითებით ითქვა, რომ ჩვენ ვავსებთ „ჩვენი საერთო-სახალხო სახელმწიფოს დახასიათებას „სამართლებრივის“ ცნებით. ეს იმას ნიშნავს, რომ სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციის ჩასწორებისას მის პირველ მუხლში თავი უნდა იჩინოს გამოთქმამ — „სოციალისტური სამართლებრივი საერთო-სახალხო სახელმწიფო“ და ამ შემთხვევაში ამ ერთ ცნებაში მისაღწევი გვექნება ორი ამოცანა: გავხადოთ ჩვენი სახელმწიფო ნამდვილად საერთო-სახალხო და ნამდვილად სამართლებრივი, მაგრამ აქვე აუცილებელია დავიცვათ პირობა, რომ ორივე მათგანი შეესაბამებოდეს სოციალიზმს, სოციალისტურ დემოკრატიას. სოციალიზმი კი რა თქმა უნდა, ახალი იერსახისა — ჰუმანური უნდა იყოს.

* * *

არც ისე დიდი ხანია გასული მას შემდეგ, რაც ჩვენი სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლის დროს კრიტიკულად ვსწავლობდით სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ არსებულ იდეებს, რომელსაც მივიჩნევდით კიდევ იდეალისტურ კონცეფციად. მის ერთ-ერთ

¹ მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობისა და გარდაქმნის გარდავების ამოცანების შესახებ, 1988, გვ. 48-49.

² სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის რეზოლუციები, 1988, გვ. 16.

საწყის თეორეტიკოსად ემანუილ კანტი ითვლებოდა. კანტისათვის სახელმწიფო, ეს არის განსაზღვრულ პირთა ერთიანობა სამართლის ზემდგომობით. მას მმართველობის ფორმათაგან მიზანშეწონილად მიაჩნდა რესპუბლიკა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში დანაწილებული იქნებოდა ხელისუფლება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებად.

იმ პერიოდში სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა კონსტიტუციურ-მონარქიულ სახელმწიფოს არსებობას იცავდა.

სამართლებრივი სახელმწიფოს ამგვარ შეხედულებებს იზიარებდნენ გაორგი იელინეკი, ლეონ ლიუგი, ორიუ და სხვა ცნობილი სამართალმცოდნენი. თითოეული მათგანის ხელში სამართლებრივი სახელმწიფოს მოდელი ღებულობდა ახალ სახეს. სწორედ ასე ხდებოდა რევოლუციამდე ყველგან და მათ შორის ძველ რუსეთშიც. რევოლუციის შემდეგ კი, კერძოდ 20-იანი წლებიდან, საბჭოთა იურიდიული მეცნიერება სამართლებრივ სახელმწიფოს მიიჩნევს ბურჟუაზიულ დოქტრინად³.

* * *

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირში დაიწერა მრავალი საყურანალო თუ საგაზეთო წერილი (სამწუხაროდ არა წიგნები) საბჭოთა სახელმწიფოს და საზოგადოების თანაფარდობის, სახელმწიფოსა და სამართლის, სამართლისა და კანონის ურთიერთდამოკიდებულებაზე. თუმცა, დღემდე საბჭოთა მეცნიერების მიერ მაინც არ არის შექმნილი კონცეფცია სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ. ამ მხრივ, ჩემის აზრით, პირველი სიტყვა ფილოსოფოსებს ეკუთვნით, რომელთა გაანალიზების შემდეგ ეს პრობლემა იურიდიულ ასპექტში მოექცევა.

ის ფაქტი, რომ სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს აგების აუცილებლობის შესახებ მხოლოდ ოფიციალურ პოლიტიკურ დოკუმენტებში იწერება, ხოლო იურიდიულ მეცნიერებას ჯერ მისი სრულყოფილი კონცეფციაც კი არ აქვს შემუშავებული, სერიოზული ნაკლია. წინა ათწლეულებში ჩვენ მიჩვეულნი ვიყავით, რომ „ზემოდან“ უნდა თქმულიყო მზა-მზარეული რეკეტები და შემდეგ „გაიშლებოდა“ მასზე თეორიული დავა. დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში კი შეიძლება „ნავსი გატყდეს“ და მისი დეტალური შემუშავება სწორედ „ქვემოდან“ დაიწყოს.

ერთი კი უნდა ითქვას, სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს დოქტრინის შემუშავებას ალბათ წინ უნდა უძღვოდეს ბურჟუაზიული სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიისა და მათი კონსტიტუციების საფუძვლიანი გაანალიზება, რადგან ახალი პრინციპების თეორიული და პრაქტიკული დამკვიდრება ქვეყნის გარდაქმნის შემადგენელი ნაწილია.

სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის იდეა უდავოდ გაამდიდრებს მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურს სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებში.

როგორც ცნობილია, სამართლებრივი სახელმწიფოს დოქტრინის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი სწორედ ის არის, რომ საზოგადოება, სახელმწიფო დაფუძნებულია კანონებზე, სამართალზე. კ. მარქსი კი სწორედ ამ

³ Черниловский З. М., Правовое государство: исторический опыт (журн. «Советское государство и право», 1989 г., № 4).

დებულებას აკრიტიკებს და აცხადებს, რომ საზოგადოება არ არის დაფუძნებული კანონზე, „ეს იურისტების ფანტაზიაა“-ო¹.

მართლაც, სამართლებრივი სახელმწიფო კანონის უზენაესობას ემყარება, მაგრამ განა შეიძლება სახელმწიფო ყოველ კანონს დაემყაროს? თვით კანონის შინაარსი რით არის განპირობებული?

დასახელებული დებულება კ. მარქსს იმის ასახსნელად სჭირდება, რომ დაასაბუთოს: სახელმწიფოსა და კანონის არსებობის საფუძველი ქვეყნის ეკონომიკა და მისგან გამომდინარე საზოგადოების კლასობრივ ძალთა თანაფარდობააო. დიახ, კანონი შეიძლება მართლაც ბევრი მივიღოთ, მაგრამ მათი განხორციელების პირობები კი არ არსებობდეს, რადგან ნაადრევი ან უკვე მოძველებული იყოს.

ამრიგად, სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა მოითხოვს შესაბამის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მორალურ-ზნეობრივ საფუძვლებს, კულტურის განსაზღვრულ დონეს. მისი დამახასიათებელია სახალხო ხელისუფლების განხორციელება, მოქალაქეთა და სახელმწიფოს უფლებებისა და მოვალეობების ორმხრივი ზუსტი დაცვა, მათი ურთიერთშინაშე პასუხისმგებლობა, ნეგატიური მოვლენების სავსებით აღმოფხვრა, სოციალისტური თვითმმართველობის შექმნა, დემოკრატიზაცია, საჯაროობა, მოსახლეობის იურიდიული საყოველთაო სწავლებისა და აღზრდის მაღალი ორგანიზაცია.

* * *

ჩვენს სახელმწიფოს დღემდე უწოდებენ „საერთო-სახალხო“-ს, მაგრამ მიზნად დავისახეთ შევქმნათ სოციალისტური სამართლებრივი საერთო-სახალხო სახელმწიფო. რას ნიშნავს ეს? განა „უსამართლო“ დღეს ჩვენი სახელმწიფო ან „ანტი სამართლებრივი“ იგი? არ გაგვაჩნდა ან არ გაგვაჩნია კანონები?

მე ვთვლი, რომ სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა რევოლუციის პირველი დღიდანვე დაიწყო. ამას მოწმობს უამრავი (შეიძლება ითქვას ათასობით) დეკრეტის მიღება, რომელთა ტომების გამოქვეყნება ჯერაც არ დასრულებულა. შემდეგში, საბჭოების ყრილობების, ცაკ-ისა და სხვა ორგანოთა უამრავი კანონები, მათი ინკორპორაცია და კოდიფიკაცია, მაგრამ, აქ საკითხავი სწორედ ის არის, თუ ჯერ კიდევ გამოუცდელი სახელმწიფო როგორ აქტებს ღებულობდა და, რაც მთავარია, როგორ ზღებოდა მათი რეალიზაცია. ამას ემატება აგრეთვე მბრძანებლურ-ბიუროკრატიული მოქმედება, მასობრივი ტერორი, სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის, უძრაობის ხანა, ბოლოს გარდაქმნის, დემოკრატიზაციის და საჯაროობის წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდი.

ამრიგად, კანონები გაგვაჩნდა წარსულშიც, მაგრამ მრავლად იყო უკანონობაც. სწორედ ამან განაპირობა, რომ სკკპ XIX საკავშირო კონფერენციამ დაისვა საკითხი ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის შესახებ. დიახ, კანონის მიღებაც კანონიერი გზით უნდა ზღებოდეს და მისი აღსრულებაც. ყოველი მოქალაქე კანონის წინაშე თანასწორია, თვითნებობა გამორიცხული უნდა იყოს. კანონს უნდა იცავდნენ ადამიანებიც და სახელმწიფო ორგანოებიც. პიროვნებას, მოქალაქეს რა კონსტი-

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 6, стр. 259.

ტუციური უფლებებიც გააჩნია, მისი საპირისპირო ვალდებულებები სახელმწიფოს ეკისრება. მაგალითად, მოქალაქეებს ჩვენს ქვეყანაში მატერიალურად უზრუნველყოფის უფლება გააჩნიათ. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ევალება მათზე გასცეს სათანადო დახმარება ან დაუნიშნოს პენსია. მეორეს მხრივ, რა უფლებაც სახელმწიფოს გააჩნია, მისი საპირისპირო ვალდებულება მოქალაქეებს ეკისრებათ: აქ იგულისხმება საჭირო შემთხვევაში მობილიზაციის ჩატარების, სამხედრო ნაწილების შექმნის უფლება და ა. შ. ერთი სიტყვით, უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება განუყოფელია მოქალაქის მიერ ვალდებულებათა შესრულებისაგან. იგივე ითქმის სახელმწიფოს მიმართაც.

სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა ნიშნავს არა მარტო ყველა სფეროში კანონების მიღებას, არამედ კანონების მიმღებ ორგანოთა ახალ სტრუქტურასა და მათი შექმნის ახალ წესსაც — ამ ორგანოთა მუშაობის სწორ ორგანიზაციას, დემოკრატიზაციას და საჯაროობას, კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, საბოლოოდ კი კანონთა უზენაესობას. ამიერიდან კანონები შემუშავდება არა „დახურული წესით“, არამედ საჯაროდ, მთელი საზოგადოების თვალწინ, საბჭოთა ადამიანების აქტიური მონაწილეობით.

სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ახალი სისტემა უფრო მტკიცედ მიჯნავს ერთმანეთისაგან საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს, აღმასრულებელ ორგანოთა მეტ პასუხისმგებლობას აწესებს ხელისუფლების ორგანოთა წინაშე, ამასთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს I სესიის დასასრულს წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა: „...შეიქმნა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ახალი ურთიერთობა, ისეთი როგორიც უნდა იყოს იგი მისი ბუნებითა და დანიშნულებით.“

ლენინის შემდგომ მთელი პერიოდის განმავლობაში ჩვენში პირველად შეიქმნა მთავრობა, რომლის ყოველმა წევრმა უნდა ჩააბაროს დეპუტატებს გამოცდები ჯერ კომიტეტებსა და კომისიებში, შემდეგ პალატათა სხდომებზე... უმაღლესი საბჭო შემდგომშიც კონტროლს გაუწევს მთავრობის მუშაობას და ამავე დროს თავს არ მოაბეზრებს ზედმეტი, წვრილმანი მეურვეობით“⁵.

ქვეყანაში განხორციელებული სამართლებრივი რეფორმა უპირველესად უნდა შეეხოს მართლმსაჯულების ორგანოებს. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, როდესაც მიიღო 1989 წლის 4 აგვისტოს კანონი — „სსრ კავშირის მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“. სათანადო აქტები იქნება აგრეთვე მიღებული პროკურატურის ორგანოების, ადვოკატურის, არბიტრაჟის და სხვა სამართალდამცავი ორგანოების, აგრეთვე სახალხო მსაჯულთა შესახებ. ერთი სიტყვით, შეიქმნება კანონთა კომპლექსი, რომელმაც რადიკალურად უნდა გააუმჯობესოს ყველა იმ ორგანოთა მუშაობა.

სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია ხალხის სუვერენული უფლებების დაცვა. სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციის მე-2 მუხლით „ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მეშვეობით“...

⁵ გაზ. „კომუნისტი“, 1989 წ. 6 აგვისტო.

ლენინური დებულება „სახელმწიფო — ეს ჩვენა ვართ“, პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოში არა მარტო უნდა დაიცვას ხალხის, საზოგადოების ნება-სურვილი, არამედ იგი ანგარიშვალდებულიც უნდა იყოს მის წინაშე. საზოგადოებამ თავისი უფლებების დიდი ნაწილი უნდა გადასცეს სახელმწიფოს კონტროლის უფლებით.

ამ მხრივ დიდ როლს შეასრულებს კანონპროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვა, სახალხო გამოკითხვა (რეფერენდუმი).

სამწუხაროდ, დღემდე ჩვენ კიდევ არ გავგაჩნია კანონი რეფერენდუმის მოწყობის წესის შესახებ.

სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. კონსტიტუციით მათ მიკუთვნებული აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, შეუძლიათ თვითონ შეიმუშაონ კანონპროექტები პროფკავშირების უფლებრივი მდგომარეობის, ახალგაზრდობის შესახებ და ა. შ. მათი უფლებები უფრო საგრძნობი გახდა მას შემდეგ, რაც ახალი საარჩევნო კანონით საკავშირო სახალხო დეპუტატთა არჩევისას მათ უშუალოდ თვითონ წარგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში ყოველი მისი ორგანო, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, თანამდებობის პირი, მოქალაქე ფუნქციონირებს კანონის ფარგლებში და მხოლოდ კანონით.

ამიტომ აუცილებელია კანონით განისაზღვროს სახელმწიფოს საერთო ფუნქციები, მის ცალკეულ ორგანოთა მოქმედების ფარგლები, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და მოქალაქეების მიმართ, კონფლიქტების შემთხვევაში კი მათი გადაწყვეტის დემოკრატიული საშუალებები, ხალხის მიერ პირდაპირი დემოკრატიის განხორციელების გზები და ა. შ. კანონთა მთელი ამ კომპლექსის მიღება სამართლებრივი სახელმწიფოს თვისებათა სრული მოთხოვნების დაცვით და მით უფრო, მათი ზუსტი განხორციელება არც ადვილია და არც მოკლე დროში შესასრულებელი. ამ საქმეში ზუსტი მოდელი წინასწარ არა გვაქვს. ეს შეუძლებელიც არის იმიტომ, რომ გზადაგზა მასში ცხოვრებისეული კორექტივების შეტანა აუცილებელი იქნება.

სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარების ახალი ეტაპი იქნება. უმაღლესი ზნეობრივი ხასიათის სახელმწიფო და სამართალი საზოგადოების განვითარებული პოლიტიკური კულტურით — ასეთად გვესახება სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფო.

* * *

მოკლედ სოციალისტური სამართლებრივი საერთო-სახალხო სახელმწიფოს ზოგიერთ დამახასიათებელ ნიშანზე:

1. სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფო ცხოვრების განსაზღვრულ წესს მოიცავს. ამ დროს დაცულია მოქალაქეთა, თანამდებობის პირთა, სახელმწიფო ორგანოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ კანონის უზენაესობა. კანონი უნდა გამოხატავდეს მთელი ხალხის ნება-სურვილს, ანიჭებდეს მოქალაქეებს ფართო უფლებებსა და თავისუფლებებს, იცავდეს მათ მოთხოვნებსა და ინტერესებს, განამტკიცებდეს მოქალაქეთა თანასწორობასა და პასუხისმგებლობას სახელმწიფოს წინაშე და პირიქით.

კანონი, როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე ითქვა

„სამართლებრივი სახელმწიფოს ცხოვრების საფუძველია“. ამიტომ იგი მხოლოდ კანონიერი გზით, დემოკრატიული პრინციპების, საჯაროობის დაცვით უნდა იყოს მიღებული და გამოხატავდეს არა მხოლოდ კანონმდებლის, არამედ ხალხის, ყოველ შემთხვევაში, მისი დიდი უმრავლესობის ნებას. მხოლოდ ასეთი პირობის დაცვით მიღებული კანონის უზენაესობას აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა.

ამასთან ერთად, საჭიროა გაუმჯობესდეს როგორც კანონის, ასევე კანონქვემდებარე აქტების მიღების წესი. უნდა ვერიდოთ იმას, რომ კანონქვემდებარე აქტებმა, განსაკუთრებით კი ინსტრუქციებმა არ შეთანქან კანონები. აუცილებელია გაიზარდოს კოლექტიური ორგანოთა ფუნქციები და შემცირდეს ერთმმართველობითი აქტები, განმტკიცდეს კონსტიტუციური კონტროლი, ამაღლდეს საბროკურორო ზედამხედველობა მმართველობისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობაზე.

სამართლებრივ სახელმწიფოში მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ერთიმეორისაგან კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, მაგრამ იმგვარად, რომ ყოველთვის იყოს დაცული კანონის უზენაესობა.

2. სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა ხალხის თვითმმართველობის წინა პირობაა. აქ გამოყენებული იქნება როგორც უშუალო დემოკრატიის გზა, ისე წარმომადგენლობითი ორგანოების მოქმედება. ამასთან დაკავშირებით საჭიროა კონსტიტუციური ნორმების დაზუსტება და მისგან გამომდინარე შესატყვისი ზუსტი საარჩევნო პრინციპების შემუშავება.

სამართლებრივ სახელმწიფოში არც სახელმწიფო და არც პარტია საზოგადოებაზე მაღლა არ უნდა იდგნენ, ისინი მხოლოდ ხალხის ნებას უნდა ექვემდებარებოდნენ. სამართალი არ უნდა იყოს სახელმწიფოს „ძლიერი იარაღი“, რათა ამით ხალხი ჩააყენოს ადამიანთა „ვიწრო წრის“, „ზედა ფენის“ სამსახურში. წარსულის ასეთი მოვლენებისაგან ხშირად დღესაც გვაქვს თავი დასაღწევი⁶. ამ მიზნით საჭიროა მთლიანად გაუქმდეს სახელმწიფოში მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მმართველობითი სისტემა, მუშაობის ბიუროკრატიული სტილი, უწყებრიობა, გადაჭარბებული ცენტრალიზმი და რიგი სხვა ნეგატიური მოვლენები. საბჭოთა ხალხმა სახელმწიფო აპარატი მთლიანად თავის სამსახურში უნდა ჩააყენოს, შეამციროს ხარჯები, უფრო რენტაბელური გახადოს მისი მუშაობა.

3. სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის პროცესში საჭიროა განსაკუთრებით გაძლიერდეს სამართალდამცავი ორგანოები, გაფართოვდეს მათი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, დაცული იყოს მოქალაქეთა უფლებები, განმტკიცდეს კანონიერება, ამაღლდეს სასამართლოების, შინაგან საქმეთა, უშიშროების, პროკურატურის, იუსტიციის, ადვოკატურის და საგამოძიებო ორგანოების, სახელმწიფო და საუწყებო არბიტრაჟის როლი, მათი მნიშვნელობა.

საბჭოთა სახელმწიფო აპარატის საქმიანობამ აუცილებლად უნდა მოიცვას მოქალაქეთა უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვის ფუნქცია, რაც სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს დამახასიათებელი თვისებაა.

4. დემოკრატიულობა და საჯაროობა სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი ნიშანია. დემოკრატიის შეზღუდვა პიროვნების კულტის შექმნას

⁶ Журн.: «Советское государство и право», 1989 г., № 3, стр. 55.

და კანონიერების უხეშ დარღვევებს უწყობს ხელს. კანონიერება და დემოკრატია უერთმანეთოდ არ შეიძლება არსებობდნენ. მათ გარეშე წარმოუდგენელია სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა.

ქვეყნის გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური დემოკრატიის გაფართოების გზით, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი — საჯაროობაა. გარდაქმნის ე. ი. დემოკრატიზაციისა და საჯაროობის გარეშე, შეუძლებელია სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა.

5. სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს დიდმნიშვნელოვანი ელემენტია ეროვნებათშორისი ურთიერთობის მოწესრიგება. როცა ხალხის შესახებ ვლაპარაკობთ იგულისხმება, რომ „ხალხი“ მხოლოდ ერთ რომელიმე ერს არ ნიშნავს. სახელმწიფოს შიგნით და მით უფრო სოციალისტური ფედერაციის შემადგენლობაში შემაჯავალ ერებს შორის არსებული ურთიერთობა ლენინური პრინციპით უნდა იყოს მოწესრიგებული.

იქ, სადაც 100-ზე მეტი ერი, ეროვნება და ეროვნული ჯგუფი ცხოვრობს, ეროვნული ურთიერთობის გადაჭრისას განსაკუთრებული სიფრთხილე და სიფაქიზება საჭიროა. ასევე ითქმის ჩვენს რესპუბლიკაზეც, სადაც ოდნავი წინდაუხვდაობით ან გარეშე ძალების ჩარევის შედეგად შესაძლებელია ტრაგიკულ შედეგებამდე მივიდეთ. ამის მაგალითები სამუხებაროდ უკვე გვაქვს. აქედან გამომდინარე, ეროვნებათშორისი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად მრავალი პრობლემაა გადასაჭრელი სამართლებრივი სახელმწიფოს აგების პროცესში.

სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის სექტემბრის პლენუმი, რომელმაც ეროვნებათშორისი ურთიერთობის ღონისძიებები შეიმუშავა.

6. სამართლებრივი სახელმწიფოს აგების ერთ-ერთი ელემენტია არა მარტო სახელმწიფო აპარატის მუშაკების, არამედ მთელი მოსახლეობის საყოველთაო იურიდიული განათლებით აღჭურვა. სამართლებრივი კულტურის დანერგვა მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფოებრივ საქმიანობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1988 წლის თებერვალში გაიმართა, საქმიანად იმსჯელა ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო იურიდიული სწავლების შესახებ, რაც თავისთავად მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის შემადგენელი ნაწილია. ამიტომ საჭიროა მშრომელთა ფართო მასები ნამდვილად დაეუფლონ სამართლის საფუძვლებს, რადგან კანონის უტოლიანობა ან მისი უგულებელყოფა, ხშირად ძალიან ძვირად უჯდებათ ადამიანებს.

ყველა სხვა კომპონენტთან ერთად, სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების უმაღლესი ინტელექტუალური განვითარებით, მისი პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის ამაღლებით, ქვეყანაში ჯანსაღი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნით. ასეთ ვითარებაში დაცული უნდა იყოს აგრეთვე სოციალისტური პლურალიზმი, საჯაროობა, საზოგადოებრივი აზრი. ყველაფერი ეს კი სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს თვისებაა.

7. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა სოციალისტური სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ფუნქციების თანაშეფარდებასაც გულისხმობს. ეს იმას ნიშნავს, რომ საგარეო ურთიერთობაშიც უნდა მოქმედებდეს არა „სახელმწიფოებრივი იძულებითობა“, „ძალის პოზიცია“, არამედ ახალი საერთაშო-

რისო სამართლებრივი ნორმები, ხალხთა შორის ურთიერთობაში უნდა იგრძნობოდეს ახალი პოლიტიკური აზროვნება, სამართლის პრინციპი, სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი პრინციპია აგრეთვე საერთაშორისო სამართლის ცნობილი პრინციპებისა და ნორმების დაცვა, მშვიდობის შენარჩუნება, აგრესიისა და ომების აღკვეთა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოსვლისას 1988 წლის 7 დეკემბერს მ. ს. გორბაჩოვმა ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებისათვის, საყოველთაო განიარაღების, „ევროპის ერთიანი სახლის“, „ჩვენი პლანეტის, როგორც კაცობრიობის „საერთო თავშესაფარის“ შესახებ, სადაც ძალის პოზიციის საწინააღმდეგოდ წამოყენებულია მშვიდობიანი გზით, დიალოგით მისი გადაჭრის შესაძლებლობანი.

სწორედ მაშინ განაცხადა მ. ს. გორბაჩოვმა, რომ „ყოველმომცველი საერთაშორისო ურთიერთობის კონცეფცია ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს და ხელმძღვანელობს იმით, რომ საერთაშორისო სამართალი სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსათვის“⁷.

პელსინკის პაქტის მოთხოვნები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოწოდებანი „კაცობრიობის ცხოვრებიდან ომების გამორიცხვის“, „მშვიდობის დაცვის“, „ადამიანების უფლებათა უზრუნველყოფის“ შესახებ, სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი პრინციპებიც არის. ეს ყველაფერი არ ეწინააღმდეგება სხვადასხვა წყობილების მქონე სახელმწიფოთა თანაარსებობის ლენინურ პრინციპს.

„ვისწავლოთ ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა გვარნი ვართ და ყველაფერში არ ვეთანხმებით ერთმანეთს“ — ასე განაცხადა მ. ს. გორბაჩოვმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოსვლისას.

8. სახელმწიფო ხელისუფლების, მმართველობისა და სასამართლო ორგანოთა ფუნქციების ურთიერთგამიჯვნასთან ერთად, სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფო მოითხოვს აგრეთვე სახელმწიფოსა და პარტიას შორის ფუნქციათა გამიჯვნას. თუ პარტია მიისაკუთრებს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციებს, როგორც ეს ხდებოდა ადრე ჩვენს ქვეყანაში, ამით შეიზღუდება სახელმწიფო სუვერენიტეტი. სახელმწიფო და პარტია, ისევე როგორც ყველა სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მხოლოდ კანონთა ფარგლებში უნდა მოქმედებდნენ.

სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის თავისებურება იმაშია, რომ იგი სინამდვილეში იქმნება ერთპარტიული სისტემის დროს. იქნებ უკეთესიც იყოს მრავალპარტიული სისტემა, მაგრამ ჩვენთან წლობით დამკვიდრებულ ტრადიციაზე ჭერჭერობით უარი ვერ გვითქვამს. ზოგიერთის აზრით, პარლამენტარიზმი და მრავალპარტიულობა ურთიერთგანუყოფელი ცნებებია, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. მაგალითად, პარლამენტი ინგლისში ბევრად ადრე შეიქმნა, ხოლო მრავალპარტიულობა მხოლოდ XIX საუკუნის შუა პერიოდში განვითარდა. აი სხვა მაგალითიც: აშშ-ში დემოკრატიული პარტია ჩამოყალიბდა 1828 წელს და იგი ერთადერთი პოლიტიკური პარტია იყო 1854 წლამდე, ვიდრე მონათმფლობელობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით არ აღმოცენდა რესპუბლიკანელების პარტია. მაშასადამე,

7 გაზ. „კომუნისტი“, 1988 წლის 9 დეკემბერი.

პარლამენტარიზმი და ერთპარტიული სისტემა ზოგჯერ არ გამოირცხავენ ერთმანეთს⁸.

დაახასიათა რა მრავალპარტიული სისტემა, თავის ერთ-ერთ გამოსვლაში მ. ს. გორბაჩოვმა თქვა: „რა არის მაგალითად დისკუსია მრავალპარტიულობის შესახებ? იგი უნიადაგოა. განა სამი-ოთხი პარტიის დროს არ შეიძლება ისეთი დიქტატი არსებობდეს, რომ კრინტსაც ვერ ძრავდეს, თავისუფლად ვერ სუნთქავდეს ვერავინ! მთავრი ის არის, რომ ატმოსფერო საზოგადოებაში დემოკრატიული იყოს“...⁹

* * *

სადავო არ არის, რომ დემოკრატია ნიშნავს კანონიერებას, პასუხისმგებლობას, დისციპლინას და საერთო-სახალხო სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა ამ პრინციპის უთუო განხორციელებას მოითხოვს. სწორედ ამიტომ დისციპლინისა და პასუხისმგებლობის განმტკიცების აუცილებლობა დაგვისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის სექტემბრის პლენუმმა, რომლის პლატფორმა ასეთია: ჩვენ უეჭველად უნდა დავიცვათ სამართლის ნორმები, კანონის უზენაესობა, განვაფართოოთ დემოკრატია და ნამდვილად ავავოთ სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფო.

⁸ Журн.: «Советское государство и право», 1984 г., № 4, стр. 56.

⁹ ვაზ. „კომუნისტი“, 1989 წლის 26 სექტემბერი.

ეკოლოგია და სამართალი

საქალაქო აგლომერაციების სამართლებრივი რეგულირება

ლადო ზანტურია,

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის
კათედრის ასისტენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

თანამედროვე ეტაპზე ქალაქების განვითარებაში ახალი ტენდენცია არსებობს — „ქალაქის“ ცნებას ენიჭება განსხვავებული, უფრო ფართო მნიშვნელობა. ცალკეული ქალაქები სულ უფრო ნაკლებად იზოლირებული ხდებიან და ადგილს უთმობენ დასახლებული პუნქტების აგლომერაციებს, რომლებშიც ქალაქი არ კარგავს ადმინისტრაციული და ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობას.

საქალაქო აგლომერაციების შექმნა და განვითარება ურბანიზაციის მა-



სობრივი პროცესის ყველაზე თვალსაჩინო და აშკარა შედეგია. ამ საკითხი-სადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული პროცესი სხვადასხვაგვარადაა შეფასებული. ერთნი თვლიან, რომ საქალაქო აგლომერაციები მოსახლეობის განსახლების პროგრესული ფორმაა, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქას შეესაბამება. მეორენი მას ლამის სოციალურ უბედურებად მიიჩნევენ.

საქალაქო აგლომერაცია — ეს არის განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში მდებარე და ერთმანეთთან მრავალგვარი სამეურნეო, შრომითი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ურთიერთობებით მჭიდროდ დაკავშირებული ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ერთობლიობა (თანავარსკვლავედი). ესაა ახალი ეტაპი ქალაქების მშენებლობაში, უფრო მაღალი დონის ქალაქმშენებლობის სისტემა, როდესაც ცალკეულ ქალაქებს ცვლის დასახლებული პუნქტების ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული სისტემა¹.

საქალაქო აგლომერაციების ცნება არ არის იურიდიული ცნება. ნორმატიულ აქტებში ეს ტერმინი ჯერ არ დამკვიდრებულა. შესაბამისად, ამ პროცესის სამართლებრივი რეგულირებაც ჩვენს ქვეყანაში ჩასახვის სტადიაშია. კანონმდებლობა საქალაქო აგლომერაციების შესახებ ჯერ კიდევ არ არსებობს. აგლომერირების პროცესი კი საქმაოდ ფართო მასშტაბებს იღებს. დღის წესრიგში აყენებს მრავალრიცხოვან და მრავალგვარ პრობლემას, რომელთა სამართლებრივი მოწესრიგებაც აუცილებელია.

ამგვარ აგლომერაციას წარმოადგენს თბილისი მის ირგვლივ მდებარე ქალაქ-თანამგზავრებთან ერთად. არავითარ შემთხვევაში ეს არ არის ამ დასახლებული პუნქტების მექანიკური გაერთიანება. ისინი მრავალი სამეურნეო, შრომითი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ურთიერთობით ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. უამრავი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემა მათთვის საერთოა და ერთნაირად მწვავე. თანაც იმდენად მჭიდრო, რომ მათი გადაწყვეტა არ შეიძლება ცალკეული საქალაქო, რაიონული ან სასოფლო საბჭოების აღმასკომების ანაბარა იქნეს მიტოვებული.

აღნიშნულ ქალაქებს შორის არის ყოველდღიური შრომითი, ეკონომიკური თუ სხვა კავშირურთიერთობა. რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, საგარეჯოს, მცხეთის, კასპის, თეთრი წყაროს და ამ რეგიონის სხვა დასახლებული პუნქტების ათასობით მცხოვრები ყოველდღიურად მოემგზავრება თბილისში სამუშაოდ, სასწავლებლად, სავაჭროდ ან სხვა მიზნებისათვის და პირიქით, ბევრი თბილისელი თავის საქმიანობას მოცემულ დასახლებულ პუნქტებში ეწევა. ე. ი. ადგილი აქვს ამ ქალაქების მოსახლეობის ურთიერთშორის მუდმივ და სტაბილურ მოძრაობას. შესაბამისად, ინტენსიურია სატრანსპორტო საშუალებათა დატვირთვა. ეს შეეხება არამარტო სამგზავრო, არამედ სატვირთო ტრანსპორტსაც.

საერთო და, ამავე დროს, მეტად მწვავეა აღნიშნული დასახლებული პუნქტებისთვის შექმნილი ეკოლოგიური ვითარება. რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებულმა შემოწმებებმა საგანგაშო ფაქტები გამოამჟღავნა. კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატიდან ატმოსფეროში გამოფრქვეული მტვრისა და მავნე ელემენტების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 100 ათას ტონას, მაშინ, როდესაც დასაშვები ნორმა 18 ათას ტონას არ უნდა აღემატებოდეს.

¹ «Правовой режим земель в СССР». М., «Наука», 1984, с. 127.

ანალოგიური მდგომარეობაა რუსთავშიც. რუსთავის ცემენტის ქარხანაზე ყოველწლიურად მოდის 34 ტონა ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერებების გამოფრქვევა. მნიშვნელოვან გამაჟღერებლებს წარმოადგენენ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „აზოტი“, ქარხანა „ცენტროლიტი“. 1987 წლის თებერვალში რუსთავის ატმოსფეროში არსებული მტვრის ოდენობა 24-ჯერ აღემატებოდა ზღვრულ ნორმას.

საგანგაშო მდგომარეობაა თბილისშიც. მარტო კაიროს ქუჩაზე მდებარე ასფალტ-ბეტონის ქარხანას დღეისთვის გააჩნია გარემოს დაბინძურების 16 წყარო, საიდანაც ყოველწლიურად ატმოსფეროში ხვდება 901-969 ათასი ტონა მავნე ნივთიერებები, რაც ოცდასამჯერ აღემატება დასაშვებ ნორმებს. პატონის სახელობის ელექტროშემდუღებელ ქარხანას მავნე ნივთიერებათა გამოფრქვევის 78 წყარო აქვს, საიდანაც წლიური მონაცემებით, ატმოსფეროში გამოიყოფა 126-433 ტონა საშიში ნივთიერებები. მტკვარში თბილისის ორგანიზაციებისა და საწარმოებიდან ყოველდღიურად ჩაედინება 54242 კუბური მეტრი დაბინძურებული წყლები, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი კი შეადგენს 1580 ათას მანეთს. სერიოზული საფრთხის წინაშეა თბილისის წყალსაცავები, სადაც ბაქტერიოლოგიურმა დაბინძურებამ ჯერ კიდევ 1983 წელს მიაღწია საშიშ ზღვარს².

მოყვანილი ფაქტები უდაოდ მეტყველებენ იმ მიმე ეკოლოგიურ ვითარებაზე, რომელიც თბილისსა და მის თანამგზავრ ქალაქებში შეიქმნა. შეუძლებელია აღნიშნული პრობლემების დიფერენცირებული გადაწყვეტა. მით უფრო, რომ იგი დაკავშირებულია უდიდეს ხარჯებთან. ამიტომ აუცილებელია ღონისძიებათა კოორდინაცია, საკითხების კომპლექსური შესწავლა და გადაჭრა მთლიანად აგლომერაციის მიმართ.

ამასთან ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისი ყველა ქალაქზე უფრო კარგად განვითარებული ცენტრია. მაგრამ, სპეციალისტების აზრით, ერთი მხრივ, მისი შედარებით დაჩქარებული ზრდა ხდება რესპუბლიკის სხვა ქალაქების განვითარების შენელების ხარჯზე, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული ორიენტაცია წინააღმდეგობაშია მზარდი დედაქალაქის დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრასთან. მაშასადამე, არსებული წინააღმდეგობა მოითხოვს მოსალოდნელი სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების შესაბამისად დასახლებული ადგილების განვითარებისათვის ახალი სტრატეგიული ამოცანების ძიებას³.

თბილისის ირგვლივ მიმდებარე ქალაქების, სოფლების, სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარება და განაშენიანება, მიწებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ათვისება, მათი გამოყენება, განაწილება სტიქიურად მიმდინარეობს. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეს პროცესები სამართლებრივად სათანადოდ ვერ რეგულირდება. უფრო მეტიც, მაშინაც კი, როდესაც არსებობს მთავრობის მიერ მიღებული სპეციალური ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ აღნიშნულ ტერიტორიაზე შედარებით მკაცრ სამართლებრივ რეჟიმს, ისინი არ სრულდება, აშკარად ირღვევა მათი მოთხოვნები, რითაც გამოუსწორებელი ზიანი აღგება როგორც გარემომცველ გარემოს, ასევე, პირველ ყოვლისა, საზოგადოების ინტერესებს. მაგალითად, 1972 წლის 13 სექტემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ქ. რუსთავის გე-

² უტუნ. „საბჭოთა სამართალი“, 1988, № 4.

³ „საქართველოს მოსახლეობა და მეურნეობა“, თბ., „მეცნიერება“, 1988, გვ. 37.

ნერალური გეგმა. ამ გეგმით გამოიყო 3523 ჰექტარის საერთო ფართობის ტერიტორია მწვანე ზონად, სადაც აიკრძალა ყოველგვარი კაპიტალური მშენებლობა, მაგრამ მთავრობის დადგენილების ეს მოთხოვნა ისე ხშირად ირღვეოდა, რომ მინისტრთა საბჭო ხელმოკრედ დაუბრუნდა ამ საკითხს. 1981 წლის 27 მარტს მიღებულ იქნა სპეციალური დადგენილება, რომლითაც კიდევ ერთხელ აიკრძალა მიწის ნაკვეთების გამოყოფა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის აღნიშნულ ზონაში, კერძოდ, სოფელ აღთაღლაში, ყარათაღლასა და ყარაჯალარში. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ სოფლებში სისტემატურად ხდებოდა მიწების თვითნებური მიტაცება. მეურნეობათა ხელმძღვანელები კი ითხოვდნენ მიტაცებული მიწების მათთვის დაკანონებას. აშკარაა, რომ დღეს მოქმედი წესი ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვას.

ჩვენი აზრით, აგლომერაციაში შემავალი ტერიტორიის სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეროგატივას უნდა წარმოადგენდეს. აგლომერაციის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი უნდა წყდებოდეს განსაკუთრებული კანონების მიღების გზით. მისი განვითარების გეგმებისა და წესების დამტკიცების შემდეგ ამ ტერიტორიის ფარგლებში მდებარე საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და იქ მცხოვრებ მოქალაქეებს უნდა აეკრძალოთ ყოველგვარი მოქმედება, რომლითაც შეიძლება დაარღვიონ აღნიშნული გეგმები და წესები. ამგვარი წესები მოქმედებდა ჩვენს ქვეყანაში 20-იან წლებში, თუმცა იგი შეეხებოდა მხოლოდ ქალაქის ფარგლებს. ამ მიწებზე მიწის სახალხო კომისარიატის ორგანოების მოქმედება არ ვრცელდებოდა. ქალაქის ფარგლებში მიწის განაწესი განსაზღვრებოდა განსაკუთრებული კანონებით. ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს მიერ 1925 წელს გამოცემულ იქნა განსაკუთრებული დებულება ქალაქებში მიწების განაწესის შესახებ¹.

დღევანდელ პირობებში ამგვარი წესების გავრცელება აუცილებელია მთლიანად აგლომერაციაზე. მისი საჭიროება ნაკარანხვია რამდენიმე გარემოებით. ჯერ ერთი, ქალაქების ეკოლოგიური ინტერესების გათვალისწინებით პერსპექტივაში უნდა მოხდეს თბილისისა და სხვა ქალაქებში მდებარე ბევრი ეკოლოგიურად მავნე საწარმოსა და დაწესებულების გატანა ქალაქიდან. სავალალოა, რომ მათი რიცხვი არც თუ ისე მცირეა თბილისში. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები ნათელყოფს, თუ რამდენად აღემატება აღნიშნული საწარმოების მავნე გამონაფრქვევები ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. საინსტრუმენტო ქარხანა: ნავთობპროდუქტები — 200-ჯერ, ქრომის კონცენტრაცია — 100-ჯერ, რკინისა — 2,5-ჯერ; „საქსოფლმანქანა“: ნავთობპროდუქტები — 340-ჯერ, ამონიუმის აზოტი — 16-ჯერ; აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება: ფენოლის რაოდენობა — 740-ჯერ; „ელექტროავტომატი“: თუთიის კონცენტრაცია — 1400-ჯერ, ქრომისა — 6200-ჯერ, სპილენძისა — 20 ათასჯერ და ა. შ. („თბილისი“, 30 იანვარი, 1988 წ.). აუცილებელია, რომ ამ მიზნისთვის გამოსაყენებელი ტერიტორია წინასწარ იქნეს განსაზღვრული (იგულისხმება, რომ ახალი საწარმოების მშენებლობა უნდა მოხდეს მთლიანად უნარჩუნო ტექნოლოგიის გამოყენებით).

მეორე, რესპუბლიკის დედაქალაქი არ შეიძლება იყოს ბაღჩებისა და ბოსტნების გარემოცვაში. მით უმეტეს, ცნობილია, რომ ამ რეგიონებში სასოფ-

¹ СУ РСФСР, 1925 г., № 27, ст. 188.

ლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანა ძირითადად ფეკალური წყლების გამოყენებით ხდება. თანაც ნიტრატების რაოდენობა მათში მეტად დიდია და ჯანმრთელობისთვის საშიში. ძირითადად ამგვარი „საპრობილები“ დედაქალაქის ირგვლივ იმ ტერიტორიებზეა განლაგებული, სადაც ქალაქის სახალხო დებუტატთა საბჭოს აღმასკომის კომპეტენცია არ ვრცელდება, ხოლო რაიონული საბჭოს აღმასკომები ყურადღებას ვერ უთმობენ ამ მეტად მასობრივ პროცესს.

მესამე, სამრეწველო ობიექტების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სტიქიურობის თავიდან აცილების მიზნით მხოლოდ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს შეუძლია კონტროლი გაუწიოს სელიტაბელურ მიწებს, ე. ი. იმ მიწებს, რომლებიც პერსპექტიულ განაშენიანებას ექვემდებარებიან. ამ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოქმედ კანონმდებლობაში განმტკიცებული სასოფლო-სამეურნეო მიწების პრიორიტეტის პრინციპის უდაოდ განხორციელება, რათა ხელი არ შეეშალოს სასურსათო პრობლემის რეალურ გადაწყვეტას.

განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია აგლომერაციის ფარგლებში გარემომცველ გარემოზე მუდმივი კონტროლის (მათ შორის საზოგადოებრივი კონტროლის) განხორციელება. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა პოლონეთში არსებული წესი. 1974 წელს წყლის კანონით დადგენილ იქნა ე. წ. წყალ-სამართლებრივი მოსმენის პროცედურა. იგი წარმოადგენს ოფიციალურ-საჯარო დისკუსიას, რომელსაც ხელმძღვანელობს წყალსამეურნეო ორგანოს სპეციალისტი. მასში მონაწილეობენ დაინტერესებული სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები და ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ექსპერტები. ამგვარი განხილვის პროცესში, რომელიც წინასწარ მზადდება, გულდასმით იხილება წყალსარგებლობასთან დაკავშირებული ყველა საჭირობო საკითხი: წყალსარგებლობის პირობები, წესი, სუბიექტები, მიზნები, ეკოლოგიური დასაბუთებულობა და ა. შ. ამ დროს ფაქტობრივად გამოირიცხება ყოველგვარი დაუსაბუთებელი გამოყენება წყლის ობიექტებისა, მათი გადაცემა ერთი მოსარგებლიდან მეორეზე, მიზნობრივი დანიშნულების უსაფუძვლო შეცვლა. ჩვენს ქვეყანაში ანალოგიური პროცედურა უკანასკნელ დრომდე პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა, თუმცა მისი მიზანშეწონილობის შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება. ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით გამართულმა საჯარო დისკუსიებმა ნათლად დაასაბუთეს კონტროლის ამ მეტად პროგრესული ფორმის სიცოცხლისუნარიანობა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგლომერაციაში დაწესდეს ანალოგიური ე. წ. აგლომერაციულ-სამართლებრივი მოსმენის წესი (სახელწოდება შეიძლება დაზუსტდეს) იმ ანგარიშით, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მიწების, ტყეების თუ სხვა ბუნებრივი სიმდიდრეების, ისტორიისა თუ კულტურის ძეგლების გაცემა სარგებლობაში, სარგებლობიდან მათი ამოღება ან ყოველგვარი ცვლილება მოხდეს მკაცრი საჯარო დისკუსიის ჩატარებისა და მხოლოდ ამგვარი ცვლილებების მიზანშეწონილობის სათანადო დასაბუთების შემდეგ.

იურიდი ვლადიმერ ვაგუა სავსებით სამართლიანად აღიარებს საბინაო პრობლემის უდიდეს მნიშვნელობას თანამედროვე პირობებში, კატეგორიულად გვთავაზობს მასობრივად დავაკანონოთ უნებართვოდ აშენებული სახლები,

მისი აზრით, ამგვარი დაკანონების პროცესი მეტად ნელა და უგეგმოდ მიმდინარეობს. ავტორის გაკვირვებას იწვევს ქალაქის ირგვლივ და მის ფარგლებში შემოუვალი თავისუფალი ტერიტორიების ათვისებლობა. მას აუცილებლად მიაჩნია ამ ტერიტორიების სასწრაფოდ ათვისება და მათი გადაცემა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის. ამაში ხედავს ავტორი საბინაო პრობლემის გადაწყვეტის მაგისტრალურ გზას⁵.

მიუხედავად ავტორის კეთილი განწყობისა და საბინაო პრობლემით გამოწვეული გულისტკივილისა, ძნელია დავეთანხმოთ მას. შემოთავაზებულია უკვე მერამდენედ ნაცადი და ასევე მრავალჯის გაკრიტიკებული ექსტენსიური განვითარების სქემა. ახალი ტერიტორიების ათვისება, ქალაქის გაზრდა სივრცეში ყველაზე იოლი გზაა ბინის პრობლემის გადაწყვეტისათვის. სამწუხაროდ იოლი გზების ძებნაში ხშირად გვაიწყვდება ის შედეგები, რომლებიც ადრე თუ გვიან დაუდგება მომავალ თაობას. უთავბოლოდ და უგეგმოდ ახალი ტერიტორიების ათვისების შედეგად მნიშვნელოვანი ზიანი ადგება სასოფლო-სამეურნეო მიწებს, მთლიანად გარემომცველ გარემოს, ატმოსფერულ ჰაერს. ეკონომისტების გაანგარიშებით უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ქალაქების მიერ მითვისებული მიწების ფართობი შეადგენს საშუალოდ 5 200 ჰექტარს წელიწადში⁶. ეს, რა თქმა უნდა, დიდი დანაკარგია სოფლის მეურნეობისათვის. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის გაფეთქება იგივე შედეგებს გამოიღებს, რისი მოწმეც საზოგადოება ოცდაათიან და ორმოცდაათიან წლებში იყო. ამ დროის პირმშოა ის ქობინები, ნახევრად მიწურები და უგვანი სახლები, რომლებიც თბილისის ზოგი უბნის „მშენებს“ წარმოადგენს. არადა ისინი სწორედ იმ „ინდივიდუალური ბინათმშენებლობის“ ნაყოფია, რომელიც საბინაო შიმშილის დასაკმაყოფილებლად იყო შემოთავაზებული. ეს არაა საბინაო პრობლემის გადაჭრა. პირიქით, იგი ართულებს ამ საკითხის გადაწყვეტას, დროებით აფუჩჩებებს მას.

ამ მხრივ შეუძლებელია არ დავეთანხმოთ აკაკი ბაქრაძეს: „თბილისი არქიტექტურული თვალსაზრისით სერიოზულ განსჯა-განხილვას ითხოვს. ის ახალი უბნები, რომელნიც თბილისში (სსრკ-ის სხვა ქალაქებშიც) აშენდა საბინაო შიმშილის დასაკმაყოფილებლად, არა მარტო ხუროთმოძღვრული კუთხით არის არარაობა, არამედ საერთოდ ანტიადამიანურია. ეს უბნები, ეს სახლები კლავს ადამიანში ყოველგვარ ესთეტიკურს, აჩლუნგებს და ამცირებს მას. სახლი, ბინა არ არის მარტო თავშესაფარი. იგი ხელოვნებაა, რომელიც ადამიანის სულს ზრდის. პირველ ესთეტიკურ შთაბეჭდილებას ყოველი ადამიანი იმ ბინით, იმ სახლით, იმ უბნით იღებს, სადაც ჩვილობიდანვე იზრდება. რა შთაბეჭდილება უნდა მიიღონ ჩვენმა შვილებმა, ყმაწვილებმა იმ გეტოსაგან, რომელშიც მათ ვაცხოვრებთ?“⁷

ასე, რომ მხოლოდ მიწების „ათვისებით“, მათი მასობრივი გადაცემით ბინათმშენებლობისათვის მარტოდენ მოჩვენებითად შეიძლება გადავჭრათ საბინაო პრობლემა.

ავლომერაციაში საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს საგარეუბნო და მწვეანე ზონების მოწყობას, მათი დაცვისა და რაციონალურად გამოყენების პრობლემებს. ქალაქის ფარგლებს გარეთ მდებარე მიწა, იმ აუცილებელ ნა-

⁵ გაზ. „თბილისი“, 1988 წლის 11 ოქტომბერი.

⁶ გაზ. „თბილისი“, 1988 წლის 9 ნოემბერი.

⁷ ყურნ. „კინო“, 1988, № 4, გვ. 66.

გეობობათა, განლაგებისა და მშენებლობის ადგილი, რომლებიც დაკავშირებულია საქალაქო მეურნეობის კეთილმოწყობასა და ნორმალურ მუშაობასთან, აგრეთვე ტყეებით, ტყეპარკებითა და სხვა მწვანე ნარგავებით დაკავებული მიწა მასობრივად უნდა გამოიყენოს საგარეუბნო და მწვანე ზონებად. ეს საკანონმდებლო მოთხოვნაცაა (საქ. სსრ მიწის კოდექსის 106-ე და 107-ე მუხლები) და შექმნილი მიძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის თავიდან აცილების მნიშვნელოვანი პირობაც. საგარეუბნო ზონები აგლომერაციის ორგანული ნაწილია, მისი უმთავრესი დანიშნულებაა ქალაქების მომსახურება, საპარო აუზის გაქანსაღება და მიკროკლიმატის გაუმჯობესება, ქალაქის მოსახლეობის უზრუნველყოფა მასობრივი დასვენების ადგილებით.

საგარეუბნო ზონის ფარგლებში შეიძლება განლაგდეს: ტყეები, ტყეპარკები, პლაჟები, ნაკრძალები, აღკვეთილები, დასასვენებელი სახლები, ტურისტული და სპორტული ბაზები, კემპინგები, საბავშვო ბანაკები და აგარაკები, სამკურნალო დაწესებულებები, სანატორიუმები და ა. შ.

აღნიშნული ტერიტორიები უნდა გადავცეთ ქალაქებში მდებარე საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მათში პომუშავე მუშებისა და მოსამსახურეების მასობრივი დასვენების უზრუნველსაყოფად.

სწორედ ამ მიზნისთვის უნდა გადაეცეს ქალაქების ირგვლივ მდებარე მიწა. ასე ზდება ყველა განვითარებულ და კულტურულ სახელმწიფოში, სადაც ადამიანთა სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე უფრო ძვირფასი სიკეთე არ არსებობს.

ამ მიმართულებით ჩატარებული საქმიანობა აშკარად არასაკმარისია. სპეციალისტების აზრით, თბილისში ამ მიზნებისათვის საჭირო ფინანსების მხოლოდ 41,8 პროცენტი იქნა გამოყოფილი („თბილისი“, 5 დეკემბერი, 1988 წ.). როდესაც დედაქალაქში ასეთი ვითარებაა, გასაგებია, თუ რა მდგომარეობა უნდა იყოს აგლომერაციის სხვა დასახლებულ პუნქტებში, აუცილებელია დამატებითი ფინანსური, მატერიალური სახსრები ტყეების განაშენიანების მნიშვნელოვნად გაფართოებისათვის. ამასთან საჭიროა მაქსიმალურად გავუფრთხილდეთ არსებულ ტყეებსაც. ამ მხრივ საყურადღებოა ბულგარეთში არსებული ე. წ. რეზერვატების სამართლებრივი რეჟიმი. რეზერვატები წარმოადგენს ტყეებს სპეციფიკური ბუნებრივი თავისებურებებით, უნიკალური საგნებით: ხეები, ბუჩქები, ყვავილები, ბალახი (გარეული ცხოველებიც), რომელთაც განსაკუთრებული ინტერესი გააჩნიათ და რომელთა განადგურებაც აუნაზღაურებელ ზიანს წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა სახელმწიფოს განსაკუთრებული ღონისძიებები ამ ტყეების მიმართ. ნაკრძალების გვერდით, რომლებიც ბუნების დაცვის უკიდურეს ფორმას წარმოადგენს, რეზერვატები უფრო ეფექტური ფორმაა. მითუმეტეს, რომ ზოგი სახის ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლები ჩვენს რესპუბლიკაში გადაშენების პირამდეა მისული. ამჟამად რესპუბლიკის წითელ წიგნში უკვე შეტანილია 151 სახეობის მცენარე, მათ შორის 61 მერქნიანი. არასწორი ექსპლუატაციის შედეგად საქართველოში მთლიანად გადაშენდა ბზისა და უთხოვარის კორომები, წითელ წიგნშია შეტანილი თელის ხუთივე სახეობა, მუხა, წაბლი და სხვა. ასე, რომ რეზერვატივების შექმნა მეტად საჭირო საქმე იქნება.

ჩვენი აზრით, აგლომერაციაში საჭიროა დაწესდეს მიწათსარგებლობის განსაკუთრებული წესები. მათ ხელი უნდა შეუწყონ მიწების მაღალეფექტიან, რაციონალურ გამოყენებას. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ჩინეთის სახალხო

რესპუბლიკის მიწის მმართველობის კანონში განმტკიცებული ნორმა: „ორგანიზაციები და პირები, რომელთაც მიაღწიეს აშკარა წარმატებებს მიწის რესურსების დაცვისა და ათვისების, მიწების რაციონალური გამოყენების სფეროში, აგრეთვე შესაბამისი მეცნიერული კვლევების ჩატარებაში. წახალისდებიან სახალხო მთავრობის მიერ“⁸. ვინაიდან საქართველო მცირემიწიანი რესპუბლიკაა, საჭიროა ამგვარი ნორმის განმტკიცება საერთოდ ჩვენს მიწის კანონმდებლობაში. უნდა გამოირიცხოს მიწების თვითნებური მიტაცების, თვითნებური მშენებლობების შემთხვევები. შეეცვლას მოითხოვს მოქმედი წესი, რომლის თანახმადაც თვითნებურად აშენებული სახლი, რომელიც აკმაყოფილებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდის ბინებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, კონფისკაციის შემდეგ ჩაირიცხება კომუნალურ ფონდში, ამგვარი წესი ახალისებს მათ, რათა ააგონ უფრო კეთილმოწყობილი და დიდი ბინები, რომ შემდგომ მათი იქიდან გამოსახლება გაძნელდეს.

მოქალაქეების გარდა, მიწების თვითნებური მიტაცება ხდება ასევე სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერაც. რესპუბლიკის პროკურატურის მონაცემებით საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოო გაერთიანება „საქმადნეულმა“ უნებართვოდ მიიტაცა 60 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სადაც შემოწმებამდე მიმდინარეობდა რენტული მასალების ინტენსიური მოპოვება. ასევე თვითნებურად ეწევიან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას აგრომრეწვის მარნეთლის, ბოლნისის და თეთრიწყაროს კომბინატები.

აქედან გამომდინარე გადაუდებელი საქმეა აგლომერაციაში მიწების ეკონომიკური შეფასების ჩატარება. სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ, რომ სტერეოტიპულმა წარმოდგენამ, თითქოს ბუნებრივ რესურსებს არ გააჩნდა ღირებულება, კრიზისულ მდგომარეობამდე მიგვიყვანა როგორც ეკონომიკური, ასევე ადამიანის ბუნებრივი საარსებო პირობების დაცვა-შენახვაში. აუცილებელია მიწით სარგებლობისთვის ყველა მიწათმოსარგებლეს დაუწესდეს გადასახადი მიწების შეფასების შესაბამისად. შეეცვლას მოითხოვს მიწის რენტის გადახდის დღეს მოქმედი წესი, რომლის თანახმადაც რენტას იხდიან მხოლოდ კოოპერაციული ორგანიზაციები და ამასთან არა ყველა. გადასახადი უნდა დაეკისროთ უკლებლივ ყველა საწარმოსა და ორგანიზაციას. მომეტებული გადასახადი უნდა დაწესდეს აგლომერაციაში შემავალი მიწათმოსარგებლებისათვის. ცნობილია მთელს მსოფლიოში მიწაზე ფასების არნახული ზრდა. მაგალითად, იაპონიაში 1987 წელს მიწის ფასმა მთელ ქვეყანაში საშუალოდ 9,7 პროცენტით მოიმატა, ხოლო ტოკიოში — 85 პროცენტით.

აგლომერაციის განვითარებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა ეკონომისტების, გეოგრაფების, სოციოლოგების, დემოგრაფების, იურისტების ერთობლივ შრომას მოითხოვს, ჩვენი აზრით, ამ მიზნით აუცილებელია შეიქმნას სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს თბილისის საქალაქო აგლომერაციის ორგანიზაციის კომპლექსურ პროგრამას, ხოლო ამის საფუძველზე კი — შესაბამის კანონმდებლობას.

⁸ *Китайская. Народная республика: Законодательные акты», М., 1989, с. 222.



იურიდიული კადრების მომზადება სახალხო მეურნეობისათვის

გ. ი. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გაიმართა საშუაური „მრგვალ მაგიდასთან“ სახალხო მეურნეობისათვის იურისტთა კადრების მომზადების საკითხებზე. განხილვარი მონაწილეობდნენ: ყაზახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი ი. ხასინი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი მ. ზრიბანოვი, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე ნ. ებოროვი, კუბიოვების სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლისა და პროცესის კათედრის გამგე, პროფესორი ნ. აონიანი, საქავშირო იურიდიული დაუსწრებელი ინსტიტუტის სამეურნეო სამართლის უნივერსიტეტის სამეურნეო კანონმდებლობისა და შრომის სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი მ. მიხაილენკო, საბოთა ვაზროვის დაუსწრებელი ინსტიტუტის საბოთა სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი მ. იაქოვი, სვრდლოვსკის იურიდიული ინსტიტუტის სამეურნეო სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი მ. იაკოვოვი.

გ. გრიბანოვი: — სამწუხაროდ, ისეთი იურიდიული კადრების მომზადების პრობლემა, რომელთაც შეეძლებათ ახალი სამეურნეო მექანიზმის, მითუმეტეს სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში უზრუნველყონ სამართლებრივი მუშაობის საქმარისად მაღალი დონე, ჭერჭეროდით გადაუჭრელია. „სახალხო მეურნეობის იურისტის“, მისი როლისა და შესაბამისი მომზადების კონცეფციის სერიოზული დამუშავება არ იყო და არც არის. ამ საკითხებში ჩვენ ჭერ მხოლოდ გარდაქმნის დაწყებით სტადიაში ვართ, თუმცა თვით ცნობრებამ უკვე მაგრად მოგვიჭირა.

იურიდიული პროფესიის თავისებურება ყოველთვის იმაში მდგომარეობდა, და დღესაც ასეა, რომ სამართალმცოდნემ სრულყოფილად უნდა იცოდეს იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა არსი და განვითარების ტენდენციები, რომელთაც სამართალი არეგულირებს. ამასთან დაკავშირებით სახალხო მეურნეობის იურისტისათვის აუცილებელია ახალი სამეურნეო მექანიზმის, მისი ორგანიზაციისა და მართვის საკვანძო ასპექტების ფუნდამენტური ცოდნა, ისეთი ეკონომიკურ-ორგანიზაციული საკითხების ჩათვლით, როგორცაა მარკეტინგი, სამეურნეო ანგარიში, თვითდაფინანსება, ფასწარმოქმნა, დაგეგმვა, ეკონომიკური სტიმულირება, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების შრომითი კოლექტივების სოციალური ამოცანები. თუმცა ესეც არ არის საქმარისი, ეხლა სახალხო მეურნეობის იურისტი კარგად უნდა ერკვეოდეს საგარეო-ეკონომიკური კავშირების სისტემასა და ორგანიზაციაში, ფლობდეს სამოქალაქო და საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებს.

მ. მარტენიანი: — აუცილებელი და შესაძლებელია სახალხო მეურნეობის ცალკეული რგოლების მუშაობის განმსაზღვრელი კონკრეტული ეკონომი-



მიკის, სამართლებრივი ფორმების უფრო დრმა ცოდნა, ერთიგნობის მართალმცოდნეს საქმიანობის პორიზონტი არსებითად უნდა უზღავდართოდეს, ხომ ფართოდება თვით სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირება, რომელიც ადრე წმინდა ადმინისტრირების პრეროგატივად ითვლებოდა. ავილოთ იგივე ურთიერთობები სახელმწიფო შეკვეთის სფეროში, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერადამოკიდებულება. ესლა ისინი საწარმოს უფლებათა დაცვას ემყარება, კანონში მითითებულ ფარგლებს უნდა შეესაბამებოდეს.

3. ოიგენიზტი: — ცოტა ხნის წინ იურისკონსულტთა ერთ-ერთ სემინარზე მომიწია გამოსვლა. მე დავრწმუნდი, რომ უმთავრესი ამოცანა იურისტთა აზროვნების გარდაქმნა, სამართლებრივი საქმიანობისადმი ჩვეული მიდგომის რადიკალური შეცვლა. საქმე იმაშია, რომ აქ უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან, კვლავ მოქმედებენ სტერეოტიპები, ხელმძღვანელობასთან კონფრონტაცია, „მოგებული საქმის“, და რალა დავმალთ, დოკუმენტების „მორგების“, დაუსაბუთებელი პრეტენზიების დაცვის იმელი.

ეს ყველაფერი უნდა დაიმსხვრეს. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რისთვის ვამზადებთ სახალხო მეურნეობის იურისტებს: „საქმეთა რწმუნებულებად“ თუ „კანონის სრულუფლებიან წარმომადგენლებად“. სამართალდარღვევათა თავიდან აცილების, სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში სახალხო მეურნეობის იურიდიული სამსახურის მუშაკებს თავის ფუნქციათა ფართო ასპექტის შესაბამისად უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ, ვიდრე ყველა სხვა სპეციალისტს ერთად.

ამყამად აქცენტი ხელშეკრულებაზე, ორმხრივ შეთანხმებაზე, მორიგების მიღწევაზე კეთდება. ანგარიშს უნდა ვუწევდეთ არა მხოლოდ საკუთარ, არამედ კონტრაგენტების, მთელი საზოგადოების ინტერესებსაც. ამისათვის იურისტი მზად უნდა იყოს, ისევე როგორც იმისათვის, რომ ყველაფერში აქტიური პოზიცია დაიკავოს, სწორედ მიუდგეს ინიციატივის, ფხიანობის, გამართლებული სამეურნეო რისკის ყოველგვარ გამოვლინებას.

3. გრიბანოვი: — ნამდვილად, ძალზე მნიშვნელოვანია ინიციატივიან, აქტიურად მოქმედ იურისტთა მომზადების საკითხი. არ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის პირობებში იურისტი ჩვენ „ხელზე მოსამსახურე ბიჭუნად“ ვაქციეთ, რომელიც მოქმედებს პრინციპით „რას ინებებთ“. საწარმოში შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის განვითარებისათვის მას უნდა გააჩნდეს საკმარისი დამოუკიდებლობა და აუცილებელი უფლებები, ასრულებდეს მოვალეობების მკაფიოდ დადგენილ წრეს და იტვირთოს პასუხისმგებლობა მიწოდებითი საქმისათვის.

3. მარტემიანოვი: — სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ კადრების მომზადების დაგეგმვა იმ საერთოსახელმწიფოებრივ თანამდებობათა ნომენკლატურის დამტკიცებით უნდა დავიწყოთ, რომლებიც იურიდიული განათლების მქონე პირებს შეიძლება ეკავოთ. საჭიროა, რომ დაგეგმვის დროს განზე არ დარჩნენ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო და თვით უმაღლესი სასწავლებლები. კონკურსის ბაზაზე უმაღლეს სასწავლებლებთან საწარმოების, გაერთიანებების პირდაპირი ხელშეკრულებების გამოჩენაც არ არის გამორიცხული. ამ ხელშეკრულებებში შესაბამისი დარგისათვის სპეციალისტთა მომზადების განსაკუთრებული მოთხოვნებიც უნდა აისახოს. ამის საფუძველზე აღმოცენ-

დება ორმხრივი ვალდებულებები, თანამშრომლობის, სტაჟირების, მოწყობილობათა გამოყოფის პირობები და სხვ.

3. **ოიგენზიხტი:** — იურიდიული კადრების მომზადებაში დაბრკოლებად გვევლინება მათზე რეალური მოთხოვნილების არსებობა და განაცხადების არარსებობა. პარადოქსია! საქმე იმაშია, რომ საწარმო „ბითუმად მყიდველი“ არ არის, რომელსაც შეუძლია მოთხოვნილება პერსპექტივაში დაგეგმოს. იურისტთა კადრების მომზადების დაგეგმვისათვის საჭიროა წინასწარი კრებსითი განაცხადები, უკიდურეს შემთხვევაში, სტუდენტთა სპეციალიზაციის დაწყებამდე მაინც.

5. **კონიაევი:** — საწარმოები და გაერთიანებები არ აფორმებენ ხელშეკრულებებს უმაღლეს სასწავლებლებთან იურისკონსულტთა მომზადების თაობაზე, რამდენადაც ასეთ კადრებზე მათი მოთხოვნილება კონკრეტული და წუთიერია. ამის გაკეთება მათ მხოლოდ სამინისტროს მეშვეობით შეუძლიათ. ამის შედეგად, უმაღლესი სასწავლებლები კადრების მომზადებას „არასახელშეკრულებო საფუძველზე“, გარკვეულწილად ბრმად ახორციელებენ. მდგომარეობის გამოსასწორებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსა და მის ორგანოებს მთავრობის დადგენილებით დაევალოთ ყველა სამინისტროსა და უწყების საწარმოებისა და გაერთიანებებისათვის იურიდიული კადრების მოსამზადებლად „ერთიანი დამკვეთის“ ფუნქცია. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ასეთ კადრებზე მოთხოვნილების შესახებ აუცილებელი მონაცემების წინასწარი შეკრება, იურისტებზე მოთხოვნილების უფრო ზუსტი პროგნოზირება, იურისკონსულტთა კადრების მომზადებაზე „ერთიანი დამკვეთის“ და უმაღლეს სასწავლებლებს შორის ხელშეკრულების დადება.

3. **იაზევი:** — ვფიქრობ, სახალხო მეურნეობისა და სამართალდამცავი ორგანოებისათვის სამართალმცოდნეთა კადრების მომზადების დაგეგმვის სისტემები, პრინციპში ერთმანეთისაგან მაინც არ უნდა განსხვავდებოდნენ. ისინი უნდა ემყარებოდნენ როგორც სახელმწიფო შეკვეთას, ისე ხელშეკრულებებს უწყებებთან, გაერთიანებებსა და საწარმოებთან და ითვალისწინებდეს მომავალი სამუშაოს თავისებურებებს (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა, კოოპერატივები, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა).

5. **კონიაევი:** — გამოსაშვები კადრების სამუშაოზე განაწილება უმრავლეს უმაღლეს სასწავლებლებში მეხუთე კურსზე ხორციელდება, რადგანაც უმაღლეს სასწავლებლებში განაწილების გეგმები უფრო ადრე არ მოდის. სპეციალიზაციის მიხედვით სტუდენტთა განაწილება კი მესამე კურსზე ხდება. რათა ამა თუ იმ სპეციალობაზე, მათ შორის სამეურნეო-სამართლებრივზე, ჩარიცხულ იქნენ იმ რაოდენობის სტუდენტები, რამდენიც შემდგომ მეხუთე კურსზე (განაწილებისას) დაგვჭირდება, უკვე სწავლის პერიოდში — მესამე კურსზე უნდა ვიცოდეთ ამა თუ იმ სპეციალიზაციისათვის აუცილებელ გამოსაშვებთა მიახლოებითი რიცხვი მაინც. ამდენად, განაწილების საერთო გეგმა, თუნდაც საწარმოების მხედვით დაყოფის გარეშე, უმაღლეს სასწავლებლებს ხელთ უნდა ჰქონდეს განაწილებამდე არაუგვიანეს ორი წლით ადრე. ეს კი დამოკიდებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტზე. აუცილებელია მათი დადებითი გადაწყვეტილება ამ საკითხზე. ვფიქრობთ, ეს საკითხი იოლად გადაწყ-



დებოდა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსათვის „ერთიანი დამკვეთის“ ფუნქციის გადაცემის შემთხვევაშიც.

ვ. გრიბანოვი: — გარდაქმნის მიერ საწარმოს იურისტისათვის წაყენებული ახალი მოთხოვნები უმაღლეს სასწავლებლებში მათი მომზადების ორგანიზაციული ფორმების სრულყოფასაც ითვალისწინებს. ამ დროს მნიშვნელოვნად გვესახება ფუნდამენტური და სპეციალური სამართლებრივი მომზადების სწორი თანაფარდობის განსაზღვრა. გაურკვეველია, უნდა გავაგრძელოთ ე. წ. „ფართო პროფილის“ იურისტთა მომზადების კონცეფციით ხელმძღვანელობა, თუ ისევე როგორც ეს ზოგიერთ სოციალისტურ ქვეყანაშია, მაგალითად, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მათი მომზადება თავიდანვე წარვმართოთ სავსებით განსაზღვრული პროფესიული საქმიანობისათვის. ერთი მხრივ, ჩვენ გვჭირდება მაღალი კლასის პროფესიონალები განსაზღვრული სამართლებრივი სამუშაოს შესასრულებლად (გამომძიებელი, მოსამართლე, იურისკონსულტი), მეორე მხრივ კი — რამდენადაც იურისტთა კადრების განაწილების სისტემა ჯერ არ მოქმედებს, აუცილებლად უნდა უზრუნველვყოთ მათთვის კონკრეტული იურიდიული პროფესიის შეცვლის შესაძლებლობა. მაგალითად, საგამოძიებოდან საადვოკატო, სანოტაროდან სასამართლო საქმეზე გადასვლა.

ფართო პროფილის იურისტების მომზადებას მრავალ შეუსაბამობამდე მივყევართ. კერძოდ, განსაზღვრულ სამართლებრივ სამუშაოზე განაწილებულ თითქმის ყველა კურსდამთავრებულს უხდება დამატებით გაიაროს „საუწყებო სტაჟირება“, რომლის გარეშე ის ყოველთვის როდია მზად კონკრეტული იურიდიული სამუშაოს შესასრულებლად. სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ გასაგზავნ კურსდამთავრებულთათვის ასეთი სტაჟირება არ არის გათვალისწინებული. საჭიროა როგორცაც მისი კომპენსირება. ამ პრობლემის გადაწყვეტა, ალბათ, იურისტთა სპეციალიზირებული მომზადების გაღრმავებასა და გაფართოებაშია.

ნ. ეგოროვი: სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მაღალი კვალიფიკაციის იურისტების მომზადება გარდაუვლად მოითხოვს მათ სპეციალიზაციას, მაგრამ ზოგადსამართლებრივ დისციპლინებში მათ ფუნდამენტურ მომზადებასაც ითვალისწინებს. ამის გარეშე შეუძლებელია სტუდენტთა სათანადო სპეციალიზაცია სახალხო მეურნეობის სფეროში სამუშაოდ, რაც უნდა განხორციელდეს არაუადრეს მესამე კურსისა, მას შემდეგ, როცა ისინი აითვისებენ ძირითად ზოგადსამართლებრივ დისციპლინებს.

ასეთი სპეციალიზაციის ორგანიზაციულ წინამძღვრად შეიძლება მოგვევლინოს სპეციალური სასწავლო ჯგუფები, რომელთა სტუდენტებიც სპეციალური პროგრამით მოემზადებიან. ასეთი ჯგუფები უნდა შეიქმნას სამეურნეო (სამოქალაქო და სამეურნეო) სამართლის კათედრასთან.

მომზადებას საფუძვლად უნდა დაედოს სამეურნეო სამართლის ერთიანი, სისხლსავსე სასწავლო კურსი, რომელშიც გამოყოფილი იქნება სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი რეგულირების ზოგადი დებულებანი და მათ საფუძველზე — ცალკეულ დარგებში აღმოცენებულ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი.


ვ. იაკუშვიცი: სვერდლოვსკის იურიდიულ ინსტიტუტს სახალხო მეურნეობისათვის იურისტთა სპეციალიზირებული მომზადების ათ წელზე მეტი ხნის გამოცდილება გააჩნია. ინსტიტუტის სტრუქტურაში არსებობს სახალხო მე-

ურნეობაში სამართლებრივი სამსახურის დამოუკიდებელი ფაკულტეტის მელიც განცალკევებით ახორციელებს სტუდენტთა მიღებას პირველი კურსზე და მათ მომზადებას სწავლის მთელი ვადის განმავლობაში. სწავლება მიმდინარეობს ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, რომელიც სამეურნეო-სამართლებრივი სპეციალიზაციისათვისაა შემუშავებული. ღირს მოკლედ შევჩერდეთ მის დახასიათებაზე. ჩვენს სასწავლო გეგმას ანალოგი არ გააჩნია სხვა სასწავლებლებში. სამეურნეო-სამართლებრივი მომზადება ფაკულტეტზე ჩვეულებრივ ან ტიპურ სასწავლო გეგმებზე ზოგიერთი სპეცურსის დამატების გზით კი არ ხორციელდება, როგორც სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. გეგმის შემუშავებისას, პირველ რიგში, კრიმინალისტიკური და ცივილისტური დისციპლინების თანაფარდობა შევცვალებთ პირველის სასწავლებლად გამოყოფილი საათების ნაწილობრივი შემცირების ხარჯზე (სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინალისტიკა). საერთოდ ამოვიღეთ სწავლებიდან ისეთი დისციპლინები, როგორიცაა შრომა-გასწორების სამართალი, სასამართლო მედიცინა და სასამართლო ფსიქიატრია. ნაწილობრივ შემცირდა სახელმწიფო-სამართლებრივი და ისტორიული კურსები. ამან საშუალება მოგვცა სასწავლო გეგმაში შეგვეტანა რიგი ახალი დისციპლინებისა და, არა სპეცურსების, არამედ ძირითადის სახით — ლექციებით, პრაქტიკული მეცადინეობებით ერთი, ორი და სამი სემესტრის სწავლების ხანგრძლივობით, ჩათვლებითა და გამოცდებით. მათ რიცხვში შედიან: სამეურნეო საქმიანობის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები (80 საათზე მეტი), სსრ კავშირში სამეურნეო კავშირების სამართლებრივი რეგულირება (200 საათი), სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის ორგანიზაცია (80 საათი), ცალკეული კატეგორიის სამართლებრივი დავების განხილვა (100 საათზე მეტი) და სხვ. ვასწავლით. აგრეთვე სამრეწველო წარმოების ეკონომიკის, ორგანიზაციისა და დაგეგმვის საკმაოდ ტევადი მოცულობის კურსს.

3. იაზვევი: — მიმაჩნია, რომ იურიდიულ ფაკულტეტებსა და შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებული უნდა იქნეს სპეცურსი „სამართალმცოდნეობა სახალხო მეურნეობაში“ საწარმოებში, გაერთიანებებში, კოოპერატივებში, მმართველობის ორგანოებში ქმედითი საწარმოო პრაქტიკით.

სახალხო მეურნეობის იურისტთა კადრებით უზრუნველყოფის ძალზე დაბალი დონისა და მათი მომზადების არსებითი გაფართოების აუცილებლობის გათვალისწინებით მიზანშეწონილია განსაკუთრებით მსხვილ უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალური ფაკულტეტებისა და განყოფილებების შექმნა. ამ სპეციალობის იურისტთა მოსამზადებლად გაღრმავებული მეთოდური მუშაობისათვის, კარგი იქნებოდა ექსპერტიზის სახით ქვეყანაში შეიქმნას ერთი ასეთი „სათაო“ ინსტიტუტი ან უნივერსიტეტის ფაკულტეტი გამოცდილ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობით.

3. მარტმიანოვი: ვფიქრობ, რომ კარგი სამეურნეო-სამართლებრივი მომზადება ყველა იურისტს სჭირდება; სახელმწიფომცოდნესაც, მოსამართლესაც, გამომძიებელსაც. თუმცა განსაკუთრებით ღრმა მომზადება მათ უნდა გაიარონ, ვინც უშუალოდ სახალხო მეურნეობაში იმუშავენ. მიმაჩნია, რომ თანდათანობით ღრმა სპეციალიზაციამდე მივალთ. არ გამოვირიცხავ, რომ სამეურნეო-სამართლებრივი ფაკულტეტების შექმნა უახლოეს ხანში საარსებო აუცილებლობად იქცევა. ამის შემდეგ კი შეიძლება სპეციალიზირებულ უმაღლეს



სასწავლებლებზეც ვილაპარაკოთ, ძალზე რთული და დიდი მოცულობის სასწავლო მასალა.

აუცილებელია შეიცვალოს სამეურნეო სამართლისადმი, როგორც მეორეხარისხოვანი „სინთეტური“ დისციპლინისადმი დამოკიდებულება. მოქმედ სასწავლო გეგმებში საკმაოდ უცნაური გადახრები გვხვდება. საბჭოთა სამართლის ყველაზე მსხვილი ნორმატიული მასალა უმრავლეს შემთხვევაში სასწავლებლებში სპეციალურად არ ისწავლება. ეს არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს სამეურნეო სამართლის საგნისადმი ნებისმიერი კონკრეტულად მიდგომისას. თვით ისეთი შეფარდებითი ნაწილიც კი, როგორცაა საბროკურრორ ზედამხედველობა, კრიმინალისტიკა (მათ შორის ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად), ჩვენს სასწავლო გეგმებში ასეთი საათები თანა წარმოადგენილი, ხოლო უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-სამართლებრივ ინსტიტუტებს ჩვენ უკვე ათეული წლების განმავლობაში ფაკულტატურად — სპეციალიზირებულ კურსებზე ვასწავლით.

ი. ბასინი: — დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლების კავშირს საწარმოში, იუსტიციის განყოფილებაში, არბიტრაჟში პრაქტიკულ მუშაობასთან. სასწავლო გეგმა ითვისისწინებს გაცნობითს, საწარმოო და წინასააღიპლომო პრაქტიკას. პრაქტიკას გადის ყველა სტუდენტი მომავალი სამუშაოს სპეციფიკის მიუხედავად. მომავალი სამეურნეო დარგის იურისტების უფრო მჭიდრო კონტაქტი სამართლებრივი მუშაობის პრაქტიკასთან სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. დღევანდელ პირობებში, როდესაც სტუდენტს გამოყოფილი აქვს ღრმად დამოუკიდებელი მუშაობისათვის, ძალზე მნიშვნელოვანია საწარმოში პრაქტიკისათვის მისი გამოყენება.

ამ საქმიანობის ორგანიზაციაში ძალზე დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ მსხვილ საწარმოებში სამეურნეო სამართლის კათედრათა „ფილიალებს“. ცნობილია, რომ ასეთი ფილიალი უკვე აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის კათედრას რსფსრ-ის სახელმწიფო არბიტრაჟთან, ხოლო სვერდლოვსკის იურიდიულ ინსტიტუტს — საწარმოო გაერთიანება „ურალმაშში“. არის ასეთი ფილიალი ყაზახეთის უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრასთან რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟში. არბიტრაჟის მუშაკები უკეთხავენ სტუდენტებს ლექციებს, ხელმძღვანელობენ პრაქტიკულ მეცადინეობებს, საკურსო და სადიპლომო შრომებს. პრაქტიკაში დანერგილია საარბიტრაჟო საქმეების განხილვა სტუდენტთა მონაწილეობით და შემდეგ ამ პროცესის გარჩევა. დამოუკიდებელი მუშაობისათვის სტუდენტები ეცნობიან საარბიტრაჟო საქმეებს: საქმიდან იღებენ გადაწყვეტილებას, და სტუდენტი მასალების შესწავლის შემდეგ თითონ ამზადებს გადაწყვეტილებას. ამის შემდეგ მას უდარებენ არბიტრაჟის ნამდვილ გადაწყვეტილებას. ამას უზარმაზარი სარგებლობა მოაქვს. და მაინც, პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირის ორგანიზაციას ნაკლოვანებებიც გააჩნია. კერძოდ, იშვიათად ხერხდება პრაქტიკულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება საათობრივი ფონდის ხარჯზე. ძალზე იშვიათად უნაზღაურებს საწარმო იურიდიული სამსახურის მუშაკებს სტუდენტური პრაქტიკის ხელმძღვანელობისათვის გაწეულ მუშაობას. აუცილებლად მიგვაჩნია იურიდიული უმაღლესი სასწავლებლებისა და ფაკულტეტებისათვის საბაზო საწარმოების მიმავრება სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზაციისათვის.

ნ. ეგოროვი — უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების მიერ სპეციალისტთა მომზადებაში არსებული ნაკლოვანებები მნიშვნელოვანწილად მათი

სუსტი მატერიალური ბაზითაა განპირობებული, საკმარისია ითქვას, რომ კვყყნის უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობა ნორმატიული აქტების, სასწავლო, მეთოდური და სხვა სახის ლიტერატურის ნაკლებობას განიცდის, რამდენადაც უმაღლესი სასწავლებლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებანი დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისობაში მოსაყვანად აშკარად არასაკმარისია, ამიტომ აუცილებელია იმ ორგანიზაციათა სახსრების მოშველიება (სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე), რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული უმაღლესი იურიდიული განათლების სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესებით.

3. გრიბანოვი: — და მაინც, განათლებული სამეურნეო დარგის იურისტების მომზადება, უპირველესად იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ ამზადებს მათ, ე. ი. თვით მასწავლებელთა კადრების კვალიფიკაციაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ახალი ფორმების გამოსაყენებლად მათ დამოუკიდებლობასა და ინიციატივაზე. ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია თვით მასწავლებელთა შესაძლებლობებისა და სპეციალიზაციის გათვალისწინება. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრაზე გამოიყენება მეცადინეობის ისეთი ფორმა, როგორცაა პრობლემური სემინარები. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სპეციალიზირებული ჯგუფების სტუდენტები დასაწყისშივე ირჩევენ იმ პრობლემას, რომელთა ღრმად შესწავლაც მათ სურთ, პრობლემატიკის შესაბამისად მათ ენიშნებათ მეცნიერ-ხელმძღვანელი იმ პედაგოგთა შემადგენლობიდან, რომლებიც ამ სფეროში მოღვაწეობენ. თითოეულ მასწავლებელს შეიძლება მივამაგროთ ერთიდან ხუთ-ექვს სტუდენტამდე. მათთან მეცადინეობები შეტანილია სპეცსემინარების ცხრილში. სტუდენტს ეძლევა კონკრეტული დავლება განსაზღვრული ვადით: მაგალითად, შეისწავლოს უზარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის სარჩელების განხილვის საარბიტრაჟო პრაქტიკა, ამა თუ იმ საწარმოში სამართლებრივი მუშაობის პრაქტიკა, გააანალიზოს შესაბამისი ლიტერატურა. დათქმულ ვადაში მასწავლებელი ესაუბრება სტუდენტებს, ამოწმებს რა და როგორ გააკეთეს მათ. შემდეგ სტუდენტებს ეძლევათ ახალი დავლება პრობლემის უფრო ღრმა კვლევისათვის. კვლევის შედეგების შესაბამისად ისინი ამზადებენ რეფერატებს. განსაკუთრებით აქტუალურ პრობლემათა ირგვლივ კათედრა აწყობს განხილვას მთელი სპეციალიზირებული ჯგუფის ან მსგავს პრობლემებზე მომუშავე სტუდენტთა მონაწილეობით.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციის ასეთი მეთოდის სარგებლიანობა იმაში მდგომარეობს, რომ, ჯერ ერთი, პრობლემაზე მათი მუშაობისას არის გარკვეული სისტემა; მეორე, სტუდენტი თანდათანობით ეუფლება პრობლემას, სულ უფრო ღრმად იჭრება მასში; მესამე, ამ გზით სტუდენტი იძენს პრობლემის დამოუკიდებელი მეცნიერული დამუშავების ჩვევებს, უვითარდება ამა თუ იმ სამართლებრივი ამოცანის გადაწყვეტისადმი შემოქმედებითი მიდგომის ელემენტები; და ბოლოს, ყველაზე ფართო შესაძლებლობები იწვლება სახალხო მეურნეობის იურიდიული სამსახურების მუშაკთა პრაქტიკულ საქმიანობასთან სასწავლო პროცესის ურთიერთქმედებისათვის.



ქვემოთ მოცემული კანონის მიზანია, უზრუნველყოს საქონლის მფლობელის უფლებების დაცვა და მათი აღდგენა.

სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება

გელამხედველობის წესით

აპოლონ შალიაშვილი

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის კათედრის გამგე, პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის საზედამხედველო წესით გადასინჯვა რეგლამენტირებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მეექვსე კარით (მუხლები: 382-393). კანონით დადგენილი წესი ძირითადად შეესაბამება თეორიასა და პრაქტიკას, მაგრამ მაინც საჭიროა კანონთა შემდგომი დახვეწა, რედაქციის გაუმჯობესება. მასში ცვლილებების შეტანა, ამ საკითხის განხილვის დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული არა მარტო მოქმედი კანონმდებლობის გულდასმითი ანალიზი, შედარებითი მეთოდის გამოყენება, საპროცესო ლიტერატურაში და პრაქტიკაში გამოთქმული მოსაზრებები, არამედ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1985 წლის 5 აპრილის № 2 დადგენილება „სასამართლოების მიერ იმ კანონმდებლობის გამოყენების შესახებ, რომლებიც არეგლამენტირებენ განაჩენების, განჩინებების და დადგენილებების ზედამხედველობის წესით გადასინჯვას სისხლის სამართლის საქმეებზე“¹.

1. ზედამხედველობის წესით განაჩენის გადასინჯვის ძირითადი ნიშნები, ზედამხედველობის წესით სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის (განჩინების, დადგენილების) გადასინჯვა მიზნად ისახავს საქმის გამოძიების ან სასამართლოში განხილვის დროს დაშვებული შეცდომის გამოსწორებას და საქმეზე კვანძობის დადგენას, ამავე დროს საქმის ზედამხედველობის წესით განხილვა არის ქვემდგომი სასამართლოებისადმი ზედამხედველობის განხორციელების ეფექტური საშუალება.

ზედამხედველობის წესით განაჩენის გადასინჯვა არის სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი დამოუკიდებელი სტადია, რომელიც შედგება შემდეგი ძირითადი საფეხურებისაგან: განცხადებებისა და საჩივრების განხილვა სათანადოდ უფლებამოსილი პირების მიერ; განაჩენის გაპროტესტება ან გაპროტესტებაზე უარის თქმა; საქმის განხილვა და გადაწყვეტა ზედამხედველობის წესით.

საქმის განხილვა ზედამხედველობის წესით არსებითად განსხვავდება საკასაციო წესით საქმის განხილვისაგან.

საკასაციო წესით საქმის განხილვა ხდება საკასაციო საჩივრისა და საკასაციო პროტესტის საფუძველზე, მაშინ როდესაც ზედამხედველობის წესით განაჩენის გადასინჯვა ხდება მხოლოდ პროკურატურის და სასამართლო ორ-

¹ См.: Бюллетень Верховного Суда СССР, 1985, № 3, с. 18-23; Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1989, № 7, с. 5-6

განოების კანონში ჩამოთვლილი სათანადო თანამდებობის პირების პროტესტის საფუძველზე.

საკასაციო წესით საჩივრდება ან პროტესტდება განაჩენი მაშინ, როდესაც იგი არ არის შესული კანონიერ ძალაში. ზედამხედველობის წესით კი გადაისინჯება განაჩენი მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი შესულია კანონიერ ძალაში და მიქცეულია აღსასრულებლად.

საკასაციო წესით განაჩენის გასაჩივრებისა და გაპროტესტებისათვის დადგენილია გარკვეული ვადა (7 დღე). ზედამხედველობის წესით განაჩენის გადასინჯვისათვის არ არის დადგენილი არავითარი ვადა. ვადა დადგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზედამხედველობის წესით განაჩენის გადასინჯვას შეუძლია გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა. ამ შემთხვევაში განაჩენის გაპროტესტება დაიშვება ერთი წლის ვადაში განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან (იხ. საქართველოს სსრ სსს კოდექსის 383-ე მუხლი).

საკასაციო წესით განიხილება მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენების კანონიერება-დასაბუთებულება და ისიც არა ყველა სასამართლოსი (მაგალითად, საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს განაჩენები, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენი). ზედამხედველობის წესით საქმის გადასინჯვა არ არის შეზღუდული არც ერთ შემთხვევაში.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს განმარტების მისაცემად დაიშვება ყველა ის პირი, რომელიც გამოიძახა საკასაციო ინსტანციის სასამართლომ და ყველა ის, ვინც თავისი ინიციატივით გამოცხადდა (მსჯავრდებული, გამართლებული, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები). ზედამხედველობის წესით განაჩენის გადასინჯვის დროს განმარტების მისაცემად დაიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც მოწვეულ იყვნენ საზედამხედველო სასამართლოს მიერ (იხ. საქართველოს სსრ სსს კოდექსის 388-ე მუხლი). კანონმდებლობის სრულყოფისა და დაცვის კონსტიტუციური უფლების რეალური განხორციელების მიზნით სასურველი იქნებოდა, რომ დამცველს ჰქონდეს უფლება თავისი ინიციატივით გამოცხადდეს საზედამხედველო სასამართლოში და განახორციელოს დაცვის ფუნქცია.

ეს იმას მოწმობს, რომ საზედამხედველო წარმოებას, როგორც სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელ სტადიას, გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, აკისრია სპეციფიკური ამოცანა, რაც განასხვავებს მას ერთი მხრივ, საკასაციო წესით სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტადიიდან, ხოლო მეორეს მხრივ, საქმის განახლებისაგან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის, განჩინების და დადგენილების გაპროტესტება შეუძლიათ საამისოდ უფლებამოსილ თანამდებობის პირებს, როგორც პროკურატურის ორგანოთა სისტემაში, ისე სასამართლო ორგანოებში (იხ. საქართველოს სსრ სსსკ 382-ე მუხლი).

კანონის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები პროტესტის შეტანის საკითხში გათანაბრებულნი არ არიან სსრ კავშირის გენერალურ პროკურორთან და მის მოადგილეებთან. კერძოდ, სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს და მის მო-

ადგილებს უფლება აქვთ გააპროტესტონ ზედამხედველობის წესით მოქმედი სსსამართლოს განაჩენი, განჩინება, დადგენილება, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი სსსამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილებს უფლება აქვთ გააპროტესტონ ზედამხედველობის წესით მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სსსამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სსსამართლო კოლეგიის განაჩენი და განჩინება, რომელიც გამოტანილია პირველი ინსტანციის წესით.

გამოდის, რომ სსსამართლო ორგანოების დასახელებულ პირებს (სსრ კავშირის უმაღლესი სსსამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილებს) უფლება არა აქვთ ზედამხედველობის წესით გააპროტესტონ ოლქის, მხარის, ავტონომიური ოკრუგის, ავტონომიური ოლქის, საქალაქო სსსამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სსსამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები, განჩინებანი და დადგენილებანი. კანონის ასეთ შეუსაბამობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს².

2. საზედამხედველო წარმოების ადვრა. საზედამხედველო წარმოების ადვრის საბაზს წარმოადგენს მოქალაქის საჩივარი კანონიერ ძალაში შესული განაჩენის (განჩინების, დადგენილების) გადასინჯვის შესახებ იმ თანამდებობის პირის სახელზე, ვინც უფლებამოსილია ზედამხედველობის წესით გააპროტესტოს სსსამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი (იხ. საქართველოს სსრ სსს კოდექსის 382-ე მუხლი).

საპროცესო კანონი არ ადგენს (არ ჩამოთვლის) იმ პირებს და ორგანიზაციებს, ვინც უფლებამოსილია შეიტანოს საჩივარი ზედამხედველობის წესით განაჩენის გადასინჯვის საკითხზე.

პროცესუალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზედამხედველობის წესით საქმის გადასინჯვის შესახებ საჩივრის შეტანის უფლება ჰქონდეს იმ პირს, ვინც უფლებამოსილია საკასაციო წესით გაასაჩივროს განაჩენი³. ი. ა. სტეცოვსკი თვლის, რომ დამცველს უფლება არა აქვს შეიტანოს საჩივარი ზედამხედველობის წესით საქმის გადასინჯვისათვის მსჯავრდებულის თანხმობისა და სურვილის გარეშე⁴.

აღნიშნული მოსაზრებანი არ გამომდინარეობს საჩივრის უფლების რეალური განხორციელების გარანტიიდან. იმათ გარდა, ვინც სარგებლობენ განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების უფლებით, ზედამხედველობის წესით საჩივრის შეტანა უნდა შეეძლოს საქმის შედეგებით დაინტერესებულ ყველა პირს; განსასჯელის ნათესავებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, იმ შრომით კოლექტივებს, სადაც მუშაობდა ან სწავლობდა მსჯავრდებულის, საზოგადოებრივ ბრალმდებელს და საზოგადოებრივ დამცველს. ზედამხედველობის წესით განაჩენის გადასინჯვის ყველა საჩივარი შეიძლება გახდეს მხოლოდ საბაზი ზედამხედველობის წესით განაჩენის გადასინჯვისა, მაგრამ იგი არ იწვევს ყველა შემთხვევაში განაჩენის აუცილებელ გადასინჯვას, როგორც ეს არის

² См.: Строгович М. С., Курс советского уголовного процесса, т. II, М., 1970, с. 452; Темушкин О. П., Организационно-правовые формы проверки законности и обоснованности приговоров, М., 1978, с. 205; Потеружа И. И., Значение надзорного производства уголовных дел в укреплении законности, Минск, 1985, с. 49—51.

³ См.: Пашкевич П. Ф., Процессуальный закон и эффективность уголовного судопроизводства, М., 1984, с. 158.

⁴ См.: Стецовский Ю. И., Уголовно-процессуальная деятельность защитника, М., 1982, с. 140—141.

საკვსაციო წესით განაჩენის გასაჩივრების დროს, ამიტომ ასეთ შემთხვევაში არავინ არ შეზღუდვას არ უნდა აქონდეს ადგილი.

ზოგიერთი ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები ზედამხედველობის წესით განაჩენის გასაჩივრებისათვის. პ. ფ. პაშკევიჩს მიაჩნია, რომ განაჩენის ზედამხედველობის წესით გასაჩივრებისას საჭირო უნდა იყოს ბაჟის გადახდა ან გირაოს შეტანა და მათი სახელმწიფოს შემოსავალში გადარიცხვა, იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქის საჩივარი არ იქნება დაკმაყოფილებული⁵.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ მიგვაჩნია სწორად და დასაბუთებულად. ამ გზით საჩივრების შეტანის შეზღუდვა არ შეესაბამება მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას. ჩვენ ვეთანხმებით ყველა იმ ავტორთა მოსაზრებებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ზედამხედველობის წესით გასაჩივრების დროს არ უნდა იყოს დაწესებული არავითარი შეზღუდვა მატერიალური თვალსაზრისით⁶. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ზედამხედველობის წესით ერთ ინსტანციაში საჩივრის შეტანა (მაგალითად, რესპუბლიკის პროკურორის სახელზე) მისი უარყოფითი გადაწყვეტის შემთხვევაში არ უსპობს პირს საშუალებას იმავე საფუძველით შეიტანოს საჩივარი სხვა ინსტანციაში (მაგალითად, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე).

პროცესუალურ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული იმ საკითხზე, თუ როდის უნდა აღძვრას საზედამხედველო წარმოება საქმეზე, ე. ი. რა მომენტში ითვლება იგი აღძრულად. ნაწილი პროცესუალისტებისა თვლიან, რომ საზედამხედველო წარმოება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც შესაბამისი თანამდებობის პირი მიიღებს საჩივარს (განცხადებას) სისხლის სამართლის საქმის ზედამხედველობის წესით გადასინჯვის შესახებ⁷, ზოგი ამ საკითხს უკავშირებს საქმის მასალების გამოთხოვის მომენტს⁸, ზოგი კი თვლის, რომ საზედამხედველო წარმოება იწყება მაშინ, როდესაც შესაბამისი თანამდებობის პირს შეაქვს პროტესტი ზედამხედველობის წესით საქმის გადასინჯვის საკითხზე⁹.

საკითხის სხვადასხვაგვარი გადაწყვეტა გამოწვეულია იმით, რომ კანონში პირდაპირ არ არის მითითებული საზედამხედველო წარმოების დაწყების დრო, ე. ი. საზედამხედველო წარმოების აღძვრის მომენტი.

მიგვაჩნია, რომ საზედამხედველო წარმოების დაწყების მომენტად უნდა ჩაითვალოს საჩივრის (განცხადების) მიღება განაჩენის ზედამხედველობის წესით გადასინჯვის შესახებ. მართალია, კანონი არ ავალდებულებს შესაბამის თანამდებობის პირს საჩივრის არსებობის ყველა შემთხვევაში შეიტანოს პროტესტი ზედამხედველობის წესით, მაგრამ თანამდებობის პირი ვალდებულია აუცილებლად შეისწავლოს საჩივარი (განცხადება), მიუხედავად მისი დასაბუთებულობისა თუ დაუსაბუთებულობისა და ყველა შემთხვევაში აცნობოს მომჩივარს მოტივირებული პასუხი. საკითხის ასეთი გადაწყვეტის შემთხვევაში

⁵ См.: Пашкевич П. Ф. Указ. соч., с. 157.

⁶ См.: Мартынич Е. Г., Гарантии прав осужденного в надзорном производстве, Кишинев, 1985, с. 46—48; Потеружа И. И., Указ. соч., с. 64—67.

⁷ См.: Перлов И. Д., Надзорное производство в уголовном процессе, М., 1974, с. 173.

⁸ См.: Строгович М. С. Указ. соч., с. 493.

⁹ Мартынич Е. Г. Указ. соч., с. 52—53.

მნიშვნელობა არა აქვს გამოითხოვს თუ არა თანამდებობის პირი საქმეს და შეიტანს თუ არა იგი პროტესტს ზედამხედველობის წესით.

პროცესუალურ ლიტერატურაში დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა შეისწავლოს ზედამხედველობის წესით შემოსული საჩივრები: იმ თანამდებობის პირმა, ვინც უფლებამოსილია გააპროტესტოს განაჩენი, თუ სხვა მათდამი დაქვემდებარებულმა პირმა?!

რა თქმა უნდა, ის თანამდებობის პირი, ვისაც შეუძლია გააპროტესტოს განაჩენი ზედამხედველობის წესით, უფლებამოსილია უშუალოდ შეისწავლოს საჩივრები ზედამხედველობის წესით, მაგრამ ეს ყოველთვის ვერ მოხერხდება სამუშაოს დიდი მოცულობისა და სხვა სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელების გამო. ამიტომ საჩივრების შესწავლა შეიძლება დაევალოს პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების სხვა ოპერატიულ მუშაკებსაც, მაგრამ საკითხს არსებითად ყველა შემთხვევაში წყვეტს მხოლოდ ის თანამდებობის პირი, ვინც საქართველოს სსრ სსს კოდექსის 382-ე მუხლის საფუძველზე, უფლებამოსილია გააპროტესტოს ან არ გააპროტესტოს განაჩენი სასამართლო ზედამხედველობის წესით.

მიუხედავად იმისა თუ ვინ შეისწავლა საქმეზე შემოსული საჩივარი, პროტესტის შეტანის საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის ყველა შემთხვევაში წერილობით უნდა ეცნობოს იმ პირს ან ორგანიზაციის წარმომადგენელს, ვინც შეიტანა საჩივარი ზედამხედველობის წესით. ასეთი წერილობითი პასუხი მას უნდა გაუგზავნოს მხოლოდ იმ თანამდებობის პირმა, ვინც უფლებამოსილია გააპროტესტოს განაჩენი ზედამხედველობის წესით. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა გამომდინარეობს საქართველოს სსრ სსს კოდექსის 387-ე მუხლის მოთხოვნიდან და ამის შესახებ ნათქვამია ზემოთ ხსენებულ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1985 წლის 5 აპრილის პლენუმის № 2 დადგენილებაში¹⁰.

3. განაჩენის გადასინჯვა ზედამხედველობის წესით. განაჩენის (განჩინების, დადგენილების) გადასინჯვა ზედამხედველობის წესით დაწვრილებით არ არის რეგლამენტირებული მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით, რაც იწვევს ცალკეული საკითხების სხვადასხვაგვარ გადაწყვეტას.

საქმეზე წარმოების აღძვრის შემდეგ უნდა ჩატარდეს მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც გამოიხატება შემდეგში: უნდა იქნას შესწავლილი საქმის მასალები, განაჩენი და პროტესტის შინაარსი; უნდა გადაწყდეს საკითხი საქმის განხილვის დროს გამოსაძახებელ პირთა შესახებ; საქმის განხილვის დღე, რის შესახებაც ეცნობება პროკურორს და სხვა გამოძახებულ პირებს; საჭიროების შემთხვევაში, უნდა იყოს გამოთხოვილი დამატებითი მასალები.

აღნიშნულის შესრულება ევალება სასამართლოს (კოლეგიის) თავმჯდომარეს ან საზედამხედველო სასამართლოს იმ მოსამართლეს, ვისაც დაევალა საქმის მომზადება განხილვისათვის.

გამოსაძახებელ პირებს უნდა ეცნობოს საქმის განხილვის დღისა და საათის შესახებ, რის შესახებაც მათ უნდა გაეგზავნოს უწყება არა უგვიანეს ათი დღის ვადისა საქმის განხილვის დაწყებამდე. ამის შესახებ საპროცესო კანონში არაფერი არ არის ნათქვამი, მაგრამ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა გა-

¹⁰ См.: Бюллетень Верховного Суда СССР, 1985, № 3, с. 19.

მომდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კანონის მე-19-ე, 29-ე მუხლებიდან.

საპროცესო კანონში (საქართველოს სსრ სსს კოდექსის 388-ე მუხლი) აღნიშნულია, რომ სხდომაზე მოწვეულ პირებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ პროტესტის ან დასკვნის შინაარსს, მაგრამ კანონი არ არეგლამენტირებს საკითხს, თუ როდის უნდა გაეცნონ აღნიშნულ პროცესუალურ დოკუმენტებს. კანონის სრულყოფის მიზნით უმჯობესია თვით საპროცესო კანონში აღინიშნოს, რომ პროტესტის პირი უნდა გადაეგზავნოს იმ პირს, ვინც მოწვეულია სასამართლო სხდომაზე. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა საშუალებას მისცემდა სასამართლო სხდომაზე გამოძახებულ მსჯავრდებულს და სხვა პირებს მომზადებული მოვიდეს სასამართლოში, რეალურად და სრულყოფილად განახორციელოს თავისი უფლება, დასაბუთებული განმარტება მისცეს პროტესტის ირგვლივ.

საპროცესო კანონი არ განსაზღვრავს ზედამხედველობის წესით განაჩენის გადასინჯვის დროს სასამართლო სხდომის სტრუქტურას, რაც განხილული უნდა იყოს საპროცესო კანონის ერთგვაროვან ნაკლად. საპროცესო კოდექსის სრულყოფის მიზნით მასში უნდა აღინიშნოს, რომ ზედამხედველობის წესით განაჩენის (განჩინების, დადგენილების) გადასინჯვა უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან: ა) სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი, ბ) მოსამართლის მოხსენება, გ) დამატებითი ან ახალი მასალების წარმოდგენა და მათი განხილვა, დ) სასამართლოში გამოძახებულ პირთა განმარტება, ე) პროკურორის მიერ პროტესტის მხარდაჭერა და საქმეზე დასკვნის გაკეთება, ვ) საქმეზე განჩინების (დადგენილების) გამოტანა.

ზედამხედველობის წესით განაჩენის გადასინჯვა ხდება სასამართლო სხდომაზე, მაგრამ საპროცესო კანონი არ არეგლამენტირებს საკითხს, თუ როგორ უნდა წარიმართოს სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი.

იგულისხმება, რომ ყველა შემთხვევაში (პლენუმი, პრეზიდიუმი, კოლეგია) სასამართლოს თავმჯდომარემ უნდა გამოაცხადოს, თუ რომელი საქმე იხილება სასამართლო სხდომაზე. ამის შემდეგ უნდა შემოწმდეს გამოცხადდა თუ არა პროკურორი და კერძოდ ვინ; გამოცხადდნენ თუ არა პროცესის ის მონაწილენი და სხვა პირები, რომლებიც გამოძახებული იყვნენ მოცემული საქმის განხილვასთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი არ გამოცხადდა, საქმის განხილვის დაწყება შეუძლებელია, რადგან პროკურორის მონაწილეობა ზედამხედველობის წესით საქმის განხილვის დროს არის სავალდებულო. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ზემოთმოხსენებული პლენუმის № 2 დადგენილების მე-4 პუნქტით პროკურორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქმის განხილვა უნდა გადაიდოს.

თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ გამოძახებული პირები (მსჯავრდებული, გამართლებული და ა. შ.) ამ საკითხზე სასამართლომ უნდა მოისმინოს პროცესში მონაწილე პირთა მოსაზრება და გადაწყვიტოს საკითხი არსებითად. სასამართლო უფლებამოსილია დასაბუთებული განჩინების (დადგენილების) გამოტანის საფუძველზე გააგრძელოს საქმის განხილვა ან გადადოს იგი.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის შემდეგ სასამართლომ უნდა გაარკვიოს საკითხი არის თუ არა ქვორუმი საქმის განხილვის დაწყებისათვის, ზომ არ

მონაწილეობენ საქმის განხილვაში ის მოსამართლეები, რომლებმაც ადრე უკვე მიიღეს მონაწილეობა მოცემული საქმის განხილვაში. ასეთი მოსამართლეები, საერთო წესის საფუძველზე, ექვემდებარებიან აცილებას. (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1985 წლის ხსენებული № 2 დადგენილების მე-6 პუნქტი).

თუ დადგინდება, რომ მოსამართლეთა უმრავლესობამ უკვე მიიღო მონაწილეობა მოცემული საქმის განხილვაში საქმე უნდა განიხილოს სხვა შემადგენლობამ ან ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ.

ქვემოთხსენიების დადგენილებით გადაწყვეტის შემდეგ ცხადდება სასამართლოს შემადგენლობა და პროკურორი. მხოლოდ ამის შემდეგ განიხილება საკითხი პროცესის რომელიმე მონაწილის (სასამართლოს წევრების, პროკურორის) აცილების შესახებ. აცილების საკითხზე სასამართლო მოისმენს პროცესის მონაწილეთა მოსაზრებას და არსებითად გადაწყვეტს საკითხს განჩინების (დადგენილების) გამოტანით.

სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი მთავრდება იმით, რომ სასამართლოს თავმჯდომარე წინადადებით მიმართავს საქმეში მონაწილე პირებს, რომ არა აქვთ მათ რაიმე შუამდგომლობა მოცემულ საქმეზე. ყოველი აღძრული შუამდგომლობა უნდა იყოს განხილული და არსებითად გადაწყვეტილი დასაბუთებული განჩინების (დადგენილების) გამოტანით.

სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სასამართლოს წევრს მოხსენებისათვის, საქმის მოხსენება შეუძლია აგრეთვე უშუალოდ სასამართლოს თავმჯდომარესაც.

მოკავშირე რესპუბლიკების საპროცესო კანონმდებლობით ერთგვაროვნად არ არის გადაწყვეტილი საკითხი, თუ ვინ უნდა მოახსენოს საქმის შინაარსი საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოს. საპროცესო კოდექსების უმრავლესობა ითვალისწინებს ისეთ წესს, რომ საქმეს ახსენებს პლენუმის ან პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან ამ პირთა დავალებით პლენუმის (პრეზიდიუმის) წევრი (იხ. მაგ. საქ. სსრ სსს კოდექსის 388-ე მუხლი). უზბეკეთის სსრ სსს კოდექსის 352-ე მუხლის შესაბამისად საქმის შინაარსის მოხსენება უნდა დაევალოს პლენუმის წევრს, ე. ი. ამ შემთხვევაში საქმეს არ ახსენებს არც პლენუმის თავმჯდომარე და არც მისი მოადგილე. ყაზახეთის სსრ სსს კოდექსის 372-ე მუხლის და მოლდავეთის სსრ სსს კოდექსის 357-ე მუხლის შესაბამისად საქმეს ახსენებს სასამართლოს პროტესტის შემტანი პირი, ე. ი. უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ან რესპუბლიკის პროკურორი.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არის სადაო და უნდა იყოს განხილული, როგორც საპროცესო კანონის ხარვეზი. ჯერ ერთი, საქმეს არსებითად იხილავს და წყვეტს ზედამხედველობის სასამართლო და არა პროკურორი. პროკურორი, სასამართლოში გამოდის როგორც ზედამხედველი ორგანოს წარმომადგენელი და არა, როგორც საქმის არსებითად განმხილავი ორგანოს (სასამართლოს) წარმომადგენელი ან წევრი.

აღნიშნულიდან გამომდინარე იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით მოკავშირე რესპუბლიკის პლენუმის (პრეზიდიუმის) სხდომაზე საქმე უნდა მოახსენოს სასამართლოს თავმჯდომარემ ან მისი დავალებით სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ან სასამართლოს (პლენუმის, პრეზიდიუმის) წევრმა.

საპროცესო კოდექსებში ერთგვაროვნად არ არის გადაწყვეტილი სა-

კითხი შეუძლია თუ არა საქმის მომხსენებელ მოსამართლეს გამოთქვას თავისი საკუთარი მოსაზრება განსახილველ საქმეზე, თუ ამის უფლება მას არ გააჩნია მანამ, სანამ საქმის არსებითი გადაწყვეტა არ მოხდება საათათბირო ოთახში.

საქართველოს სსრ სსს კოდექსის 388-ე მუხლში აღნიშნულია, რომ მომხსენებელი მოსამართლე გადმოსცემს საქმის გარემოებებს, საქმეზე გამოტანლ განაჩენს, განჩინებას, დადგენილებას, პროტესტის შინაარსსა და აგრეთვე თავის მოსაზრებას საქმის შესახებ. საკითხის ამგვარ გადაწყვეტას შეიცავს კიდევ ოთხი მოკავშირე რესპუბლიკის საპროცესო კანონი (აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქმენეთი და ყირგიზეთი). სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა საპროცესო კოდექსი არ მიუთითებს აღნიშნულზე.

მიგვაჩნია, რომ მომხსენებელ მოსამართლეს შეუძლია გამოთქვას თავისი აზრი საქმის ირგვლივ შემდეგ მოსაზრებათა გამო: იგი დაწვრილებით უკეთებს ანალიზს იმ ნაკლოვან მხარეებს და ხარვეზებს, რაც დაშვებულ იქნა გამოძიების ან საქმის სასამართლოში განხილვის დროს, ამხვილებს ყურადღებას დამამძიმებელ, შემამსუბუქებელ, გარემოებებზე, გამამართლებელ, გამამტყუნებელ მტკიცებულებებზე, მსჯავრდებულის პიროვნებაზე და სხვა გარემოებებზე, რასაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. ყოველივე ამის ლოგიკურ დაბოლოებას წარმოადგენს ის, რომ მომხსენებელი მოსამართლე შეფასებას აძლევს დადგენილ გარემოებებს და გამოთქვამს თავის საკუთარ წინასწარ მოსაზრებას. მისი მოსაზრება არ არის საბოლოო, რადგან შემდგომში მოსმენილი იქნება პროკურორის დასკვნა, გამოძახებულ პირთა ახსნა-განმარტებანი, წარმოდგენილი იქნება ახალი მასალები და ყოველივე ამან შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მომხსენებელი მოსამართლის წინასწარ გამოთქმულ მოსაზრებებზე. იგი შეიძლება შეიცვალოს საქმის არსებითად გადაწყვეტის დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ მომხსენებელ მოსამართლეს საქმის ზედამხედველობის წესით განხილვის დროს შეუძლია გამოთქვას თავისი მოსაზრება¹¹.

ზედამხედველობის წესით განაჩენის გადასინჯვისას, კანონით უნდა ესწრებოდეს შესაბამისი პროკურორი. პროკურორის პროცესუალური მდგომარეობა ზედამხედველობის წესით განაჩენის გადასინჯვის დროს გამოიხატება იმაში, რომ იგი ზედამხედველობას უწევს კანონთა შესრულებას სისხლის სამართლის პროცესის ამ სტადიაზე. ეს არის მისი ძირითადი კონსტიტუციური ფუნქცია. ამავე დროს, პროკურორი მხარს უჭერს მის მიერ შეტანილ პროტესტს ან იძლევა დასკვნას, იმ პროტესტის დასაბუთებულებათა და კანონიერების შესახებ, რომელიც შეტანილია სასამართლო ორგანოების თანამდებობის პირის მიერ.

საქმის განხილვის დროს პროკურორი ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონის მოთხოვნით და მისი შინაგანი რწმენით. სწორედ ამიტომ, თუ პროკურორი მივა დასკვნამდე, რომ ზედამხედველობის წესით საქმის განხილვის დროს არ დასტურდება პროკურატურის შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ შეტანილი პროტესტი, მას უფლება აქვს მხარი არ დაუჭიროს ასეთ პროტესტს და ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრება, რომელიც გამომდინარეობს საქმის მასალებიდან და შინაგანი რწმენიდან.

¹¹ См.: Грун А., Порядок рассмотрения уголовных дел в надзорной инстанции. «Советская юстиция», 1963, № 23, с. 18; Перлов И. Д., Указ. соч., с. 219.

თეორიასა და პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი: აქვს თუ არა პროკურორის უფლება საქმის ზედამხედველობის წესით განხილვის დროს მხარი არ დაუჭიროს ზემდგომი პროკურორის მიერ შეტანილ პროტესტს. პროკურატურის ორგანოებში არსებობს ცენტრალიზაციისა და ერთიანობის პრინციპი და ქვემდგომი პროკურორების დამორჩილება ზემდგომი პროკურორებისადმი.

ამ პრინციპიდან გამომდინარე ვ. ი. ბასკოვის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქვემდგომ პროკურორს უფლება არა აქვს მხარი არ დაუჭიროს ზემდგომი პროკურორის პროტესტს საქმის ზედამხედველობის წესით განხილვის დროს¹². პრაქტიკაში, ზოგ შემთხვევაში, დამკვიდრდა საკითხის შემდეგი გადაწყვეტა: თუ პროკურორი მივიდა დასკვნამდე, რომ ზემდგომი პროკურორის პროტესტი არ დასტურდება, იგი მოითხოვს შესვენების გამოცხადებას, ამ პერიოდში უკავშირდება ზემდგომ პროკურორს და შემდგომში იქცევა ისე, როგორც ისინი შეთანხმდებიან.

ორივე მოსაზრება მიუღებელია და ეწინააღმდეგება კანონს. ზედამხედველობის წესით საქმის განხილვის დროს პროკურორი ხელმძღვანელობს არა ჩნსტანციური დამოკიდებულების პრინციპით, არამედ მხოლოდ თავის შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს საქმის მასალებიდან, ობიექტურად დადგენილი ფაქტებიდან და კანონიდან. ამ საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა მიუღებელია.

¹² Басков В. И. О надзорном порядке пересмотра уголовных дел, «Советское государство и право», 1965, № 10, с. 48—50.

პირველი ნაბიჯები მაცნეიარაბაში

დადის მიერ ახალშობილის გველეშაპის საკანონმდებლო რეგულირების საკითხისათვის

ქეთევან მჟალიაშვილი

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების და ფიზიოლოგიური აფექტის დროს ჩადენილ მკვლელობათა გვერდით მრავალ ქვეყანაში, მათ შორის უმრავლეს მოკავშირე რესპუბლიკებში, კანონმდებელი კიდეც ერთ პრივილეგიურ შემადგენლობას — ბავშვთმკვლელობას აყალიბებს. ცენებას — „ბავშვთმკვლელობა“ სისხლის სამართალში, როგორც წესი, პირობითად ხმაობენ. იგი მოიცავს მხოლოდ დედის მიერ ახალშობილის მკვლელობას მშობიარობისას ან მშობიარობის შემდეგ, ქალის განსაკუთრებული ფსიქოფიზიკური მდგომარეობის ზეგავლენით. ზოგიერთი კანონმდებელი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად სირცხვილის, საზოგადოებრივი მსჯავრის შიშის, ღირ-

სენის დაცვის მოტივსაც ითვალისწინებს და ამ ქმედობას პრივილეგიურად მხოლოდ მაშინ თვლის, როცა დედა უკანონო ბავშვს კლავს. უმთავრესად კი ყურადღებას ბავშვთმკვლევლობისათვის პასუხისმგებლობის შემსუბუქების საშუალებების და ფსიქოლოგიურ კრიტერიუმებზე ამახვილებენ. დედის მიერ ახალშობილის მკვლევლობა მშობიარობისას ან უშუალოდ მშობიარობის შემდეგ უნდა ხდებოდეს მშობიარობით გამოწვეული ფიზიოლოგიური პროცესების ზეგავლენით (ინგლისის, საფრანგეთის, საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა).

ზოგ ქვეყანაში ქმედობისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება მხოლოდ დანაშაულის მოტივი — უკანონო ბავშვის მკვლევლობით სირცხვილის თავიდან აცილება (იტალია, ესპანეთი, ჩილე, ბრაზილია, მექსიკა, არგენტინა). ქმედობის პრივილეგირების მხოლოდ სოციალური საფუძვლის გათვალისწინება დანაშაულის შემადგენლობას მთლიანად ცვლის. დანაშაულის სუბიექტად ითვლება არა მხოლოდ ახალშობილის დედა, არამედ მისი ახლო ნათესავებიც, თუკი ისინი ქალის პატივის და ღირსების გადარჩენის მოტივით ხელმძღვანელობენ.

განსხვავებულ პოზიციას იკავებენ ის სისხლის სამართლის კოდექსები, რომლებიც ქმედობას პრივილეგიურად მხოლოდ მაშინ აღიარებენ, როცა ეს ორივე შემამსუბუქებელი გარემოება (მშობიარის განსაკუთრებული ფსიქოფიზიკური მდგომარეობა და ღირსების გადარჩენის მოტივი) ერთადაა მოცემული. უკანონო ბავშვს დედა მშობიარობით გამოწვეული განსაკუთრებული ფსიქოფიზიკური მდგომარეობის ზეგავლენით უნდა ჰკლავდეს (გერმანია, დანია). მშობიარის ეს „განსაკუთრებული მდგომარეობა“ და ბავშვის „უკანონობა“ მიზეზობრივად უნდა იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ მკვლევლობით ქალს მიზნად ღირსების გადარჩენა უნდა ჰქონდეს დასახული.

მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების უმეტესობა ბავშვთმკვლევლობას დამოუკიდებელ, პრივილეგიურ შემადგენლობად ითვალისწინებს, ამასთან მნიშვნელობა არა აქვს, ბავშვი შობილია „უკანონოდ“ თუ „კანონიერად“, მთავარია, ქალი მშობიარობისას ან უშუალოდ მშობიარობის შემდეგ, მშობიარობის პროცესის ზეგავლენით მოქმედებდეს.

საქართველოს სსრ სისხლს სამართლის კოდექსი ბავშვთმკვლევლობას, როგორც დამოუკიდებელ სისხლისსამართლებრივ ნორმას, არ ითვალისწინებს. ასეთი ქმედობა ჩვენს რესპუბლიკაში კვალიფიცირდება როგორც „მარტივი“ მკვლევლობა (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლი);

ბავშვთმკვლევლობის დამოუკიდებელ შემადგენლობას არ ითვალისწინებს სომხეთის, ბელორუსიის, ყაზახეთის, რსფსრ-ის კოდექსებიც.

ერთსულოვნება არც საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაშია. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ბავშვთმკვლევლობა მშობიარობის დროს ქალის განსაკუთრებული ფსიქოფიზიკური მდგომარეობის გამო აუცილებლად ცალკე პრივილეგიურ შემადგენლობად უნდა გამოიყოს. ისინი მიუთითებენ, რომ ბავშვთმკვლევლობის შემამსუბუქებელი გარემოება მშობიარის განსაკუთრებული ფსიქოფიზიკური მდგომარეობაა. „ბავშვთმკვლევლობის შემამსუბუქებელი გარემოება ხელყოფის ობიექტის უმნიშვნელობა კი არა, ფეხმძიმობისა და მშობიარობის დროს ქალის განსაკუთრებული ფსიქოფიზიკური მდგომარეობაა“.

ზოგიერთი მეცნიერ-იურისტის აზრით, ეს განსაკუთრებული ფსიქოფი-

ზიკური მდგომარეობა ძლიერი სულიერი აღელვება: რისხვის, სიძულვილის, შიშის, სასოწარკვეთილების აფექტი, დაბნეულობის აფექტი, სამშობიარო ტრავმით გაძლიერებული.

მ. შარგოროდსკი მიუთითებს მშობიარობის ზეგავლენაზე, რის გამოც ქალი თავს სრულად ვერ ფლობს; ლ. ტიმინას და მ. გერნეტის აზრით კი, ბავშვთმკვლელობის შემამსუბუქებელი გარემოება შემცირებული შეურაცხადობაა.

ჩვენი სისხლის სამართლის თეორია უყურადღებოდ არ ტოვებს დანაშაულის მოტივსაც. „ბავშვთმკვლელობა განზრახი მკვლელობის სხვა სახეებისაგან არსებითად განსხვავდება. ყველაზე ხშირად ამ დანაშაულს ბავშვის მამისგან მოტყუებული გაუთხოვარი ქალები სჩადიან, რომლებიც მძიმედ განიცდიან თავიანთ მდგომარეობას, რცხენიათ ახლობლებისა. ქმედობის პრივილეგიებისათვის აუცილებელია არა მარტო ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ცვლილებანი მშობიარობის დროს, არამედ მძიმე პირადი გარემოებების დამთხვევა. ეს ორი პირობა განსაკუთრებული ფსიქოფიზიკური მდგომარეობისათვის აუცილებელია“.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ბავშვთმკვლელობის დამოუკიდებელ დელიქტად გამოყოფის საფუძველი არ არსებობს. „განსაკუთრებული ფსიქოფიზიკური მდგომარეობა შეფარდებითი და ინდივიდუალურია და მისი გათვალისწინება მხოლოდ სასამართლოს თუ შეუძლია“.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ბავშვთმკვლელობის დამოუკიდებელ, პრივილეგიურ დელიქტად გამოყოფის იდეა გააკრიტიკა პროფ. ფურცხვანიძემაც. მისი აზრით „ზედმეტია იმის მტკიცება, რომ დღევანდელ პირობებში დედის მიერ თავისი ჩვილი ბავშვის მკვლელობა დიდი სოციალური საშიშროების შემცველია და მისი ე. წ. პრივილეგიურ მკვლელობად ჩათვალა ყოველად გაუმართლებელია“.

საჭიროა თუ არა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ბავშვთმკვლელობის დამოუკიდებელი, პრივილეგიური დელიქტის არსებობა, რა არის დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოება, ქალის ეს განსაკუთრებული ფსიქოფიზიკური მდგომარეობა აფექტია თუ შემცირებული შერაცხადობა. თუ აფექტია, შეიძლება თუ არა იგი სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით გამართლებულად ჩაითვალოს? თუ აფექტი ბავშვთმკვლელობის დროს მისატყვევებელი აფექტია, იქნება უკეთესი იყოს ქმედობის კვალიფიკაცია საქართველოს სსრ სსკ-ის 106-ე მუხლით? (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში) ანდა ხომ არ მოიცავს ქალის ამ „განსაკუთრებულ ფსიქოფიზიკურ მდგომარეობას“ საქართველოს სსრ სსკ-ის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტი — დანაშაულის ჩადენა ორსული ქალის მიერ?

ორსულობა დიდ ზეგავლენას ახდენს ქალის ფსიქიკაზე. მას ამ დროს შეიძლება ფსიქოზი ან ისტერია განუვითარდეს. არასასურველმა ორსულობამ შეიძლება მიზოპედია — ბავშვის სიძულვილი გამოიწვიოს. ეს ისტერიული მდგომარეობა მშობიარობის შემდეგაც შეიძლება გაგრძელდეს. მედიცინის ამ მონაცემების გათვალისწინებით საქართველოს სსრ სსკ 38-ე მუხლის მე-8 პუნქტში კანონმდებელი ორსული ქალის მიერ დანაშაულის ჩადენას შემამსუბუქებელ გარემოებად ითვალისწინებს. ბავშვთმკვლელობისას, მართალია, ბავშვის მოკვლის განზრახვა ქალს ორსულობის დროს უჩნდება, მაგრამ გან-

ზრახვის აღსრულებისას იგი უკვე ორსული კი არა, მშობიარეა, მშობიარის მიერ დანაშაულის ჩადენა კი შემამსუბუქებელ გარემოებად არ არის გათვალისწინებული.

მშობიარობა, განსაკუთრებით კი მძიმე მშობიარობა, ქალის ნერვულ სისტემას დიდ მოთხოვნებს უყენებს და ზოგიერთი დამატებითი გარემოების არსებობისას შეიძლება მეტ-ნაკლებად გამოხატული, ხანმოკლე ფსიქიკური აშლილობა განვითარდეს. მშობიარობის ზეგავლენით ქალი განსაკუთრებით ენოციურია, ხანდახან კი აფექტურიც, ცნობიერება შეზღუდული აქვს. ზოგჯერ აღენიშნება პროსტრაციული მდგომარეობა, როცა იგი განსაზღვრული დროის განმავლობაში ყველაფრისადმი გულგრილი ხდება და ბავშვზე არ ზრუნავს. ეს მდგომარეობა ღრმა აპათიას ან კოლაფსს უახლოვდება. მშობიარობისას შიშის აფექტი ამუხრუჭებს ქერქქვეშა იმპულსაციას. ზოგიერთ მშობიარეს ბავშვი, ტანჯვის ობიექტი, სძულდება კიდევ.

მეტად ემოციურია ქალი არასასურველი ფეხმძიმობის და მშობიარობის დროს. განსაკუთრებით მაშინ, თუ ბავშვი უკანონოა. მომეტებული მგრძობიარობა, შიში საზოგადოებრივი მსჯავრის წინაშე, ქალის ძლიერ სულიერ აღელვებას იწვევს.

„არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ თუ დედას ასეთ მდგომარეობაში ახალშობილის მოკვლის განზრახვა წარმოეშვა და ეს განზრახვა მშობიარობისას ან უშუალოდ მშობიარობის შემდეგ მოიყვანა სისრულეში, ქალი აფექტში მოქმედებს და დანაშაული უნდა განვიხილოთ როგორც განსაკუთრებული სახე — ბავშვთმკვლელობა“.

თუ ბავშვთმკვლელობას უეცრად წარმოშობილი განზრახვით ძლიერი სულიერი აღელვებაც ახლავს, აფექტური მკვლელობაა, თუმცა ამ შემთხვევაში აფექტი სისხლისამართლებრივად გამართლებული არაა. მისატყვებელი აფექტური მდგომარეობისათვის აუცილებელია ძლიერი სულიერი აღელვება. ეს პირობა უეცრად წარმოშობილი განზრახვით განხორციელებული ბავშვთმკვლელობის დროს დაცულია. აფექტური განზრახვა დაუყოვნებლივ სრულდება — განზრახვის წარმოშობა და მისი აღსრულება ერთდროულად ხდება. იმისათვის, რომ აფექტი საპატიოდ ჩაითვალოს საჭიროა კიდევ ერთი პირობა — ძლიერი სულიერი აღელვება დაზარალებულისაგან უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით უნდა იყოს გამოწვეული. გაუგებარია, რა ძალადობას ხმარობს ახალშობილი დედის მიმართ ანდა როგორ შეურაცხოფს მას? საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1976 წლის 23 დეკემბრის დადგენილებით „საქართველოს სსრ სსკ-ის 106-ე მუხლით ქმედობა დაკვალიფიცირდება იმ შემთხვევაში, როცა მკვლელობა უშუალო საპასუხო რეაქცია იყო დაზარალებულის არამართლზომიერ მოქმედებაზე“. მართალია, ბავშვთმკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში აფექტური მკვლელობაა, მაგრამ ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქმედობა არ შეიძლება საქართველოს სსრ სსკ-ის 106-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს ამ მუხლისათვის აუცილებელი მისატყვებელი აფექტური მდგომარეობის არარსებობის გამო.

როგორც სასამართლო პრაქტიკიდან ჩანს, უეცრად წარმოშობილი ძლიერი სულიერი აღელვების დროს განხორციელებული ბავშვთმკვლელობა არც თუ ისე ხშირია. უმეტესად ბავშვთმკვლელობა წინასწარ კარგად მოფიქრებული

განზრახვით ხდება. ბავშვთმკვლევლობა შეიძლება როგორც უეცრად წარმოშობილი, ისე წინასწარმოფიქრებული განზრახვით განხორციელდეს.

უეცრად წარმოშობილი განზრახვით განხორციელებული ბავშვთმკვლევლობა ხშირად აფექტური მკვლევლობაა. აფექტი ამ დროს, მართალია სისხლის-სამართლებრივად მისატყვევებელი არაა და ქმედობა, შესაბამისად, საქართველოს სსრ სსკ 106-ე მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება, მაგრამ ამ შემთხვევაში არსებობს სხვა „მისატყვევებელი“ გარემოება — სამშობიარო ფსიქოზი, ქალის განსაკუთრებული ფსიქოფიზიკური მდგომარეობა, რაც აფექტს იწოვს. ქალი უეცრად წარმოშობილი განზრახვის დროს შეიძლება აფექტში არც იყოს. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება ამ დროს ისევ მშობიარობისას ქალის განსაკუთრებული ფსიქოფიზიკური მდგომარეობაა.

ბავშვთმკვლევლობის დროს უმრავლეს შემთხვევაში ბავშვის მოკვლის განზრახვა ქალს მშობიარობამდე უჩნდება. ბავშვთმკვლევლობისას დედას, ჩვეულებრივ, უკვე მშობიარობამდე აქვს სურვილი, „არ დაბადოს ბავშვი, მაგრამ იგი ორსულობის შესაწყვეტად ღონისძიებას დროზე ვერ ღებულობს და მაშინ, ორსულობის შეწყვეტის ადრე წარმოშობილი გეგმის განხორციელებად ისეთი უკიდურესი ღონისძიება გვევლინება, როგორცაა ბავშვთმკვლევლობა“. შესაძლებელია თუ არა წინასწარ მოფიქრებული განზრახვით განხორციელებული ბავშვთმკვლევლობა შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილად ჩაითვალოს და ბავშვთმკვლევლობის მუხლით დაკვალიფიცირდეს? საკითხავია, არის ამ დროს ქალი აფექტში?

ს. ბორდინის აზრით, ბავშვთმკვლევლობის უმრავლესობა წინასწარი განზრახვით ხორციელდება, რის გამოც ქმედობას შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილად ვერ ჩავთვლით.

მეცნიერ-იურისტთა უმრავლესობის აზრით, ბავშვთმკვლევლობის წინასწარგანზრახულობა ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას არ ცვლის და დანაშაული ამ შემთხვევაშიც დაკვალიფიცირდება როგორც ბავშვთმკვლევლობა. აღნიშნულ მოსაზრებას გამოთქვამენ როგორც საბჭოთა, ასევე პოლონეთის, ბულგარეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის თეორიაში.

ბავშვის მოკვლის განზრახვის აღმოჩენა მშობიარობამდე ქმედობის კვალიფიკაციას არ ცვლის — მიუთითებენ საბჭოთა კრიმინალისტები ვ. სტაშინი და მ. ბაქანოვი, რადგან არსებობს შემამსუბუქებელი გარემოება — ქალის განსაკუთრებული ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობა მშობიარობისას ან უშუალოდ მშობიარობის შემდეგ, რაც ასუსტებს მის უნარს, უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას (შემცილებული შერაცხადობა). ამავე აზრს იზიარებს ლ. ტიმინაც.

ა. ეზერის აზრით, ბავშვთმკვლევლობის წინასწარგანზრახული ხასიათი ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას არ ცვლის იმიტომ, რომ ქალი მშობიარობისას ან უშუალოდ მშობიარობის შემდეგ აფექტშია. ა. ეზერის ამ მოსაზრებას გ. შარიპოვაც ეთანხმება. იგი მიუთითებს, რომ ბავშვთმკვლევლობა როგორც უეცრად წარმოშობილი, ისე წინასწარმოფიქრებული განზრახვით აფექტური მკვლევლობაა, რადგან აფექტი იმდენად ძლიერი ემოციაა, რომ ამ დროს ადრინდელი სურვილები და აზრები ხსოვნიდან ქრება. ამ ადრინდელ სურვილებს მხოლოდ აფექტის წარმოშობის გაიოლება შეუძლიათ და ზოგჯერ, როცა ისინი განწყობის ხასიათს ღებულობენ, შეიძლება აფექტის სახე და

ფორმა განსაზღვრონ, მაგრამ ცვალებადობაში ეს ზეგავლენას ვერ მოახდენს.

ჩვენის აზრით, გ. შარიბოვას აღნიშნული მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს. მართალია, ფიზიოლოგიური აფექტი ინტენსიური ხასიათის ემოციაა, მაგრამ როგორც თ. შავგულიძე აღნიშნავს, იგი თვითკონტროლის, გარემოში სწორად გარკვევის უნარს არ სპობს და სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას არ გამოორიციხავს. სწორედ ამიტომ ფიზიოლოგიური აფექტი ძველ სურვილებს და აზრებს ხსოვნიდან სრულად ვერ განდევნის. როდესაც ბავშვთმკვლევლობა წინასწარ მოფიქრებული განზრახვით ხდება, ქმედობა ნებელობითია და არა იმპულსურ-აფექტური, როგორც გ. შარიბოვა ამტკიცებს. წინასწარ მოფიქრებული განზრახვით განხორციელებულ ბავშვთმკვლევლობას წინ უცილობლად გადაწყვეტის აქტის, მოტივაციის წინაპერიოდი უძღვის. თუ ბავშვთმკვლევლობის მოტივები ამ შემთხვევაში ღირსების გადაარჩენის ან ეკონომიკური მოტივია, რასაც თვითონ გ. შარიბოვაც აღიარებს; ბავშვთმკვლევლობა ნებელობითი (და არა იმპულსური) ხასიათის იქნება, რადგან, როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, „მოტივის წარმოშობის პირველ მიზეზს მოთხოვნილება წარმოადგენს. მათ (მოთხოვნილებასა და მოტივს) შორის დგას მოტივაციის რთული ფსიქოლოგიური პროცესი. მოთხოვნილება არის სუბიექტის რაიმე საჭიროების განცდის მდგომარეობა, ხოლო მოტივი არის ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესატყვისი მოქმედების საფუძველი. სწორედ მოტივაცია, ანუ გადაწყვეტილების მიღების აქტი ახასიათებს მხოლოდ ნებელობით მოქმედებას და „თუ სადმე იჩენს ნებელობის სპეციფიკური თავისებურება თავს, უთუოდ აქ უნდა იჩენდეს“. გადაწყვეტილების აღსრულების პერიოდი აქტიობის სხვა სახეობათა შემთხვევებშიც გვხვდება, გადაწყვეტილების მომზადების და გადაწყვეტილების მიღების პერიოდი კი (მოტივაცია) მხოლოდ ნებელობის შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს.

ბავშვთმკვლევლობა ხშირად წინასწარ კარგად მოფიქრებული გეგმის მიხედვით ხორციელდება. დასახულია მიზანი, მომზადებულია იარაღები და საშუალებები, რომლის დახმარებითაც ეს დანაშაულებრივი მიზანი უნდა განხორციელდეს. საკითხავია, იფიქვებს თუ არა სულიერი აღელვების ზეგავლენით ქალი ბავშვის მოკვლის ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას, თუ ამ გეგმას იგი ზედმიწევნით ასრულებს? შეიძლება თუ არა იმპულსური ქცევა გეგმიანი იყოს?

თუ ბავშვთმკვლევლობის დროს ყურადღებას არ მივაქცევთ ნებელობითი ქმედობის ისეთ მნიშვნელოვან პერიოდებს, როგორიცაა გადაწყვეტილების მოსამზადებელი პერიოდი და გადაწყვეტილების პერიოდი, ერთმანეთისაგან გათიშავთ ნებელობის სტრუქტურულ ერთეულებს და ყურადღებას მხოლოდ აღსრულების აქტზე გავამახვილებთ, რომელსაც ინტენსიური ემოცია სდევს თან, ერთმანეთში ავურევთ ნებელობით და იმპულსურ ქმედობებს.

წინასწარ მოფიქრებული განზრახვით ბავშვთმკვლევლობის დროს ქმედობას შესაძლოა თან ძლიერი სულიერი აღელვება სდევდეს და უშუალოდ მკვლევლობის დროს მოტივაცია არც ხდებოდეს, მაგრამ ეს ზედმეტია, რადგან მოტივაციის ეტაპი აქ მოხსნილი სახითაა შემონახული. როდესაც ბავშვთმკვლევლობა წინასწარ მოფიქრებული განზრახვით ხდება, ქმედობა აფექტურად არ შეიძლება ჩაითვალოს. რადგან აფექტური ქმედობის პირის ავტომა-



ტიზმი, მოქმედების მოუწყვრებლობა, წინასწარი გეგმის, შორსმჭვრეტელობის არარსებობაა დამახასიათებელი. როგორც თ. შავგულიძე მიუთითებს, „აფექტური ქმედობა, რომელიც აქტუალური მოთხოვნების იმპულსს აკნაყოფილებს, მოტივაციით არ განისაზღვრება და ამიტომაც მოუფიქრებელი ქცევაა“.

ბავშვთმკვლელობის დროს ქალს განსაზღვრული მიზნები ამოძრავებს (ღირსების და პატივის შენარჩუნების, საკუთარი თავის მატერიალურად უკეთესად უზრუნველყოფის, თავისუფლად დარჩენის). აღნიშნული მიზნებიც მოტივაციის პროდუქტია და იმაზე მიგვანიშნებს, რომ ხშირად ბავშვთმკვლელობა ნებელობითი ქცევაა.

ჩვენი აზრით, ბავშვთმკვლელობისათვის პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში უნდა შემსუბუქდეს არა იმიტომ, რომ ქალი დანაშაულის დროს აფექტშია და ბავშვის მოკვლის გადაწყვეტილება დავიწყებული აქვს, არამედ იმიტომ, რომ თვითონ ეს ადრე მიღებული გადაწყვეტილება ორსული ქალის ავადმყოფური ფსიქიკის ნაყოფია და რომ ეს განზრახვა ორსული ქალის ან მშობიარის ფსიქიკურ მდგომარეობასთან მიზეზობრივ კავშირშია. ბავშვთმკვლელობა არაა ყველა შემთხვევაში აფექტური მკვლელობა და თუ იგი მხოლოდ აფექტური მკვლელობის ვიწრო წრით შემოიფარგლება, თვითონ ამ ქმედობის შესახებ ნორმის არსებობაც გამართლებული არ იქნება.

ბავშვთმკვლელობა მეტად თავისებური ხასიათის დანაშაულია. იგი შეიძლება იმპულსური, აფექტური ქმედობა იყოს, თუმცა აქ აფექტი სისხლის-სამართლებრივად საპატიო, გამართლებული არაა. აღნიშნული ქმედობა შეიძლება იყოს ნებელობითიც, წინასწარ მოფიქრებული განზრახვით, რომელიც, ჩვენის აზრით, მაინც შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილად უნდა ჩაითვალოს, სამშობიარო ფსიქოზით გამოწვეული ე. წ. შემცირებული შერაცხადობის გამო. არც ერთ ამ შემამსუბუქებელ გარემოებას საქართველოს სსრ სსკ არ ითვალისწინებს. ამიტომაც საქართველოს სსრ სსკ-ის სრულყოფისათვის უკეთესი იქნებოდა აღნიშნული ქმედობის ცალკე მუხლად გამოყოფა და მისი პრივილეგიურ მკვლელობად ჩათვლა მშობიარობის დროს ქალის განსაკუთრებული ფსიქოფიზიკური მდგომარეობის გამო, რამაც შესაძლოა, ქალს აფექტური ქმედობისაკენ უბიძგოს ან გააადვილოს ადრე მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება.

აღნიშნული ქმედობის დამოუკიდებელ მუხლად გამოყოფას საქართველოს სსრ სსკ-ში ვ. მაყაშვილი 60-იან წლებშივე მოითხოვდა, მოგვიანებით, საქართველოს სსრ სსკ სრულყოფისათვის თ. შავგულიძემ ბავშვთმკვლელობის ცალკე პრივილეგიურ დელიქტად გამოყოფა აუცილებლად ჩათვალა და ნორმა შემდგენაირად ჩამოაყალიბა:

„დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა მშობიარობისას ან უშუალოდ მშობიარობის შემდეგ —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე“.

ბავშვთმკვლელობის ამგვარი საკანონმდებლო განსაზღვრა ჩვენი აზრით, არაა ზუსტი. მშობიარის განსაკუთრებული ფსიქოფიზიკური მდგომარეობა, რომლის დროსაც იგი თავს სრულად ვერ ფლობს, ზოგჯერ შეიძლება რამდენიმე დღესაც კი გავრძელდეს, ამიტომაც ბავშვთმკვლელობად მხოლოდ უშუ-

აღოდ მშობიარობის შემდეგ ბავშვთა მკვლევლობის ჩათვლა არ იქნებოდა მიზანშეწონილი.

აღნიშნული ნორმა, ჩვენი აზრით, შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

„დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლევლობა მშობიარობისას ან მშობიარობის პროცესის ზეგავლენით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე“.

მშობიარობის პროცესის ზეგავლენით განხორციელებული ბავშვთმკვლევლობა მოიცავს როგორც უშუალოდ მშობიარობის შემდეგ ბავშვთმკვლევლობას, ისე მშობიარობიდან რამდენიმე საათის შემდეგ განხორციელებულ ბავშვთმკვლევლობას, თუ ქალს მშობიარობის პროცესის ზეგავლენით თავისი მოქმედების ხელმძღვანელობის უნარი შესუსტებული აქვს და თავს სრულად ვერ ფლობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Решетников Ф. М., Особенная часть уголовного права зарубежных государств, М., 1976.
2. Авдеева, Детоубийство, журн. «Социалистическая законность», 1937, № 8.
3. Меншагин В. Д., Преступления против личности по проекту УК УССР, журн. «Социалистическая законность», 1937, № 9.
4. Зшиев Б., Уголовное право, часть особенная. Вып. 1. Преступления против личности и имущества, 1923, Казань.
5. ვ. მაყაშვილი, „მისაღებია თუ არა დოცენტ ბ. ფურცხვანიძის წინადადებები“, „საბჭოთა სამართალი“, 1960, № 2.
6. Шавгулидзе Т. Г., Аффект и уголовная ответственность, Тб., 1973.
7. Тишина Л., Нужна единая ответственность, журн. «Социалистическая законность», 1979, № 2.
8. Немировский Э. Я., Советское уголовное право, общ. и особ. ч., Одесса, 1926.
9. Эденнштейн, К психологии детоубийства, в сб. «Убийство и убийцы», М., 1928.
10. Шарипова Г., Уголовная ответственность за детоубийство по УК Узб. ССР, автореф. канд. дисс., М., 1986.
11. Шаргородский Ш. Д., Ответственность за преступления против личности, Л., 1953.
12. Утевский Б., Уголовное право, особ. часть, М., 1950.
13. Пионтковский А. А., Курс советского уголовного права, часть особ., т. 1, М., 1955.
14. Загородников И. И., Преступления против жизни по советскому уголовному праву, М., 1961.
15. Бородин С. В., Квалификация убийства по действующему законодательству, М., 1966.
16. ბ. ფურცხვანიძე, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1960, № 1.
17. Молохов А. И., Очерки гинекологической психиатрии, Кишинев, 1967.
18. „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1976, № 4.
19. ვ. მაყაშვილი, მ. მაკავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, „დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ“, თბ., 1980 წ.
20. დ. კიკნაძე, „ადამიანის მოქმედების საკითხისათვის“, თბ., 1971 წ.
21. დ. უზნაძე, შრომები, ტ. 3-4, თბ., 1964 წ.
22. Сидоров Б. В., Аффект, его уголовно-правовое и криминологическое значение.
23. Шавгулидзе Т. Г., Некоторые вопросы совершенствования УК ГССР.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თეორიის საკითხების კონფერენციის მუშაობის შედეგად

რედაქციას ა. კვაშილავას ამ სტატიური ზოგი რამ საღაოდ მიაჩნია, მაგრამ ვაჰავეხვამთ და აზრის გამოთქმას ვთხოვთ სპეციალისტებსა და დაინტერესებულ მკითხველს. ველით თქვენს გამოხატულებას.

ჩაკომენდასიები ზოგიათი სისხლისსამართლებრივი ნორმის ჩამოყალიბების შესახებ

ალექსანდრე კვაშილავა,

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინოლოგიის კათედრის უფროსი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მილიციის პოლკოვნიკი

ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ეთმობა კანონის ყოველმხრივ დახვეწას, სამართლებრივი ნორმების ერთნაირად გაგებისა და გამოყენების უზრუნველყოფას, მაგრამ ამ საკითხის მთლიანად მოსაგვარებლად ჯერ კიდევ გარკვეული სამუშაოს ჩატარებაა საჭირო. ზოგ შემთხვევაში კანონის ენა დახვეწას, დაზუსტებასა და სრულყოფას მოითხოვს. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 169² მუხლის დასახელება ასეთია: „მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებისათვის მოქალაქეებისაგან უკანონო გასამრჯელოს მიღება“, ხოლო მისი პირველი ნაწილის დისპოზიცია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის იმ მუშაის მიერ, რომელიც არ არის თანამდებობის პირი, მოქალაქისაგან გამოძალვის გზით უკანონო გასამრჯელოს მიღება სამუშაოს შესრულებისათვის ან ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სამედიცინო, სატრანსპორტო ან მოსახლეობის მომსახურების სხვა სფეროში გაწეული მომსახურებისათვის, რომელიც ასეთი მუშაის სამსახურებრივ მოვალეობას განეკუთვნება“.

ამ მუხლში, ჩვენი აზრით, ჭარბად არის გამოყენებული ზოგიერთი სიტყვა, რომელთაგან განტვირთვა მუხლს ლაკონურ ფორმას მისცემს და უფრო გასაგებს გახდის, რაც აუცილებელია კანონისათვის. თუ არ მივაქცევთ ყურადღებას ლოგიკურ მხარეს და შინაარსობრივად მას დაგტოვებთ ისე როგორც არის, ამ მუხლის სახელწოდებად, რაც სხვა არაფერია თუ არა დანაშაულის დასახელება, საკმარისია სამი სიტყვა: „უკანონო გასამრჯელოს მიღება“, ან „გასამრჯელოს უკანონოდ მიღება“. ამ შემთხვევაში სიტყვებისათვის ადგილის შეცვლა არ ცვლის წინადადების შინაარსს და შეიძლება, როგორც პირველი ასევე მეორე ვარიანტის გამოყენება. დანარჩენი სიტყვები, რომლებიც გამოყენებულია მუხლის სახელწოდებაში, ჩვენი აზრით, ზედმეტია.

გარდა ამისა, რაც მთავარია, აღნიშნული მუხლის დისპოზიციიდან აშკარად ჩანს, რომ იგი სჯის ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სამედიცინო, სატრანსპორტო და მოსახლეობის მომსახურების სხვა დარგის მუ-

შაკს, რომელიც თანამდებობის პირი არ არის და გაწეული მომსახურებისათვის უკანონო გასამრჩელოს გამოძალავს კლიენტს, პაციენტს და ა. შ. უფრო გარკვეულად რომ ვთქვათ, საქართველოს სსკ 169² მუხლი სასჯელს აწესებს უკანონო გასამრჩელოს არა მიღებისათვის, არამედ მისი გამოძალვისათვის. ამიტომ ზემოთ აღნიშნული პირების მიმართ გათვალისწინებული სასჯელის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დადასტურებულია, რომ მათ ჩაიდინეს არა უკანონო გასამრჩელოს მიღება, არამედ მისი გამოძალვა. ამიტომ დისპოზიციაში სიტყვათა წყობა: „გამოძალვის გზით უკანონო გასამრჩელოს მიღება“, კანონის ჩამოყალიბების წესებიდან გამომდინარე, უნდა შეიცვალოს სიტყვებით: „უკანონო გასამრჩელოს გამოძალვა“, მაგრამ სიტყვა გამოძალვა შეიცავს უკანონობის შინაარსსაც, ვინაიდან ეს ცნება (სიტყვა) გამოყენებულია სისხლისსამართლებრივ ნორმაში, როგორც დასჯადი მოქმედება, იგი არ შეიძლება იყოს კანონიერი. მაშასადამე, აღნიშნულ სამართლებრივ ნორმაში თავისთავად იგულისხმება უკანონო გამოძალვა. აქედან გამომდინარე, სიტყვა „უკანონო“ აღნიშნულ მუხლში ზედმეტია. მართალია, სიტყვა „გამოძალვის“ ცნება, მისი შინაარსი აღნიშნული მუხლის მიზნიდან გამომდინარე, კანონში განმარტებული არ არის, მაგრამ მიღება და გამოძალვა რომ სხვადასხვაა ეს სადაო არ არის. არც ის არის სადაო, რომ აღნიშნულ მუხლში სიტყვა „მიღება“, არაფრის მთქმელი არ არის. ამიტომ მისი ამოღება დისპოზიიდან სრულიად გამართლებულია. ამავე დროს საჭიროა გაირკვეს თუ რას გულისხმობს კანონმდებელი სიტყვებში: „გამოძალვის გზით მიღება“, რათა ეს სიტყვები შეიცვალოს ტოლფასოვანი სიტყვით. რაც შეეხება ქონების გამოძალვის ცნებას, მოცემულს საქ. სსრ სსკ 97, 154 მუხლებში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების შესაბამის მუხლებში, გარკვეულია, რომ საქ. სსკ 169² მუხლის დისპოზიციის შინაარსს ის არ შეესაბამება და არც უნდა შეესაბამებოდეს, რადგანაც იგი სხვა მიზანს ემსახურება.

რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1982 წლის 5 ოქტომბრის № 4 დადგენილება, მასში, ამავე პლენუმის 1983 წლის 20 დეკემბრის № 10 დადგენილებით შეტანილი ცვლილებებით რსფსრ-ის სსკ 156² მუხლის (საქართველოს სსრ 169² მუხლი) მიხედვით უკანონო გასამრჩელოს გამოძალვად თვლის მომსახურების სფეროს მუშაკის მიერ შრომის ზედმეტი ანაზღაურების მისაღებად განზრახ ისეთი მოქმედების ჩადენას, რომელიც ეწინააღმდეგება ამ სფეროში დადგენილი წესით ან დადგენილ ვადებში სამუშაოს შესრულებას ან მომსახურების გაწევას, დაუსაბუთებლად უარის თქმას თავის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე (საჭირო საქონლის, პროდუქტების, წამლების, წიგნების დეფიციტურობის მომიზეზება და ა. შ.); სამუშაოს შესრულებაზე ან მომსახურებაზე უარის თქმას სათადარიგო ნაწილებისა და მასალების, დროის უქონლობის, შრომატევადობის ან დამატებითი დანახარჯების გარეშე სამუშაოს შესრულების შეუძლებლობის მოტივით და ა. შ. (ტექსტი თარგმნილია რუსულიდან შინაარსის დაცვით).

როგორც ზემოთ აღნიშნული მუხლებიდან ჩანს, ობიექტური მხარეები ქონებისა და გასამრჩელოს გამოძალვისა სხვადასხვაა. რა თქმა უნდა, გასამრჩელოც ქონებაა და გასამრჩელოსა და ქონებას შორის სხვაობის ძებნას ამ შემთხვევაში აზრი არ აქვს, მაგრამ ქონების გამოძალვა, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ 97 და 154 მუხლებით და გასამრჩელოს გამოძალვა, გათვალისწინებული საქართველოს სსკ 169² მუხლით, სხვადასხვა და-



ნაშაულებებია. 97-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტის ნორმალისტური საკუთრება, 154-ით გათვალისწინებულის — მოქალაქეთა პირადი საკუთრება, ხოლო 169² მუხლით გათვალისწინებულისა კი — სახალხო მეურნეობის განვითარება და მოქალაქეთა ინტერესები.

საქართველოს სსკ 97, 154 და 169² მუხლების დისპოზიციებიდან აშკარად ჩანს, რომ ამ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ობიექტები და ობიექტური მხარეები არსებითად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს ზემოთ აღნიშნული დადგენილებით მოცემული გამოძალვის ცნების განმარტება საკმაოდ გარკვეულია და იგივე უნდა ვიგულისხმოთ ჩვენს კოდექსშიც, გასამრჯელოს გამოძალვის ქვეშ.

გამოძალვის გზით გასამრჯელოს მიღებაზე მითითებულია არა მარტო საქართველოს სსკ 169² მუხლში, რსფსრ სსკ 156² მუხლში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ შესაბამის მუხლებში, არამედ რსფსრ-ის ახალი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტშიც (იხ. თავი 12. მუხ. II), მაგრამ, ჩვენი აზრით, დისპოზიციის ეს ნაწილი უნდა შეიცვალოს როგორც მოქმედ კოდექსებში, ასევე პროექტში.

მუხლის დასახელება, როგორც მოქმედ კოდექსებში, ასევე პროექტში უნდა შეიცვალოს იმიტომ, რომ როგორც მოკავშირე რესპუბლიკების მოქმედი კოდექსები, ასევე ზემოთ მითითებული პროექტი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებენ არა უკანონო გასამრჯელოს მიღებაზე, არამედ მის გამოძალვაზე და აქედან გამომდინარე, მუხლის დასახელება არ შეესაბამება მის შინაარსს.

მუხლის შინაარსს შეესაბამება დასახელება: „გასამრჯელოს გამოძალვა“ ან „ზედმეტი გასამრჯელოს გამოძალვა“. მუხლის დასახელების ამნაირად შეცვლა მოითხოვს მისი დისპოზიციიდან ზედმეტი სიტყვების: „გამოძალვის გზით მიღება“ ამოღებას. კანონი პირდაპირ და უშუალოდ უნდა მიუთითებდეს კანონმდებლის ნებაზე და საერთოდ, ცნობილია, რომ იგი თავისუფალი უნდა იყოს ზედმეტსიტყვაობისაგან.

როგორც მოქმედი კოდექსები, ასევე პროექტი სასჯელს აწესებენ მოქალაქისაგან გასამრჯელოს გამოძალვისათვის. გასაგებია, თუ ადგილი ექნება ქონების გამოძალვას ორგანიზაციისაგან, ეს სხვა დანაშაული იქნება, რაც ისედაც ცნობილია და ამიტომ ამის შესახებ კანონში არაფერი არ არის ნათქვამი და არც არის საჭირო, მაგრამ მოქალაქისაგან გამოძალვის ხაზგასმით მაინც არ უნდა შეიზღუდოს ამ სამართლებრივი ნორმის მოქმედების სფერო. ჯერ ერთი, არ არის გარკვეული რომელ მოქალაქეზეა ლაპარაკი. თუ მხოლოდ საბჭოთა კავშირის მოქალაქეზეა, მაშინ უცხოელებისაგან გასამრჯელოს გამოძალვის შემთხვევაში კანონი არ მოქმედებს, თუ საერთოდ ნებისმიერ მოქალაქეზეა ლაპარაკი, მაშინ მოქალაქეობის არმქონე პირებისაგან გამოძალვა ამ კანონის დაცვის ობიექტს არ წარმოადგენს, მაშინ, როდესაც აღნიშნული ნორმა ჩვენს ქვეყანაში მის მიერ დასაცავი ურთიერთობის ფარგლებში ერთნაირად უნდა იცავდეს ყველას ინტერესებს.

ზემოთ განხილული და მათთან დაკავშირებული სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სისხლის სამართლის ახალ კოდექსში, თუ კი შენარჩუნებული იქნება ზემოთ განხილული სამართლებრივი ნორმა, იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი (ნომერი, რომელიც მოუწევს რიგის მიხედვით).

„გასამრჩელოს გამოძალვა“

„საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის იმ მუშაკის მიერ, რომელიც არ არის თანამდებობის პირი, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სამედიცინო, სატრანსპორტო და სხვა სფეროში თავისი მოვალეობის ფარგლებში გაწეული მომსახურებისათვის ან სამუშაოს შესრულებისათვის გასამრჩელოს გამოძალვა“ —

ისჯება ჯარიმით ხუთას მანეთამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე“.

რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნული სასჯელი (იხ. XII თავის XI მუხლი).

მაგრამ, მიგვაჩნია, რომ რსფსრ კოდექსის პროექტისაგან განსხვავებით, საქართველოს კოდექსში აღნიშნული მუხლი სჯობია შედგებოდეს ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილის დისპოზიზა უნდა იყოს, როგორც ზემოთ არის ჩამოყალიბებული, ხოლო მეორე უნდა ითვალისწინებდეს სასჯელს აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში ნაჩვენები ქმედობის ჩადენისათვის განსაკუთრებით უხეშ ფორმაში, განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ. თუ ეს რეკომენდაცია მიღებული იქნება სასჯელი პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედობისათვის შეიძლება შემსუბუქდეს, ხოლო მეორე ნაწილით — უნდა დამძიმდეს.

მიგვაჩნია, აგრეთვე რომ საქართველოს სსკ 161¹ მუხლის კონსტრუქცია მოითხოვს დახვეწასა და მისი მიზნის შესაბამისობაში მოყვანას. მუხლის დასახელებიდან (უხარისხო მშენებლობა) გამომდინარე, ეს ნორმა უნდა ითვალისწინებდეს იმის დასჯას, ვინც უხარისხო ნაგებობა ააშენა. სინამდვილეში კი ეს ნორმა ზოგ შემთხვევაში უხარისხოდ მშენებელს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს. აღნიშნულის დასადასტურებლად საკირთა დეტალურად განვიხილოთ ამ ნორმის შინაარსი. იგი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, სამუშაოთა მწარმოებლების, ტექნიკური და საავტორო ზედამხედველობის განმხორციელებელ თანამდებობის პირთა მიერ უხარისხოდ ან ხელშეკრულებისა და პროექტის პირობების შეუსაბამოდ აშენებული საცხოვრებელი სახლების, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო, ენერგეტიკული და სხვა ნაგებობების საექსპლუატაციოდ ჩაბარება“. მუხლში ჩამოთვლილი თანამდებობის პირებიდან უშუალოდ მშენებლობას ხელმძღვანელობს მხოლოდ სამუშაოთა მწარმოებელი. სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას, ტექნიკური და საავტორო ზედამხედველობის განმხორციელებელი პირები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ ზედამხედველობას, მაგრამ ისინი უშუალოდ მშენებლები არ არიან, მშენებლობას არ აწარმოებენ და არც განსახილველი მუხლის კონსტრუქციიდან და არც პასუხისმგებლობის საერთო პრინციპებიდან გამომდინარე, უხარისხო მშენებლობის სუბიექტებად არ შეიძლება ჩაითვალოს. გარდა ამისა,

¹ მხედველობაშია ზედმეტი გასამრჩელოს მიღება კლიენტის იძულების შედეგად. მაგალითად, ავტოპროფილაქტიკის ხელოსანმა მანქანის შეკეთებისათვის, რომელიც ღირდა 100 მანეთი, მოითხოვა 150 მანეთი. კლიენტმა გაითვალისწინა რა სიტუაცია (მანქანის უფრო მძიმედ დაზიანება, მოძრაობის საშიშროება და სხვა), ამჯობინა 150 მანეთის გადახდა და მისცა იგი ხელოსანს. ასეთ შემთხვევაში სახეზეა ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. მაგრამ ტაქსის მრიცხველმა თუ დაწერა 5 მანეთი, ხოლო მგზავრმა თავისი სურვილით ტაქსისტს მისცა 10 მანეთი, დანაშაული სახეზე არ არის, ვინაიდან გამოძალვას არ ჰქონია ადგილი.

რაც მთავარია, მუხლის დისპოზიციაში უშუალოდ მითითებულია პასუხისმგებლობაზე არა უხარისხო მშენებლობისათვის, არამედ უხარისხოდ აშენებული ნაგებობის საექსპლუატაციოდ ჩაბარებისათვის. არც სამუშაოს მწარმოებელი, რომელიც მშენებლობის ხარისხზე უშუალოდ პასუხისმგებელი უნდა იყოს, საქართველოს სსკ 161¹ მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, უხარისხო მშენებლობისათვის პასუხს არ აგებს, თუ ის უხარისხოდ აშენებულ ნაგებობას ექსპლუატაციაში არ ჩააბარებს.

ვინაიდან, კანონმდებლის მიერ უხარისხო მშენებლობა ცალკე დანაშაულად არის გამოყოფილი და ამ დანაშაულისათვის დაწესებულია სასჯელი რთვი კატეგორიის თანამდებობის პირთა მიმართ და მხოლოდ უხარისხო ნაგებობის ექსპლუატაციაში ჩაბარებისათვის, თვით უხარისხო ნაგებობის აშენებელი ამ დანაშაულისათვის, ამ კანონიდან გამომდინარე პასუხს არ აგებს. არც დაუდევრობისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის არ შეიძლება პასუხისმგებლობა მიეცეს უხარისხო ნაგებობის მშენებელი, რადგანაც საქართველოს სსკ 161¹ მუხლის არსებობა ამის საფუძველს არ იძლევა. აღნიშნული მუხლის არარსებობის შემთხვევაში უხარისხო მშენებლობა, თუ ის გამოიწვევდა არსებით ზიანს, მშენებლის მიმართ თუ ის თანამდებობის პირი ექნებოდა შეიძლებოდა დაკვალიფიცირებულიყო, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოს სსკ 188-ე ან 186-ე მუხლის შესაბამისი ნაწილებით.

საქართველოს სსკ 161¹ მუხლი ითვალისწინებს ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას და უფრო მსუბუქ სასჯელს, ე. ი. თითქმის იმას, რასაც საქართველოს სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილი, სჯის მხოლოდ ნაგებობის ჩამბარებელ თანამდებობის პირებს და არა თვით უხარისხოდ მშენებელს, ამიტომ იგი ვერ უზრუნველყოფს უხარისხო მშენებლობასთან სისხლისსამართლებრივი ბრძოლის ამოცანების შესრულებას. ჩვენი აზრით, უხარისხო მშენებლობასთან სისხლისსამართლებრივ ბრძოლას უფრო გააფრთხილებს საქართველოს სსკ 161¹ მუხლის გაუქმება, რაც უხარისხოდ მშენებელი თანამდებობის პირის მიმართ საქართველოს სსკ 188-ე და 186-ე მუხლების გამოყენების საშუალებას მოგვცემს.

ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 147¹ მუხლიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას უხარისხო მშენებლობისათვის. აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

„მუხლი 147¹. არაკეთილხარისხოვანი მშენებლობა.

ისეთი შენობა-ნაგებობათა აშენება, რომლებიც არ აკმაყოფილებენ პროექტით განპირობებულ მოთხოვნებს სიმაგრის, გამძლეობის ან საექსპლუატაციო ხარისხის მხრივ, ასევე მათი ექსპლუატაციაში ჩაბარება იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც კეთილხარისხოვან მშენებლობაზე პასუხისმგებლობა დაკისრება ან კეთილხარისხოვან მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელებაში თავიანთი მოვალეობის დარღვევა, თუ ამ მუხლში გათვალისწინებულმა ქმედებებმა გამოიწვიეს მძიმე შედეგი ან შექმნეს საშიშროება ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის“.

ეს მუხლი უკეთესად იცავს მშენებლობას უხარისხობისაგან, ვინაიდან სჯის არა მარტო უხარისხო ნაგებობის ჩამბარებელს, არამედ მის მშენებელსაც. მაგრამ ჩაბარება მიღების გარეშე არ ხდება. ამიტომ თუ საჭიროდ მივიჩნევთ ასეთ მუხლს, მაშინ უნდა ისჯებოდეს არა მარტო ჩამბარებელი, არამედ მშენ-

ნებელიც, სსხელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, კოოპერატიული სახლების მიმღებებიც და ამისათვის მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „უხარისხო მშენებლობა, აგრეთვე უხარისხოდ აშენებულ შენობა-ნაგებობათა შიღბ-ჩაბარება, თუ ამან არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ცალკეულ პირთა ინტერესებს ან მას შეიძლება მოჰყოლოდა განსაკუთრებით მძიმე შედეგი“.

თუ მშენებლობის, ხარისხის სისხლისამართლებრივი ნორმით დაცვაზეა ლაპარაკი, ეს ნორმა უნდა ვრცელდებოდეს უშუალოდ იმ პირებზე, რომლებიც სამშენებლო სამუშაოს უხარისხოდ ასრულებენ, უკეთეს სამშენებლო მასალას უარესზე ცვლიან, სამშენებლო მასალის სრულყოფილად დამუშავებაზე არ ზრუნავენ, შუალედ ოპერაციებს არ ატარებენ, სამშენებლო სამუშაოების შესრულების ყველა ნორმებს არ იცავენ და ა. შ.

უხარისხო მშენებლობის სუბიექტი შეიძლება იყოს ყველა მშენებელი, რომელიც ამ სამუშაოს ასრულებს, მათ შორის მუშაც. საკითხავია, რატომ არ უნდა აგოს მუშამ პასუხი თუ ის საბათქაშე ხსნარში ნაკლებ ცემენტს ურევს, აგურის წყობისას სისწორეს არ იცავს, კარ-ფანჯრებს, მის ჩარჩოებს უხარისხოდ ამზადებს, სამუშაოს ხარისხიანად შესრულების ღირებულებას ღებულობს ხელფასის სახით, ხოლო მის მიერ შესრულებული სამუშაო უხარისხოა? ბრიგადირი, ოსტატი, სამუშაოს მწარმოებელი ყოველთვის თავზე ვერ დაადგება ყველა მუშას და მის ნამოქმედარზე პასუხს ვერ აგებს. პასუხი უნდა აგოს მუშამაც სწორედ უხარისხო მშენებლობისათვის. რაც შეეხება უხარისხო ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებას, მიმღებმა პასუხი უნდა აგოს არა ფარული დეფექტების მქონე ნაგებობის მიღებისათვის. ამავე დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული მის მიერ მოვალეობის შესრულების შესაძლებლობები, ჩამბარებელსაც არ მოეთხოვება პასუხი ფარული დეფექტისათვის თუ კი ეს დეფექტი შენობის იმ ნაწილში არ არის, რომელიც ამ ჩამბარებლის მიერ არის აშენებული.

საერთოდ, პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებული გარემოებების შემოწმების შედეგად დამნაშავე რომ პასუხისგების გარეშე არ დარჩეს და უღანაშაულო პირი პასუხისგებაში არ მიეცეს, ამისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი ნორმის სწორად ჩამოყალიბებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ზემოთ ითქვა, თუ უხარისხო მშენებლობაზე ცალკე მუხლი დარჩება ახალ სისხლის სამართლის კოდექსში, ჩვენი აზრით, სჯობია იგი ჩამოყალიბდეს ზემოთ შემოთავაზებული რედაქციით.

წოდების მიწოდება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდებები მიენიჭათ ადვოკატ ვახტანგ იახონის ძე კერესელიძეს და საქ. სსრ შსს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროს მეცნიერ თანამშრომელს გიორგი ვლადიმერის ძე ცუცქერიძეს.

სისხლის სამართლის პანუსისგებულების გამოკვლევის გარემოებები

ოთარ გამყრელიძე

ქართულ იურიდიულ ლიტერატურას კიდევ ერთი საყურადღებო მონოგრაფია შეემატა. შარშან გამომცემლობა „მეცნიერებამ“ დასტამბა თ. შავგულიძისა და ლ. სურგულაძის ნაშრომი „საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“. წიგნი ოთხი თავისაგან შედგება: 1) საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა ცნება; 2) აუცილებელი მოგერიება; 3) მოქალაქის მიერ დამნაშავეის შეპყრობა და 4) უკიდურესი აუცილებლობა. პირველი სამი თავის ავტორია თ. შავგულიძე, ხოლო წიგნის მეოთხე თავი ლ. სურგულაძეს ეკუთვნის.

ვერ ვიტყვით, თითქოს ეს პრობლემა აქამდე ქართველ იურისტთა მიერ არ მუშავდებოდა. ჯერ კიდევ 1966 წ. თბილისში დაიბეჭდა თ. შავგულიძის მონოგრაფია „აუცილებელი მოგერიება“. გამოქვეყნებულია აგრეთვე ს. ჯორბენაძისა და თ. ნინიძის ნაშრომები, რომლებშიც გაშუქებულია უკიდურესი აუცილებლობის პრობლემა სამოქალაქო სამართალში. მაგრამ ეს ნაშრომები რუსულად იყო დასტამბული. ასე, რომ სარეცენზიო ნაშრომი ქართულ ენაზე გამოქვეყნებული პირველი მონოგრაფიული გამოკვლევაა, რომელიც ამ პრობლემას ეძღვნება. ეს ფაქტი თავისთავად ბევრს მეტყველებს ჩვენთვის, ვინაიდან ქართული იურიდიული ლიტერატურა ისტორიულად ისე ღარიბია, რომ არათუ სქელტანიანი მონოგრაფიის, ყოველი საყურადღებო წერილის ქართულად გამოქვეყნებასაც კი უნდა მივესალმოთ და კმაყოფილებით შევხედეთ. ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ამით ჩვენ წიგნის ავტორებს რაიმე შეღავათს ვაძლევდეთ. ასეთი შეღავათი მათ არ სჭირდებათ. ჩვენს წინ დევს სოლიდური მეცნიერული გამოკვლევა, რომელსაც დიდი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს საგამოძიებო და მართლმსაჯულების ორგანოთა მუშაებს, ყველას, ვინც ამ პრობლემის შესწავლით არის დაინტერესებული.

პირველი თავი, როგორც უკვე ვთქვით, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა ცნებას ეხება. ეს თავი ორი პარაგრაფისაგან შედგება. პირველი პარაგრაფია „საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც დამნაშაულის მატერიალური ნიშანი“, ხოლო მეორე პარაგრაფით განსაზღვრულია საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა ცნების მოცულობა.

სავსებით ლოგიკურია ის, რომ წიგნი სწორედ ამ პრობლემის გამოკვლევით იწყება. რასან საქმე ეხება იმ გარემოებებს, რომლებიც ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას გამორიცხავენ, ცხადია, პირველად მართლაც ის უნდა გავარკვიოთ, თუ რას წარმოადგენს, რას გულისხმობს საზოგადოებრივი საშიშროება. თავდაპირველად ავტორი (თ. შავგულიძე) იკვლევს საზოგადოებრივი საშიშროების ცნების მოცულობას და ამ ცნების დამოკიდებულებას

მართლწინააღმდეგობის ცნებასთან. იგი ეთანხმება იმ შეხედულებას, რომ საზოგადოებრივი საშიშროება უფრო ფართოა, ვიდრე მართლწინააღმდეგობა და რომ ეს ცნებები თავიანთი მოცულობით ერთმანეთს არ ემთხვევა. როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისის მიმდევრები სამართლის ცნების უფრო ტრადიციული, პოზიტივისტური გაგებიდან გამომდინარე ამიტომ, მათი მიხედვით „დაწერილი“ სამართალი უფრო ვიწრო მოცულობისაა, ხოლო საზოგადოებრივი საშიშროება იმ შემთხვევებსაც მოიცავს, რომლებიც ამ ეგრეთ წოდებული „წერილობითი“ სამართლის სფეროში არ შემოდის. მაგალითად, საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულად იყო გამოცხადებული და ისჯებოდა სისხლის აღრევა. მოქმედი კანონმდებლობა ამ ქმედობას აღარ სჯის. სისხლის აღრევა ამჟამად არცერთი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული აღარ არის. მიუხედავად ამისა, ამ ქმედობას საზოგადოებრივი საშიშროების თვისება მაინც არ დაუკარგავს. აქედან კეთდება დასკვნა, რომ საზოგადოებრივი საშიშროების მოცულობა უფრო ფართოა, ვიდრე მართლწინააღმდეგობისა, რადგანაც მართლწინააღმდეგობა ქმედობის ის თვისებაა, რომელსაც მას სახელმწიფო ანიჭებს (დაწერილი სამართალი). ამის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამართალი მხოლოდ ის არის, რაც სახელმწიფოს დაუდგენია („სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ნორმების ერთობლიობა“), სხვა ყველაფერი სამართლის გარეთ დგას. ასე, რომ საზოგადოებრივი საშიშროებაც ამ „სხვა ყველაფრის“ სფეროში მოექცა.

ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის თანამედროვე პრობლემატიკაში განსაკუთრებით მწვავედ დგას ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანაფარდობის საკითხი. უფრო ზუსტად, დღემდე პრობლემატურია ის საკითხი, თუ რა როლი ეკუთვნის სუბიექტურ მომენტს სისხლისსამართლებრივი უმართლობის სტრუქტურაში. სადავოდ ითვლება ეს საკითხი აგრეთვე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც. თ. შავგულიძეც საგანგებოდ იხილავს მის მნიშვნელობას საზოგადოებრივი საშიშროების ცნების აგებისათვის. მით უმეტეს, რომ ავტორს აღრეც არაერთხელ გამოუთქვამს თავისი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი.

თ. შავგულიძე ეკამათება პროფ. თ. წერეთელს, რომელიც საზოგადოებრივ საშიშროებას და ბრალს სრულიად დამოუკიდებელ ცნებებად თვლიდა. თ. წერეთლის აზრით, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება ობიექტური კატეგორიაა და არსებობს იმისდა მიუხედავად, ბრალეულად არის ჩადენილი ადამიანის მიერ ეს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა თუ არა.

თ. შავგულიძის აზრით, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება ძირითადად, რასაკვირველია ობიექტური კატეგორიაა, მას ობიექტური მომენტები აფუძნებენ, მაგრამ სუბიექტურ მომენტებსაც აქვთ მნიშვნელობა ამ ცნების აგებისათვის. მართალია, ბრალი, ესე იგი სუბიექტური მომენტი, არ აფუძნებს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას, მაგრამ მას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე. საილუსტრაციოდ ავტორი ასახელებს მკვლელობის უმართლობას, რომელიც ჩადენილია განზრახ, გაუფრთხილებლობით და ბრალის გარეშე (შემთხვევა). „რასაკვირველია, სამსავე ვითარებაში — განზრახვის, გაუფრთხილებლობის და შემთხვევის დროს, — წერს იგი — მოქმედება საზოგადოებრივად საშიშია, რაკი მან ადამიანის სიკვდილი გამოიწვია და საზოგადოებას ზიანი მიაყენა. მოქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას არ აქარწყლებს ის გარემოებაც, რომ შემთხვევის დროს

ბრალი არა გვაქვს. ობიექტურად სამსავე ვითარებაში საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი სხვადასხვაა“ (გვ. 14).

თ. შავგულიძის მტკიცებით, მკვლელობის სამივე აქ დასახელებულ შემთხვევაში, მართალია, სამართლით დაცული უშუალო ობიექტი — ადამიანის სიცოცხლე — ერთნაირ ზიანს განიცდის, იგი ყველა შემთხვევაში ერთნაირად ისპობა, მაგრამ ამ უშუალო ობიექტის მოსპობით საზოგადოებრივად საშიში მოქმედება „ხელყოფს აგრეთვე სხვა ზოგად ობიექტს — გარკვეულ სოციალისტურ ურთიერთობებს, რომელიც ამ სამსავე ვითარებაში სხვადასხვაგვარად ზიანდება“ (იქვე). პირველ შემთხვევაში, ესე იგი, განზრახი მკვლელობის დროს, მისი თქმით, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი მეტია დანარჩენ ორთან (გაუფრთხილებლობით და შემთხვევით მკვლელობასთან) შედარებით. განზრახი მკვლელობა „იწვევს გაცილებით მეტ რეაქციას და შეშფოთებას საზოგადოებაში, უფრო უარყოფით ზეგავლენას ახდენს მის მერყევ ელემენტებზე, განაპირობებს უფრო მკაცრი რეპრესიის საჭიროებას და ა. შ.“ (გვ. 14).

რამდენად სწორი და დასაბუთებულია ეს შეხედულება? ის თვალსაზრისი, რომელიც ბრალს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების სტრუქტურულ ელემენტად მიიჩნევს, არსებითად მოითხოვს ორი სრულიად შეუთავსებელი ცნების შეთავსებას. საქმე ის არის, რომ საზოგადოებრივი საშიშროება (მართლწინააღმდეგობა) ადამიანის ქცევის ობიექტური საზომია, ობიექტური, გარეგანი მასშტაბია. მოთხოვნა „არა კაც კლა“ ერთნაირად ეხება ყოველ ადამიანს, იქნება იგი დედაკაცი თუ მამაკაცი, მცირეწლოვანი თუ სრულწლოვანი, გონიერი თუ ჭკუასუსტი და ა. შ. მაგრამ ამ ობიექტური მასშტაბის, ობიექტური საზომის, ესე იგი აკრძალვის დარღვევისათვის პასუხი არ შეიძლება ყველამ ერთნაირად აგოს. ეს იქნებოდა უსამართლობა. ამიტომ პასუხისმგებლობისათვის ობიექტურ საზომთან (საზოგადოებრივი საშიშროება) ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სუბიექტურ, ესე იგი, პერსონალურ საზომსაც. ტერმინები „სუბიექტური“ და „პერსონალური“ ამ შემთხვევაში სინონიმებია, რომლებიც გამოხატავენ ცალკეული ადამიანის პერსონალურ შესაძლებლობებს ზემოთ დასახელებული ობიექტური, ესე იგი ყველასათვის საერთო, არაპერსონალური საზომის (აკრძალვის) დარღვევის დროს. სწორედ ეს პერსონალური შესაძლებლობა არის ბრალი, რომელიც ედება საფუძვლად პასუხისმგებლობას. ბრალი პასუხისმგებლობის პერსონალური საზომია. სწორედ ამიტომ არის, რომ ერთი და იმავე ობიექტური საზომის დარღვევაში ზოგს მეტი ბრალი მიუძღვის, ზოგს კი ნაკლები. ეს დამოკიდებულია პიროვნების პერსონალურ შესაძლებლობებზე. ამიტომ ბრალს ობიექტური უმართლობის (საზოგადოებრივად საშიში ქმედობის) არც დაფუძნებასთან და არც მისი ხარისხის განსაზღვრასთან არავითარი კავშირი არა აქვს. უმართლობისა და ბრალის ასეთი გამიჯვნა გერმანულმა მეცნიერებამ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში შეძლო (რ. იერინგი, 1867). საგულისხმოა, რომ თანამედროვე მეცნიერების ეს უდიდესი მიღწევა უკვე ათვისა ქართულმა იურიდიულმა აზროვნებამ (თ. წერეთელი). მაშასადამე, ბრალი ინდივიდის პასუხისმგებლობის საზომია და არა ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმი.

თავისი თვალსაზრისის დასაბუთებისათვის თ. შავგულიძე იშველიებს მაგალითს ჩვენი საკანონმდებლო პრაქტიკიდან. იგი აღნიშნავს, რომ სახელ-

მწიფო ან საზოგადო მოღვაწის, ანდა ხელისუფლების წარმომადგენლის სხეულის მძიმე დაზიანება საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების ან ძირის გამოთხრის მიზნით ითვლება განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულად და დაკვალიფიკირდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლით, მაშინ, როდესაც იგივე დაზიანება დასახელებული მიზნის გარეშე განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულად არ ითვლება. „ეს ნათლად გვიჩვენებს — წერს თ. შავგულიძე — თუ როგორ მოქმედებს დანაშაულის სუბიექტური მხარე საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე“ (გვ. 14).

ეს მაგალითი, ვფიქრობ, აშკარად შეუფერებელია და ოდნავადაც ვერ ასაბუთებს წამოყენებულ დებულებას. როცა სხეულის დაზიანებას თან ახლავს სახელმწიფოს შესუსტების ან ძირის გამოთხრის მიზანი, მაშინ უკვე სხეულის დაზიანებასთან კი აღარ გვაქვს საქმე, არამედ სახელმწიფო დანაშაულთან. აქ სხეულის დაზიანება მხოლოდ საშუალებაა სხვა უფრო მნიშვნელოვანი ობიექტის — სახელმწიფო ძლიერების — ხელყოფისათვის, ამიტომ ამ შემთხვევაში მიზანი სხეულის დაზიანების ხარისხზე არ მოქმედებს. ამ დანაშაულის ხარისხი იგივე რჩება. მიზანი წარმოქმნის სრულიად ახალ დანაშაულს, რომლის სტრუქტურაში სხეულის დაზიანება მხოლოდ ერთ-ერთი რგოლია და მეტი არაფერი.

რახან მიზანი წარმოქმნის სრულიად ახალ დელიქტს, მაშინ სუბიექტურ მომენტს ჰქონია მნიშვნელობა ობიექტური უმართლობის დასაბუთებისათვის. თ. წერეთელი პირველი იყო, ვინც საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ეს საკითხი დააყენა, რის გამოც მას ოპონენტები თავის დროზე (გ. ტყეშელიაძე, ვ. კუდრიავცევი) ბრალისა და საზოგადოებრივი საშიშროების ცნებათა აღრევასაც კი უკოყინებდნენ. მაგრამ თ. წერეთელს არასოდეს არ უმტკიცებია, თითქოს ბრალი ეფუძნებოდეს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას ან მის ხარისხზე მოქმედებდეს. იგი ყოველთვის განასხვავებდა ბრალის ცნებას უმართლობის სუბიექტური ელემენტის ცნებისაგან, რაც მან განსაკუთრებით მკვეთრად გამოხატა თავის უკანასკნელ ნაშრომში¹.

მაშასადამე, ბრალი უნდა განვასხვავოთ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების (უმართლობის) სუბიექტური ელემენტისაგან, რომელიც ზოგ შემთხვევაში (პირდაპირი განზრახვა), ობიექტურ მომენტებთან ერთად აფუძნებს დელიქტის ტიპს (იხ. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ჩვენი ნაშრომი „უმართლობის სუბიექტური ნიშნების საკითხისათვის“, „მაცნე“, 1983, № 2). სუბიექტური ელემენტის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებისათვის განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა სისტემის აგების დროს. სამართლით დაცული რომელიმე ობიექტის ხელყოფა არ ეწინააღმდეგება სამართალს და არ არის საზოგადოებრივად საშიში, როცა მიზანი საზოგადოებრივად სასარგებლოა (უკანონო თავდასხმის დროს და ა. შ.), იმავე ობიექტის დაზიანება დანაშაულია, თუ კაცი არ ისახავდა საზოგადოებრივად სასარგებლო მიზანს და სხვ. ამ მომენტზე ავტორი სავსებით სწორად ამახვილებს ყურადღებას იქ, სადაც აუცილებელი მოგერიებისა და დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების სუბიექტურ მხარეს იხილავს (იხ. შესაბამისად გვ. გვ. 102-106-ე და 173-ე). ქმედობის მართლწინააღმდეგობა და მართლზომიერება,

¹ «Основание уголовной ответственности и понятие преступления», «Правоведение», 1980, № 2.

საზოგადოებრივი საშიშროება და საზოგადოებრივად სარგებლიანობა ერთი მედლის ორი მხარეა, რომლებსაც სუბიექტის მიერ დასახული მიზანი განსაზღვრავს.

მომდევნო პარაგრაფში ავტორი დაწვრილებით იხილავს საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებათა მოცულობას. საბოლოოდ იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ იმ მრავალრიცხოვანი ქმედობებიდან, რომლებიც ცხოვრებაში შეიძლება შეგვხვდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული უნდა იყოს „...მხოლოდ აუცილებელი მოგერიება, მოქალაქის მიერ დამნაშავეს შეპყრობა და უკიდურესი აუცილებლობა“ (გვ. 31). ავტორის მტკიცებით, ეს გარემოებები არ გულისხმობს საგანგებო სუბიექტებს და ყველა მოქალაქეს ეხება, ვინაიდან „მათი მართლზომიერების პირობები არ უნდა იყოს ადმინისტრაციულ-უწყებრივი აქტებით მოწესრიგების საგანი“ (იქვე). ამიტომ საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი სხვა გარემოებებისათვის, რომლებიც „ადმინისტრაციულ-უწყებრივი აქტებით მოწესრიგების საგანს“ წარმოადგენენ, სისხლის სამართლის კოდექსში უნდა არსებობდეს ერთი ზოგადი ფორმულა. ამის საფუძველზე ავტორი მომავალი კანონმდებლობისათვის გვთავაზობს ასეთ ნორმას: „დანაშაულად არ ჩაითვლება ქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია ისეთ გარემოებაში, რომელიც მართლზომიერადაა მიჩნეული სოციალისტური მართლწესრიგის მიერ“ (გვ. 32).

ასეთი ნორმის შემოტანა ჩვენს კანონმდებლობაში მე პირადად მისაღებად მიმაჩნია. ვგონებ, ანალოგიური ნორმა დღემდე არცერთი ქვეყნის კოდექსით არ უნდა იყოს გათვალისწინებული. ეს ნორმა უთუოდ მოუტანს სარგებლობას კანონიერების განმტკიცების საქმეს და ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, მაინც არ უნდა იყოს სწორი ავტორის მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმი, რომლითაც თითქოს უნდა ვიხელმძღვანელოთ სისხლის სამართლის კოდექსში ამა თუ იმ საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოების შემოტანის დროს. აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის და დამნაშავეს შეპყრობის გვერდით, კანონმდებელს თავისუფლად შეუძლია შემოიტანოს კოდექსში ნებისმიერი სხვა, რომელიც ვნებავთ, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოება. ამჟამად დგას კიდევაც საკითხი, რომ ახალ „საფუძვლებში“ გათვალისწინებული იქნეს საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი ისეთი გარემოება, როგორცაა, მაგალითად, მართლზომიერი რისკის განხორციელება და ა. შ. აუცილებელი მოგერიება და უკიდურესი აუცილებლობა თითქმის ყველა სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება და ადრეც გვხვდებოდა. ამის მიზეზი ის კი არ არის, თითქოს დასახელებული გარემოებების „განხორციელება საგანგებო სუბიექტის არსებობას არ გულისხმობს“. საქმე ის გახლავთ, რომ ეს გარემოებანი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ კლასიკურ გარემოებათა ჯგუფს ქმნიან, მათ დიდი ისტორიკული აქვთ, საკმაოდ შესწავლილია მეცნიერების მიერ და დახვეწილია პრაქტიკულად. ამიტომ მათი შეტანა კოდექსებში იოლი საქმეა.

მეორე თავი აუცილებელი მოგერიების პრობლემას აქვს დათმობილი. მოცულობით, ეს თავი ყველაზე უფრო დიდია მთელ წიგნში. იგი წიგნის ნახევარზე მეტს მოიცავს. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ისტორიულად აუ-

ცილებელი მოგერიების პრობლემა ისეთივე ძველი უნდა იყოს, როგორც თონ სისხლის სამართალია. თანაც აუცილებელი მოგერიება უაღრესად პრაქტიკული პრობლემაა და ძლიერ ხშირად გვხვდება სამართლებრივ ცხოვრებაში. ამის გამოა, რომ მის გარშემო დიდი პრობლემატიკა შეიქმნა და ბევრიც, ძალზე ბევრიც დაიწერა ცივილიზებულ ხალხთა ენებზე. სწორედ ამ მიზეზების გამო ავტორის წინაშე ბევრი რთული საკითხი იდგა და მოითხოვდა სათანადო დონეზე გადაწყვეტას.

წიგნის ეს ნაწილიც კარგად არის დამუშავებული, ვინაიდან იგი ავტორის ხანგრძლივი კვლევის საგანი იყო. ამ პრობლემაზე დაიცვა მან საკანდიდატო დისერტაცია და შემდეგ, როგორც ზემოთ ვთქვით, დისერტაცია ცალკე წიგნად გამოცა. რუსულ ენაზე. მიუხედავად ამისა, წიგნის მეორე თავი რუსულად გამოცემული მონოგრაფიის უბრალო თარგმანს როდი წარმოადგენს. ტექსტი აქ მთლიანად განახლებულია. კერძოდ, გამოვლენილია და გაანალიზებული ახალი სასამართლო პრაქტიკა; შესწავლილია აგრეთვე ახალი ლიტერატურული წყაროები და ნორმატიული მასალა². განსაკუთრებით უნდა ითქვას ის, რომ ავტორს უხვად მოაქვს როგორც საქართველოს სასამართლოს პრაქტიკის (გამოქვეყნებულის და გამოუქვეყნებელიც), ისე საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის მასალებიც. რაც შეეხება ლიტერატურულ წყაროებს, ავტორი არ სჯერდება მხოლოდ რუსულ ლიტერატურას. იგი უხვად იმოწმებს უცხოურ წყაროებსაც, კერძოდ, გერმანულ ლიტერატურას. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება თანამედროვე დასავლეთგერმანულ ავტორთა ნაშრომებზე მითითება, რაც წიგნისადმი ინტერესს კიდევ უფრო აცხოველებს, ამდიდრებს მის შინაარსს.

წიგნში აუცილებელი მოგერიების ბევრი სადავო საკითხი სწორად არის გაშუქებული. ჩვენ არ შევუდგებით აქ ამ საკითხების განხილვას, რადგან იგი დიდ ადგილს დაიკავებდა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ წიგნის ამ ნაწილს, რომელიც თეორიულად, რასაკვირველია, ღრმად არის დამუშავებული, აქვს დიდი პრაქტიკული ღირებულება. ამიტომ ამ მხრივ იგი ჩვენი პრაქტიკოსი იურისტების სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს. მეორე მხრივ, წიგნს აქვს აგრეთვე უფრო ფართო დანიშნულება. მას ინტერესით გაეცნობა აგრეთვე რიგითი, არაპროფესიონალი მკითხველიც (ცხადია, შესაფერისი ზომით). მკითხველი მასში იპოვის იმ უფლების ინტერპრეტაციას, განმარტებას, რომელიც მას ეძლევა საზოგადოებრივად საშიში თავდასხმისაგან თავის დასაცავად. ყოველმა კაცმა უნდა იცოდეს, რომ მას არ ევალება გაქცევა და შეუძლია აქტიურად მოიგერიოს თავდამსხმელი.

წიგნის მესამე თავში დამნაშავეის შეპყრობის პრობლემა განხილული უნდა ითქვას, რომ თ. შავგულიძემ პირველმა ქართველ კრიმინალისტთა შორის მონოგრაფიულად დაამუშავა ეს პრობლემა. მან საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა დაასაბუთა, რომ დამნაშავეის შეპყრობა საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი ისეთივე დამოუკიდებელი გარემოებაა, როგორც არის აუცილებელი მოგერიება. და უკიდურესი აუცილებლობა და რომ ეს გარემოება ცალკე საკანონმდებლო ნორმით უნდა იყოს

² დასანან ხარვეზად მიმაჩნია მხოლოდ ის, რომ ავტორი ყველგან ეყრდნობა სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წ. 4 დეკემბრის დადგენილებას აუცილებელი მოგერიების საკითხზე, რომელიც ამჟამად გაუქმებულია. მის ნაცვლად მოქმედებს 1984 წ. 16 აგვისტოს № 14 დადგენილება.

მოწესრიგებული. ვფიქრობ, ამ პრობლემატიკაში წამოჭრილი საკითხები ძირითადად სწორად არის გადაწყვეტილი. ბოლოს ავტორი გვეთავაზობს რამდენიმე საკანონმდებლო წინადადებას. კერძოდ, მისი აზრით, საქართველოს სსრ-ის ზოგად ნაწილს უნდა დაემატოს ახალი ნორმა — „მოქალაქის მიერ დამნაშავეს შეპყრობა“; კოდექსის 38-ე მუხლს სასურველია დაემატოს 6¹ პუნქტი, რომელიც გაითვალისწინებს ასეთი სახის შემამსუბუქებელ გარემოებას: „დანაშაულის ჩადენა დამნაშავეს შეპყრობის მიზნით, თუნდაც ამისთვის დადგენილი ფარგლების გადამეტებით“; კოდექსის კერძო ნაწილში კი სასურველია გაითვალისწინებული იქნეს „მუხლი 114¹. სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დამნაშავეს შეპყრობის ფარგლების გადამეტების დროს“. ყველა ეს წინადადება, ვფიქრობ, მისაღები უნდა იყოს.

დაგვრჩა განსახილველი წიგნის მეოთხე თავი — უკიდურესი აუცილებლობა. არ შეიძლება არ ითქვას, რომ ავტორი, როცა ამ პრობლემას ჰკიდებდა ხელს, უდიდესი სიძნელის წინაშე იდგა. აქ საკვირველი არაფერია, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკიდურესი აუცილებლობა არათუ სისხლის სამართლის, საერთოდ სამართლებრივ პრობლემატიკაში დღემდე ითვლება ერთ-ერთ ურთულეს და თავისი არსით უაღრესად სადავო პრობლემად. მით უმეტეს, რომ ამ საკითხის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. მას იკვლევდნენ არა მარტო სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის კრიმინალისტები და ცივილისტები, არამედ ამ პრობლემის ირგვლივ კამათობდნენ და ერთმანეთის საპირისპირო აზრებს გამოთქვამდნენ ისეთი გამოჩენილი ფილოსოფოსები, როგორებიც იყვნენ ი. კანტი, ი. ფიხტე, გ. ჰეგელი და სხვ, რაც კარგად ჩანს თვითონ განსახილველი ნაშრომიდან (იხ. მეოთხე თავი, 6).

მიუხედავად ამისა, ავტორმა შეძლებისდაგვარად დაძლია ეს სირთულე და პრობლემის საინტერესო გამოკვლევა შემოგვთავაზა. ნაშრომი სულ ექვს პარაგრაფად არის დაყოფილი. მართალია, წიგნი ორი ავტორის მიერ არის დაწერილი, მაგრამ ეს ნაწილიც, რომელიც ლ. სურგულაძეს ეკუთვნის, წიგნის მთლიან სისტემაშია მოქცეული. ამიტომ წიგნის პირველი თავი, რომელიც საზოგადოდ სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს ეხება, მნიშვნელობას ინარჩუნებს უკიდურესი აუცილებლობის მიმართაც. ლ. სურგულაძემ თავის ნაშრომში მაინც გამოჰყო პირველი პარაგრაფი „ზოგადი დებულებების“ სახით, სადაც იმ ზოგად დებულებებზეა ლაპარაკი, რომლებიც სპეციფიურია უკიდურესი აუცილებლობისათვის და რასაც გარკვეული ზომით, ალბათ ვერ აიცილებდა ავტორი. მაგალითად, იგი იხილავს საკითხს, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს უკიდურეს აუცილებლობას კანონმდებლობის სისტემაში და სხვადასხვა ავტორთა აზრების კრიტიკული გაანალიზების შედეგად მიდის, ჩემი აზრით, იმ სწორ დასკვნამდე, რომ ჭერ მოცემული უნდა იყოს „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძვლები და შემდეგ გარემოებები, რომლებიც ამ პასუხისმგებლობას გამოირიცხავენ“ (გვ. 196).

მომდევნო პარაგრაფებში ავტორი დაწვრილებით განიხილავს იმ პირობებს, რომლებიც უკიდურეს აუცილებლობას წარმოქმნიან. ნაშრომის შესწავლა გვარწმუნებს, რომ ავტორს დაუმუშავებია როგორც ახალი და უახლესი, ისე რევოლუციამდელი რუსული ლიტერატურული წყაროები. გვხვდება აგრეთვე გერმანულ წყაროებზე მითითებაც. ავტორი კარგად იცნობს არა მარტო საბჭოური, არამედ სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობასაც და აკეთებს ამ კანონმდებლობის შედარებით ანალიზს. როგორც

ცნობილია, უკიდურესი აუცილებლობა, აუცილებელი მოგერიებისგან განსხვავებით, შედარებით იშვიათად გვხვდება ცხოვრებაში. ამიტომ სასამართლო პრაქტიკაც ამ საკითხზე ნაკლებია. მაგრამ ლ. სურგულაძის ნაშრომში საკმარისად არის მოტანილი როგორც ადრინდელი, ისე უახლესი სასამართლო პრაქტიკის ნიმუშები. დამოწმებულია აგრეთვე მაგალითები საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან.

ლ. სურგულაძე საგანგებოდ იხილავს უკიდურესი აუცილებლობის სამოქალაქოსამართლებრივ ასპექტს. ნაშრომში ამ საკითხს ცალკე პარაგრაფი აქვს დათმობილი.

ცალკე მინდა გამოვყო და უფრო დაწვრილებით შევხეხო სიკეთეთა თანაფარდობის საკითხს უკიდურესი აუცილებლობის დროს. ვგონებ, ყველაზე უფრო რთული სწორედ ეს საკითხი უნდა იყოს უკიდურესი აუცილებლობის მთელ პრობლემატიკაში. მხედველობაში მაქვს ეგრეთ წოდებული „ტრაგიკული კოლიზიის“ შემთხვევა და მის გარშემო წარმოშობილი პრობლემატიკა. „ტრაგიკული კოლიზია“ გულისხმობს ორი ტოლფასოვანი სიკეთის დაპირისპირების შემთხვევას. მაგალითად, ეს არის ერთი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა მეორის ხარჯზე, როცა ამ სიცოცხლის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობდა. ამ საკითხზე საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთის წარმოდგენით, „ტრაგიკული კოლიზიის“ დროს სხვისი სიცოცხლის მოსპობა განსაკუთრებით ამორალური ქცევაა და ის „უხეში ეგოისტური ქვენა გრძნობებით“ არის ნაკარნახევი (ნ. დურმანოვი). პროფესორი ბ. ფურცხვანიძე კი ისეთ ეგოიზმს ხედავდა ამაში, რომელიც „კომუნისტების პრინციპებსაც“ კი ეწინააღმდეგებოდა. ამ მიმართულების წარმომადგენელთა მიხედვით „ტრაგიკული კოლიზია“ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს. ლ. სურგულაძე ერთგვარად არბილებს მდგომარეობას, როცა ამტკიცებს, რომ „ტრაგიკული კოლიზია“ შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული მხოლოდ როგორც „პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება“ (გვ. 221). მაგრამ არსებითად ისიც იმ აზრისაა, რომ „ტრაგიკული კოლიზიის“ შემთხვევა პასუხისმგებლობას არ გამოორიცხავს.

„ტრაგიკული კოლიზიის“ დროს ერთი ადამიანის სიცოცხლე იღუპება მეორის ხარჯზე და ამიტომ, ცხადია, შემადგენლობის შესაბამისი მოქმედება საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგოა. მართლწესრიგი ამ შემთხვევაში ვერაფერს იგებს, თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახეო, ნათქვამია. მაგრამ სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება ამ შემთხვევაში ბრალის საკითხი. ვერ ვიტყვით, რომ „ტრაგიკული კოლიზიის“ დროს ადამიანს ბრალი მიუძღვის მეორე ადამიანის სიცოცხლის მოსპობაში. პერსონალური შერაცხვა ქმედობისა, პერსონალური გასაკიცხობა აქ შეუძლებელია. სასჯელის მოტივაციური ზეგავლენა ამ შემთხვევაში ნოლს უდრის. თუკი ამ დროს კაცს მოსალოდნელი სასჯელი გაახსენდება, ის მასზე ვერავითარ ზემოქმედებას ვერ მოახდენს. საერთოდ ძნელია კაცს უთხრა, რატომ ჩაიღინე ეს მკვლელობაო. ეს ხომ თვითმკვლელობისკენ მოწოდებას ნიშნავს! ამიტომ მიზანშეწონილად მეჩვენება შევიმუშაოთ წინადადება, რომლის მიხედვით „ტრაგიკული კოლიზიის“ დროს ადამიანი მთლიანად უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან ბრალის არ არსებობის გამო. ეს არის უკიდურესი აუცილებლობის ერთ-ერთი სახე, რომელსაც ითვალისწინებს ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა (ავსტრია).

თ. წერეთლის თვალსაზრისზე დაყრდნობით ლ. სურგულაძე ერთ ადგილას სავესებით სწორად შენიშნავს, რომ „ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი ჯერ კიდევ როდი ნიშნავს, რომ ეს ქმედობა უექველად დანაშაული იყოს — არსებობს განსაკუთრებული პირობები, რომლებიც საზოგადოებრივ საშიშროებას გამოირიცხავენ...“ (გვ. 190). მაშასადამე, უკიდურესი აუცილებლობისა და სხვა მსგავსი გარემოების დროს ქმედობა შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობას, მაგრამ არ არის საზოგადოებრივად საშიში. ამრიგად, აქ დანაშაულის ცნების ერთი ნიშანი გვაქვს — ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი. სამწუხაროდ, ავტორი ბოლომდე ვერ იცავს ამ პოზიციას. ცოტა უფრო ქვემოთ იგი წერს: „უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში ჩადენილ ქმედობას დანაშაულისათვის დამახასიათებელი არც ერთი (ო. გ.) ძირითადი ნიშანი არ გააჩნია“ (გვ. 194). არსებითად ამავე თვალსაზრისს გამოთქვამს თ. შავგულიძეც, რომელიც წერს, რომ აუცილებელი მოგერიებისა და უკიდურესი აუცილებლობის დროს ქმედობა „არც ფორმალურად არ შეესატყვისება რომელიმე დანაშაულის შემადგენლობას“ (გვ. 260). როცა პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ რაღაც ნიშანი არსებობს დანაშაულისა და აკლია რომელიღაც ნიშანი, რომლის საფუძველზეც პასუხისმგებლობა გამოირიცხება. მაგრამ, თუ ქმედობას დანაშაულის არცერთი ნიშანი არა აქვს, მაშინ პასუხისმგებლობის გამომრიცხვის პრობლემა საერთოდ არ დგება. სწორედ ამ კუთხით უნდა წარიმართოს მთელი კვლევა-ძიება ამ პრობლემატიკაში.

საზოგადოდ, პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები სისხლის სამართლის ურთულეს პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება. ეს არის პრობლემა, რომლის გარშემო ჯერ კიდევ ბევრია სადაო და საკამათო. მე აქ მხოლოდ ზოგიერთ ასეთ საკითხზე გავამახვილე ყურადღება. განსახილველი მონოგრაფია, ვფიქრობ, ახალ ბიძგს მისცემს ამ პრობლემის კვლევის შემდგომ გაღრმავებას. მისი გამოცემა ამ მხრივაც კი გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

ახალი დამხმარე სახელმძღვანელო საბჭოთა ალგუნეკლოგაში

დიდი ინტერესი გამოიწვია დამხმარე სახელმძღვანელომ საბჭოთა აღმშენებლობაში, რომელიც მოამზადა ავტორთა ჯგუფმა პროფესორ ო. ფრიცკისა და დოცენტ ვ. კუზნეცოვას საერთო რედაქციით და იგი შარშან გამოიცა ქ. კიევში გამომცემლობა „ვიშჩა შკოლაში“.

უწინარესად, უნდა აღვნიშნოთ ის, რომ დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორებმა გადადგეს პირველი ნაბიჯი ისეთი სახელმძღვანელოს შექმნის საქმეში, როგორც სჭირდება დღეს ჩვენს უმაღლეს სკოლას. ავტორთა კოლექტივის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ დამხმარე სახელმძღვანელო დაწერილია საინტერესოდ, ყველასათვის გასაგები ენით. აქ თეორიული დებულებანი ორგანულად არის შერწყმული სახალხო დებუტატთა საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობასთან. ამავე დროს, დამხმარე სახელმძღვანელოში ფართოდაა გამოყენებული უაზლესი ნორმატიული აქტები და მათი გამოყენების პრაქტიკა უკ-

რინაში. კერძოდ, ეს ეხება სახალხო დებუტატთა არჩევნების ჩატარებას მრავალმანდატიან ოლქში, მოქალაქეთა უფლებების შემბლაღვი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესს და ა. შ.

კარგად არის გააზრებული დამხმარე სახელმძღვანელოს სტრუქტურა. იგი შედგება 4 ნაწილისაგან, პირველში გაშუქებულია საბჭოთა აღმშენებლობის ზოგადი დებულებები, ხოლო დანარჩენი სამი ნაწილი მიძღვნილია საბჭოების საქმიანობის ორგანიზაციის, უშუალო დემოკრატიის ფორმების განხორციელებაში ამ ორგანოების როლის, საბჭოებისა და საზოგადოებრიობის ურთიერთდამოკიდებულებისადმი.

მართებულად არის დასაბუთებული ავტორთა კონცეფცია იმის თაობაზე, რომ საბჭოთა აღმშენებლობის ქვეშ იგულისხმება მთელი საბჭოების სისტემის ორგანიზაცია და საქმიანობა, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი ფორმებისა და მეთოდების საშუალებით საბჭოების ამოცანებისა და ფუნქციების რეალიზაციას სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სფეროებში.

დამხმარე სახელმძღვანელოს ღირსებას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ ავტორები ფართოდ იყენებენ სქემებს, რაც გაუადვილებს სტუდენტებს საგნის ხარისხიანად ათვისებას. სარეცენზიო წიგნში ფართოდაა გამოყენებული აგრეთვე საბჭოებისა და მისი ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემები.

სასურველია, რომ სახელმძღვანელო წიგნზე შემდგომ მუშაობაში ავტორებმა უფრო ფართოდ გამოიყენონ ყოველივე ის ახალი, რაც ხდება ამჟამად საბჭოების საქმიანობაში.

საბჭოთა აღმშენებლობის დამხმარე სახელმძღვანელოს გამოცემით სასარგებლო საქმე გაკეთდა. ასეთი შრომები სჭირდებათ არა მარტო სტუდენტებს, არამედ დებუტატებს, საბჭოთა ორგანოების მუშაკებს.

ვანბანზ თორღია

გამომქიპლის ჩანაწერაჰიღან

მკვლელოგა ფარღის მიღმა

წვიმს. გამთენიისას ოღნავ დაცხრა. შემდეგ კი უმატა და უმატა...

ღიღის თერთმეტი საათია. ნიღა ჭეღიძე ერთი ოთახიღან მეორეში დაბორიღობს. აღღიღს ვერ პოღლოღბს უღღებ ტეღეღფონის ჰმა მოღსმა. ყურმიღს ჰელი დასტაცა...

— ალო, გისმენთ!

— უკაცრავად, თქვენ ქალბატონი ნიღა ბრღანღებით? — კითხუღობს ვაღჟის ჰმა.

— ღიღახ, ვინ კითხუღობს?!

— მე თქვენი შვიღის მეგობარი ვარ, თემური წუხელ დააკავღს და... კარგად ბრღანღებოღდეთ! — ვაღჟის ჰმა ისე მოუღლოღნეღად გაწყდა, რომ ნიღას უამრავი კითხვა უბასუხოღდ დაურღა.

ქალი კარგა ჰანს ყურმიღლით ჰელში გაოღგნებუღი იღგა.

— რა ვქნა? ვის მიღმართო? — ეს კითხვა არ ასვენებღა.

უღღებ ქმარი გაახსენღდა და ტეღეღფონს ეღა. საქალაქთაშორიღს შორიღგე



ნაცნობი ქალი აღმოჩნდა, სთხოვა, სასწრაფოდ კიევეთან დამაკავშირო და ნომერი ჩააწერინა. ორიოდე წუთში ნილა ქმარს ელაპარაკებოდა სასტუმრო „უკრაინაში“.

არც კი მისალმებია, პირდაპირ ატაკა: — თემური მილიციაშია დაკავებული, იცოდე სასწრაფოდ, დღესვე აქ გაჩნდი... ჩემი საწყალი თემო, ენაცვალოს დედა. — აცრემლდა ქალი.

უცებ კავშირი გაწყდა, ნილამ ხელის კანკალით ხელმეორედ აკრიფა ნომერი:

— მზია, ქალო, გაითიშა კიევი, რა ჯანდაბაა, ამ ქვეყანაზე ყველაფერი მოშლილი როგორაა? ქმარს ვერ დაელაპარაკები ადამიანი!

— ჩვენი ბრალი არაა ქალბატონო! როგორც კი აღსდგება კავშირი, კვლავ დაგალაპარაკებთ. — მშვიდად უპასუხა ტელეფონისტმა.

ნილას გონებაში ავმა ფიქრმა გაუფლვა — დილის თერთმეტ საათზე გივი სასტუმროში რატომ უნდა ყოფილიყო. კვალიფიკაციის ასამაღლებლად წასული კაცი ლექციებს რად არ ესწრება? მაგრამ ყველაფერ ამის გარკვევისათვის ახლა არ ეცალა. სასწრაფოდ გადაიცვა. კიბის საფეხური ჩაირბინა და თავისი თეთრი „ჩიგული“ ადგილიდან მოწყვიტა. რამდენიმე წუთში მილიციის განყოფილების უფროსის მისაღებში გაჩნდა.

— მოითმინეთ ქალბატონო, უფროსი საცაა მოვა! — ცივად მიმართა ზღვისფერთვალემა მდივანმა ქალმა.

ნილა არ იყო ჩვეული ლოდინსა და თხოვნას, აიმრიზა, სკამზე მძიმედ დაეშვა და მანქანის გასაღებს დაუწყო წვალება.

მილიციის უფროსი მაიორი ედიშერ კილასონია მართლაც მალე მოვიდა.

— მელოდებიან? — ჰკითხა მდივანს.

— საკმაოდ ბევრი. — უპასუხა მან.

— შემოუშვით რიგის მიხედვით!

— რიგის მიხედვით? საქალაქო საბ-

ჭოს თავჯდომარის მოადგილის შეუღლებ ნილა ჰკელიძე რომ გელოდებათ?

— მგონი, წესი ყველასათვის ერთია! — სავარძელში ჩაეშვა მაიორი.

— ჩემი შვილი დაუკავებიათო, ისეთი რა უნდა მოემოქმედნა, ღამე მილიციაში გაათევენესო?

— სწორი უთქვამს, მისი ხულიგანი შვილი წუხელ მართლაც დაგაკავეთ. — თქვა ედიშერმა დინჯად და დასძინა: — მიღება დაგვიწყობ რიგის მიხედვით!

ამ დროს კარი გაიღო და თამამად შემოვიდა გამომწვევად სახეშეღებილი ასაკთან შედარებით ახალგაზრდულად ჩაცმული ნილა ჰკელიძე, გასაღები უდარდელად მოისროლა მაგიდაზე.

— ჩემი ბიჭუნა დაგიკავებიათ თურმე... მითხარით ერთი, რა მოხდა?

— დიახ, თქვენი შვილი დაკავებულია. უზომოდ მთვრალმა ორმა ახალგაზრდამ თეატრის შენობის წინ მსახიობებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. — განუმარტა ედიშერმა.

— არა მჯერა, ჩემი თემო, ამას არ იკადრებდა. ოჯახის შვილობა, მაღალი ზნეობა, უფლებას არ მისცემდა თეატრის მსახიობებისათვის შეურაცხყოფა მიეყენებინა. ალბათ ის მეორე იქნებოდა ყველაფრის მოთავე.

— ქალბატონო ნილა, განყოფილების მუშაკები ყველაფერს ნათელს მოჰყვენენ .

— გივი ჰკელიძეს რესპუბლიკა იცნობს. მისი შვილი არ შეიძლება დამნაშავე იყოს. ჩვენს ერთადერთ ვაჟს მაღალმორალურ პრინციპზე ვზრდით. — ამაყად წარმოსთქვა ნილამ.

— დიახ, თქვენ გაქვთ იმის შესაძლებლობა, რათა ყველანაირი პირობა შეუქმნათ მემკვიდრეს. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ცუდი ფაქტის წინაშე აღმოჩნდით. — ორაზროვნად თქვა ედიშერმა.

ნილას თითქოს არც გაუგია ეს სიტყვები, ცინიკურად იკითხა:

— ამხანაგო ედიშერ, ვერ მეტყვიან, რა მოელის ცელქობისათვის ჩემს ბიჭს?

— ჯერ-ჯერობით ამის თქმა შეუძლებელია... ერთი კი ცხადია, ბოროტი ხულიგნობა გამოკვეთილია.

— ერთი შეცდომისათვის რა, სახრ-ხოხელაზე უნდა აიყვანოთ?

— კი, მაგრამ, თქვენი შვილის მაგიერ ვის მოვთხოვთ პასუხი? ბოლოსდაბოლოს მსახიობების წინაშე რით ვიმართლოთ თავი?

— გამოდის, რომ დაკავებული გყავთ სოციალურად საშიში დამნაშავე, არა?

— ქალი ფეხზე წამოიჭრა.

— ამ საქმეში კომპეტენტური გამოძიებლები გაერკვევიან. გპირდებით, რომ რაიმე გადაცდომას ადგილი არ ექნება. — დინჯად უპასუხა ედიშერმა.

— დიდი შეღავათი, ქალს იქედნურად გაეცინა, — ზოგიერთი გამოძიებელი არაფრად დაგიდევთ არც მშობლების მდგომარეობას, არც ახალგაზრდის მომავალს — ყველაფერს გააკეთებენ ოლონდ ციხეში უკრან თავი გინმეს.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ქალბატონო, ყველაფერს აფთიაქის სასწორით ავწონით. — ჩვეული სიდინჯით მიუგო ედიშერმა.

— გამოდის, რომ თქვენ აცდენთ ამ სავარძელს?

ედიშერს გული დაეწურა, მაგრამ სიმშვიდე შეინარჩუნა.

— ნახვამდის, აწი მე ვიცი... — თქვანილამ და ხმაურით მიიხურა კარი.

შემოდის მდივანი:

— დაწყნარდით, ბატონო ედიშერ. ნილა სხვა ქალია. იგი ცხოვრებამ მიაჩვია გამარჯვებას, სხვებზე უპირატესობას. ის თეატრის მსახიობების შეურაცხყოფისათვის ციხეში არ გაუშვებს შვილს.

ედიშერმა სიგარეტს მოუკიდა:

— არ ვიცი, რა ვქნა... ვისაც ხელი ჩაკვიდე, ასმა ზარმა დარეკა, ასი მთხო-

ვნელი მომადგა. სიროფიანი წყლის გამყიდველსაც სადღაც აქვს კული გაბმული... აღარ შემიძლია მეტის ატანა! — აღმოხდა ედიშერს.

— სხვებს მიიღებთ? — იკითხა მდივანმა.

— შემოვიდნენ!

რამდენიმე მოქალაქის შემდეგ კაბინეტში სანდომიანი სახის ქალი შემოვიდა.

— მობრძანდით, ქალბატონო! — მიმართა ედიშერმა.

— გამდლობთ, მე უხეირო შვილმა მაიძულა გხლებოდით, დედა ვარ, არ გამემტყუნება... მსურს გავიგო, რა ჩაიღინა რობერტ დანელიამ?

— მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა თქვენმა და ჭელიძის შვილმა ბოროტი ხულიგნობა ჩაიდინეს. — მოკლედ აუხსნა ედიშერმა.

— ხულიგნობა უბოროტოც არსებობს, ბატონო? — გაიკვირვა ქალმა.

— განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ დანაშაულს, ბოროტი ეწოდება. — განმარტა ედიშერმა.

— თავს ლაფი დამასხა უმამოდ დარჩენილ ოთხი შვილის აღმზრდელს... ამაგი ასე გადამიხდა, არა? — სევდიანი ხმით წარმოსთქვა ქალმა. ცოტა ხნის შემდეგ დასძინა:

— ჭელიძის ვაჟი და ჩემი შვილი თანაკლასელები არიან. ათასგზის ვაფრთხილებდი აუგი არაფერი ჩადინათ. არ მომისმინეს? მიიღონ რაც საჭიროა.

— ყველაფერი გაირკვევა, ქალბატონო. უდანაშაულოს არავინ დასჯის; ამაში დარწმუნებული იყავით...

— არ გამიგოთ თითქოს შეწყალეების სათხოვნელად გეახელით. პირიქით, მე მოვითხოვ ორთავე მკაცრად დაისაჯოს, რომ უფრო ცუდი შედეგი არ მოჰყვეს მათ ლოთობასა და უსაქმურობას... მაპატიეთ, რომ ჩემმა შვილმა საზრუნავი მოგიმატათ. მე მისი მომკითხავი აღარ ვარ. სხვები მყავს გა-

საზრდელი. იმედი მაქვს, ორთავე საკადრისად დაისჯება. — თქვა ქალმა, შეტრიალდა და სწრაფად გავიდა.

ედიშერი წასასვლელად გაემზადა. აღმასკომში სხდომას უნდა დასწრებოდა... ტელეფონმა დარეკა, პროკურორი იყო. ჭელიძის ამბავი იკითხა. ედიშერი მიხვდა, ნილა ჭელიძე პროკურორთან მისულიყო.

— შემოტევაზეა ჭელიძის ქალბატონი, თქვენც შეგაწუხათ არა?

— რა ტარიელ მკლავაძე ევა მყავს... — სიცილით იკითხა პროკურორმა, — ჩემი ხათრით შეახვედრე შვილთან...

— მოვიდეს! — ცივად დაეთანხმა ედიშერი. მდივანი გააფრთხილა, ჭელიძის დედა მოვა და შემოუშვი, აღმასკომის სხდომას კი ჩემი მოადგილე დაესწროსო.

მალე ნილა ჭელიძეც შემოვიდა კაბინეტში.

— როდის ინებებთ შვილთან შეხვედრას? — სიტყვის თქმა არ აცალა ედიშერმა.

— ამხანაგო ედიშერი, იქსებ წვრილმანზე გაგვეყვანა საქმე? — თემა შეცვალა ნილამ.

— ქალბატონო ნილა, თუ სასამართლომდე მივიდა საქმე, ციხე არ ასცდება თქვენს შვილს! — მიახალა ედიშერმა.

— იყავით დარწმუნებული, რომ თემური, ჩემი ერთადერთი იმედი, ციხისათვის არ გამიზრდია! — გააფრთხა ნილა, ხელჩანთა გახსნა, სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ედიშერმა ასანთს გაპკრა და მიაწოდა.

— გმადლობთ, ის დანელიაა ყველაფრის მოთავე. დამიღუბა შვილი... ხომ უნდა გაირჩეს დამნაშავე და თანამონაწილე?

— წინასწარი მოკვლევის მასალებიდან ჩანს, რომ დანელია უფრო პასიური იყო, ჩვენთანაც თავდაჭერილად იქცეოდა...

— გივი მაინც იყოს აქ. ჩამოვა და

ყველაფერს მე გადმომამბრალებს ზათ დღე ვერ მოუარე ბავშვსო.

— მსახიობებთან ხულიგნობის ფაქტს შეესწრო ჩემი მოადგილე ფილიპე გეგუტია. მისი გადმოცემით, აქტიური თქვენი შვილი ყოფილა. — განუმარტა ედიშერმა.

— ვიცნობ მაგას, თავისებური კაცია, უყვარს გაზვიადება... ყველამ იცოდეს, ჩემს შვილს პატრონი ჰყავს, საიმედო პატრონი... თეატრის მსახიობებს შეეხვედები, გავაფრთხილებ, ზედმეტი არაფერი წამოცდეთ... მთავარი კი მაინც თქვენ ხართ, — ერთი წამით მოლბა ნილა, — ხომ იცით, ქოთანს მექოთნე როგორც უნდა ისე მოაბამს ყურს... ჩემი თემო მოზარდია, ახლავე ხომ არ უნდა გავსრისოთ?

— ქალბატონო ნილა, ჩვენც ვიყავით ახალგაზრდები, მაგრამ ვიცოდით თავდაჭერა, ერთმანეთის პატივისცემა..

— ეს მაშინ, ახლა ახალგაზრდები სხვანაირები იზრდებიან. დრო შეიცვალა, დრო... მანქანა არ აკლია და ჩასაცმელ-დასახური, ვიდეო და ათასნაირი აპარატურა... მეტი რაღა ვქნათ?

— ვიცი, თქვენს ერთადერთ შვილს არაფერს აკლებთ, მაგრამ ზოგჯერ მამებს სამსახურებრივი მოუცლევლობით დრო აღარ რჩებათ შვილებისათვის. ასეთ დროს ხდება გადაცდომები...

— ენდეთ ჩემს სიტყვებს, ყველაფერს მოევლება, ოღონდ გული გულობდეს... ისე მეორე დაკავებულის დედამ თუ ინება მობრძანება?

— იყო, ვითარება ავუხსენი და თქვა: უღირსი შვილი მყოლიაო. საკადრისად დასაჯეთ, მე მეორედ მომსვლელი აღარ ვარო. — მიუგო ედიშერმა წყნარად.

— აი, ხელავთ, არიან ქვეყანაზე დედები, რომლებსაც შვილის ბედი საერთოდ არ აწუხებთ. მე კი სანთელივით ვიწვი თემოზე... ხომ გეუბნებოდით, იმ უპატრონოს მოთავეობით ჩაიდენდნენ მაგ საქციელს...

ელიშერმა ღილაკს თითი დააჭირა, მორიგე ინსპექტორი გამოიძახა და დავალება მისცა, — დაკავებული ჭელიძე დედას შეახვედრეთო.

* * *

მეექვსე საკნის საკეტი აჩხარუნდა:

— ჭელიძე, პაემანზე! — დაიძახა უღვაშა ზედამხედველმა.

ჭელიძემ წამოდგომა სცადა, მაგრამ ნაბახუსევმა ფეხები ვერ აითრია.

— მალე ქენი, შე საცოდავო! — შეუძახა ზედამხედველმა.

— საცოდავი და ახვარი შენა ხარ... მე ყველაფერს იმას ვაკეთებ, რაც და როგორც მომესურგება, შენ კი პალოზე მიბმული ძაღლი ხარ...

ზედამხედველს ირონიულად გაეღიმა და დედა-შვილი საპაემანო ოთახში შეაცილა.

— შვილო ნუთუ შენც ასეთ ნესტიან, ბნელ საკანში იმყოფები? ალბათ უკვე ბაღლინჯოებიც დაგესია?

— ასეთი რომ იყოს... — თემურიმ რაც შეიძლებოდა დაამძიმა, იცოდა დედის ხასიათი, მის დასახსნელად შეუძლებელს შესძლებდა.

— ისეთი რა უსაშველო მოიმოქმედე, გვედარები ნუ დამიმალავ, შვილო, მითხარი. — ქალმა ცრემლები შეიმშრალა.

— რა უნდა დამეშავებინა, აქეთ დამიწყეს კინკლაობა, ნასვამი რომ ვიყავი, ვერ მოვითმინე...

— ვერ მოითმინე და ხელი ჰკარი არა?! — დააზუსტა ნილამ.

— აი, დედა, ხელავ იდაყვი... — თემურიმ პერანგის სახელური აიწია და დედას უმნიშვნელო განაკაწრი დაანახვა.

— უიმე, მოგიკვდეს დედა, რამდენჯერ გთხოვე, გავლენიანი ოჯახის შვილი ხარ, სიმთვრალეში თავისუფალი ხასიათი გაქვს და თავი შეიკავე-მეთქი. — შეიცხადა დედამ და იდაყვზე მოეფერა შვილს.

— ახლა მისაშველე რამე ვერ ვეგუბი გამოკეტულ საკანში ჯღმას...

— ვეცდები შვილო, მამაშენსაც ველაპარაკე კიევში, სასწრაფოდ ჩამოდი მეთქი...

— რატომ დაურეკე, არ მინდოდა რომ მამას გაეგო, ქვეყანა კი არ დამიქცევია...

— სუ, შვილო, მამა შეუძლებელს შეძლებს... რომ დაგიჭირონ, მერე გვიანლა იქნება თითზე კბენა.

— ამ ერთხელ მიშველე, დედა, თუ საჭიროა, დავეჩოქები, ბოდიშს მოვუხდლი სუყველას.

— რათ, დავეჩოქებო? თავად გამოგიწვიეს აყალ-მაყალში და შენ ითხოვ პატიებას. მსახიობებს სათითაოდ შევხვდები, დამაცადონ ერთი! — ნილა წამოდგა.

— მშია დედა, აქ რალაც სალაფავი ჩამოარიგეს, ვერ ვჭამე, იქნებ ერთი ბოთლი არაყიც მოაყოლო, აქაურ მეგობრებს გავუშმასპინძლდები...

— კი, შვილო გენაცვალოს დედა.. მითხარი ერთი, რობერტიმ წამოიწყო ჩხუბი და შენ აშველებდი, არა?

— ძალიან მთვრალეები ვიყავით. კარგად არ მახსოვს... მე თუ იმან. შეიძლება იმან წამოიწყო...

თემურის ყველაფერი კარგად ახსოვდა, მაგრამ ახლა დედის გულის მოგება, დანაშაულის სხვაზე გადაბრლება იყო საჭირო და ასეც მოიქცა.

— ის იქნებოდა ის, ზღარბივით დაცოცავს, ვითომ მამაბრამის ბატკანია... ახლა შენზე უნდათ ჯოხის გადამტვრევა...

— ოჰ, მაგათი... — მუშტი მოიღერა თემურიმ.

— წავედი, შვილო, ცასა და ქვეყანას გავაერთიანებ, ნუ გეშინია...

* * *

მეორე დღეს ნანული დანელია დაქანცული მობრუნდა სამუშაოდან. სა-



ნოვაგით დატვირთულმა ძლივს აიარა კიბის საფეხურები. სახლი მაგნიტოფონის ხმას და ბავშვების ყრიაშულს გაეყრუებინა. ქალმა თვალეზს არ დაუჭერა. მისი რობერტი დივანზე იწვა და დაძმების ცეკვა-თამაშს შეჰყურებდა.

ბავშვები დედას შემოეხვივნენ: დედიკო-დედიკო, რობერტი გაანთავისუფლეს. შეცდომით დაუკავებიათ...

რობერტი ფეხზე წამოდგა.

— რატომ გაგანთავისუფლეს! — ჰკითხა დედამ მკაცრად.

— ალბათ იმიტომ, რომ დანაშაული არ ჩამიდენია.

— რა... მსახიობებს, იმ საპატიო ხალხს, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მე მივაყენე თუ შენ? — თვალებიდან ცეცხლი დააკვესა ქალმა.

— არც ჩვენ, არც მსახიობებს რაიმე დაზიანებები არ აღმოგვაჩნდა. სიმთვრალისათვის დაგვაჯარიმეს და გამოგვიშვეს. — უბასუხა ვაჟმა.

— რით გადაიხადე ჯარიმა?

— თემურის დედამ გადაიხადა, როცა მექნება დავუბრუნებ...

— სწორედ თემურის დედამ გიხსნათ, მან ჩაფარცხა ეს საქმე. ახლავე დავურეკავ მაიორს... — გაცეცხლდა ნანული და ტელეფონს ეცა.

— დედა რას შერბები? შვილი გაგინთავისუფლეს და მადლობის მაგიერია... ტექნიკუმში რომ გაიგონ მაშინვე გამომადგებენ, ხომ იცი?

— შენს გარდა სამი შვილი მეზრდება, რას იფიქრებენ ისინი, რობერტის თუ აპატიეს ჩვენც გვაპატიებენო, გაიგე? უარესს ჩაიდინენ...

რობერტი დედის ხელებს ეცა, არ მისცა დარეკვის საშუალება: — გემუდარები, დედი, ჯერ მომისმინე, მერე გამასამართლე... ვიცი დავაშავე, სირეგვენე ჩავიდინე. თემურიმ დამპატიჟა. კლასელს უარი ვერ ვუთხარი, „ქეთინოდ“ მომნათლავენენ...

— ახლა ქეთინო კი არა, ტარიელ მკლავადე ხარ, არა? — ქალი სამხარე-

ულოში გავიდა, — ვერა, ვერა ვინაატი ებ!

— ყველაფერს პატიოსნად ვალიარებ, თავს არ გაცოდებ, თემურიმ დამპატიჟა, ას-ასი გრამი დავლიოთო. რესტორანში შევედით. ვჭამებ, კონიაკი დავლიეთ. შემდეგ თემურის ძმაკაცი შემოგვიერთდა. კიდევ მოიტანეს კონიაკი, მე აღარ დამილევია. როცა რესტორანი დავტოვეთ და ქალაქში გავისეირნეთ, თეატრის წინ მსახიობები რალაცაზე ცხარედ კამათობდნენ. თემური მივარდა მათ და უმოწყალოდ ურტყა, უბრალოდ, ყინი გაისწორა. მისაშველებლად მისულს მეც გვარიანად მომხვდა. შემდეგ მილიციელები მოვიდნენ და წაგვიყვანეს, ეს იყო და ეს...

— ყინი გაისწორეთ, არა, რატომ კედელს არ დაუშინეთ მუშტები და თავი?

— მაპატიე, დედა!

კარს იქით მიმალული ბავშვები გამოცვივდნენ და დედას შემოეხვივნენ:

— აპატიე დედა, ჩვენი გულისათვის, ამ ერთხელ აპატიე...

— არავითარ შემთხვევაში! ხვალ მილიციის უფროსს ვეახლები. თვალი გამისწოროს თუ კაცია. ახლა კი მივდივარ და მალე მოვბრუნდები.

* * *

ჭელიძეების ბინაში უცხოური მუსიკის ჰანგზე ერთობოდნენ დედა-შვილი ნილა და თემურ ჭელიძეები.

— მამაშენმა უნდა იამაყოს ცოლი მყავსო, როგორ მოვაკვარახჭინე ყველაფერი... დედა კი არა, ღმერთი გყავს მფარველად, ღმერთი! — სიამაყით წამოიძახა ნილამ.

— მაგარი ხარ, დედა, მაგარი!

— შენი მეგობარიც ხომ ვიხსენი, დედამისს ალბათ ჰგონია, ცამდე მართალი შვილი ჰყავს, მაკვირვებს მაგისთანა დედების გულქვაობა...

— მამ-მამ! — დაემოწმა თემური.

— უფროსთან სიტყვა დაუგდია, არ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოვაკითხავო... რაზე მიაკითხავდა, ნაკი ჰქონდა ძალა დაეხსნა შვილი, მე კი ყველაფრის მძლე ვარ, — თქვა თეატრალური ექსტიზ ნილამ.

— ძალას გაუმარჯოს! — წამოიძახა თემურიმ.

— გაუ.. მარ.. ჯოს! — აჰყვა დედა.

— თვალები დავთხარე იმ არამკითხველს, იმ ზუბრიჩიკების ხელმძღვანელს... ისე გაჭირვებულა, კინალამ დამღუპა... ზიზღით წარმოთქვა ქალმა.

— მე მაგას ვუჩვენებ... — კბილებიდან გამოსცრა თემურიმ.

— ხულიგანი შვილი გყავსო, აღზრდა არ გცოდნიაო, თითქოს თავად გმირი შვილების მამა იყოს... ვაი მაგის პატრონს, ისე მოგაკავავ, კითხვის ნიშანს დავამსგავსებ.

— დედას ვუტირებ... აიფოფრა თემური, კარადაში კონიაკს მისწვდა, მოიყუდა და სანახევროდ გამოსცალა.

— შენ ნურაფერს იღარდებ, შვილო, მე მოვუვლი მაგ კუდაბზიკას...

ზარმა დარეკა. ნილა კარებისაკენ გაემართა, სწრაფად გაალო. შემოსასვლელში ნანული დანელია იდგა. ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ გამარჯვების შარავანდედით აღფრთოვანებული ნილა ჭელიძე და უკანონობის წინააღმდეგ კლდედ აღმართული ნანული დანელია.

— მობრძანდით, ქალბატონო ნანული! აქეთ, სავარძელში დაბრძანდით.

— მე დასაბრძანებლად არ მოვსულვარ...

— ვიცი, ალბათ, მადლობის სათქმელად მოხვედით, არა... რა საჭიროა ასეთი წვრილმანებისათვის შეწუხება...

— არა, თქვენ მადლობა არ დავგმისახურებიათ! — თქვა და ოთახში შევიდა.

მოულოდნელობისაგან ნილა გაშრა, მაგრამ სიმხნევე მალევე დაიბრუნა:

— ისე დაგიჩულებდათ გონება, რომ მადლიერების გრძნობაც დაკარგეთ?

— სამოწყალო არასდროს არავისი

მჭირდა... რობერტის გარდა სამი შვილი მეზრდებო.

ნათქვამი იმდენად პირდაპირი და ბასრი იყო, ნილას სახე აეწვა. ქალს რამდენიმე წუთის წინ ის, რაც გმირობად მიაჩნდა, ნანულამ ერთი ხელის მოსმით გააცამტვერა.

— გეყოთ, შეიფერეთ მაინც ის, რაც თქვენთვის გავაკეთე. — დააყვედრა დაბალი ხმით.

ნანული კი სრულებით არ გავდა იმ ქალს, რომელიც უკან დაიხევდა.

— უბედურო დედაკაცო, შეგიძლია შენი შვილი უკანვე ციხეში მიაბრძანო...

— თვალები გაახილეთ, ნუთუ ვერ ამჩნევთ, უფსკრულის პირას დგებართ? — ნანულამ შუბლიდან ცივი ოფლი შეიმშრალა.

თემური უსმენდა მათ და თან კონიაკს წრუპავდა, საკმაოდ შეზარბოვებულმა შეუმჩნეველად დანა ჩაიცურა ჯიბეში.

მოულოდნელად ოთახში გივი შემოვიდა. ქმრის დანახვაზე ნილას სახე გაეზარდა:

— გივი, ჩემო ძვირფასო, ჩამოხვედი? — ქმარს ყელზე ჩამოეკიდა.

— რა ამბავია აქ, — იკითხა კაცმა ჩვეული სიძინჯით.

ნილამ არ დააყოვნა. ქმარს აუხსნა ყოველივე:

— ამ უფიც ქალბატონს ციხიდან შვილი დავუხსენი, მადლობის სანაცვლოდ რას აღარ მიწოდებს... ახლავე გაეთრიე აქედან!

გივი გადაელობა მეუღლეს.

— მალე გეწვევათ ბედისწერა და სულთ ხორცამდე გაშიშვლებით. — ნანული გასასვლელისაკენ გაემართა.

— გეყო, შენი... — მიაძახა თემურიმ და მისკენ გაიწია, გივი ახლა მას გადაუდგა. კარამდე მისული ნანული ერთი წამით შემოტრიალდა და ესლა წარმოთქვა: — მებრალებით, თქვე საცოდავებო!

— მორჩა ყველაფერი თუ თავდებში გამოუშვეს ეს ვაჟაკი? — იკითხა გვიმ.

— გამოუშვეს, დააჯარიმეს და გამოუშვეს. — მიუგო სავარძელში გადაწოლილმა ნილამ.

— დიდი შეღავათი... სული ძლივს ჩამომყვა, ეს პარაზიტი კი არ გვერიდება, რცხვენოდეს მაინც!

— დაწყნარდი გივი, ღმერთის შემწეობით ყველაფერი კეთილად დამთავრდა. ნუ წუწუნებ, რაც მთავარია სამივენი ჭერქვეშ ვართ. ისე, რომ იცოდე, ცოლი კი არა, დედოფალი გყავს, ნამდვილი დედოფალი...

— კარგი ერთი, ნუ გიყვარს ყველაფრის გაზვიადება, კაცს ეგონება ქვეყანა იქცევიაო. მაინტერესებს ვიცოდე, მაინც რა უკირს ამ ყარამანს? ინსტიტუტში მოვაწყე, ვერ ისწავლა, აკადემიური აიღო, ვიფიქრე ერთი წელი სადმე იმუშავენს-მეთქი, მსუბუქ სამუშაოზე გადავფორმე, იქ საერთოდ არ დადის, სამხედროში წასვლა მას არ უნდა... არა, ასე არ გამოვა, მე ათასი თვალი მიყურებს, ხალხის მრცხვენია. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შეიგნო, რომ მე მიფუტკებ ავტორიტეტს. ლახავ ჩემს ღირსებას. — ხმას აუწია გვიმ.

— შენი ღირსება მე არასოდეს შემილახავს. ისე მელაპარაკები, როგორც არასრულწლოვანთა საქალაქო კომისიაზე იცი ხოლმე... თითქოს მე ვიყო პირველი და არავის მოსვლოდეს შეცდომები. — უტიფრად შეეპასუხა გვილი.

— სხვისი საქმეები არ მეხება, მე ჩემი მაინტერესებს. — დაუღრიალა მამამ.

— ვიცი, მხოლოდ საკუთარი ტყავის დაცვა რომ გამოძრავებს, სხვისი ბედი თქვენისთანებისათვის არაფერს ნიშნავს...

— ეს უკვე მეტიმეტია, მე — ლაწი... რაკო, უყურე ერთი, რამდენს ბედავს ეს მართლა ხულიგანი, დღემდე არ მცოდნია ვის ვზრდიდი თურმე...

— ჩემი ჭკუის სწავლებას გიჯობს თავად იყო ჭკვიანად... კიევში იამზე გოგონია რომ გყავს წაყვანილი, გგონია არ ვიცი?

— რაო? — წამოიყვირა ნილამ, — დღის თერთმეტ საათზე სასტუმროში იმ ჩათლახის გამო იყავი არა?

თემური დედის ხელჩანთას მივარდა ფული ამოიღო და გარეთ გავარდა.

სალამოს ისევ გაავდრდა. ღრუბლები გაწვენენ ქალაქის თავზე.

საქალაქო თეატრში ახალგაზრდა რეჟისორის ორმოქმედებიანი სპექტაკლის გენერალური რეპეტიცია დასასრულს უახლოვდებოდა.

თეატრის გაჩირალდებულ შენობაში ბარბაცით შემოვიდა ლურჯბიჯაკიანი ახალგაზრდა. შემოსასვლელში არავინ მდგარა. კბეს აუყვია. ფრთხილი ნაბიჯით მსახიობთა ოთახისაკენ გაემართა. ფარდას ამოეფარა.

მსახიობებმა ხმაურით ჩაუარეს, სუნთქვა შეიკრა. მისი აქ ყოფნა არავის უნდა შეემჩნია. კედელს აეკრა. ჭიბიდან დანა ამოიღო, ხელში შეათამაშა. მალე მის წინ მსახიობთა მორიგი ჯგუფი ჩაივილიდა. აი, ისიც, სანდომიანი სახის წვეროსანი რეჟისორი. აღარ უყოყმანია, უკნიდან დანა სამჯერ ჩასცა, სწრაფად შეტრიალდა და ფანჯრიდან გადაეშვა...

— რისთვის? ღმერთო! — უკანასკნელად აღმოხდა განწირულ რეჟისორს.

ბორის ღვინათია

ქ. სენაკი.



**«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 9, 1989 (на грузин-
Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов ГССР.**

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, 14.



ქართული
ლიბრეოთეკა

ფასი 60 353

ინდექსი 76185
